

საბჭოთა



საბიბლიოთეკო

178

1988

1988

მთავარი რედაქტორი
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანზი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)

გელა გერქენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

ანზორ გაბიაძე
უმთა გორგოძე
აკაკი კარანაძე
დურმიუხან ლორია
ვახტანგ რაჟაძე
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ვიქტორ შარაშენიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორჯენაძე

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)

Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)

Габиანი А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Карანадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.



საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი
აკრილი

1988 წელი

მურალი გამომდის 1928 წლის 1 მარტიდან

საპარტვილოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-კვაჭტიული მურალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საპარტვილოს სსრ კონსტიტუციის 10 წლისთავი	
ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კანონი	3
ც. ხომერიკი — გავუფრთხილდეთ საბჭოთა პასპორტის ღირსებას	5
კანონის ძალა — ლითონისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ	
გ. ბიჭაშვილი — გავაძლიეროთ ბრძოლა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულებებთან	8
მეურნეობა და სამართალი	
დ. მახარაძე — ყველა ორგანიზაცია უზრუნველყოთ იურიდიული მომსახურებით	12
კანონის კომენტარი	
ო. გამყრელიძე — სისხლის სამართლის კანონის სრულყოფისათვის	14
ა. კობახიძე — საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლის რედაქციისათვის	20
სასამართლო შესკვრივა: სიხალენი და კვაჭტივა	
ჩ. მახარაძე — სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის მომზადება და დანიშვნა	26
ოფიციალური მასალა	29
ძალთა სამართაფორმის დღე	
გ. ბერძენიშვილი — მთავარი კონსულტანტი	37
ა. არსენაშვილი — სახალხო მოსამართლე	38
ზ. მარტიაშვილი — მილიციის უფროსი ლეიტენანტი	37
გამომედიგლის ჩანაწერებიდან	
ბ. დავითაია — უცნაური შემთხვევა	40
პირველი ნახიჯები მეცნიერებაში	
გ. ლილუაშვილი — ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით შექმნილი საკუთრების იურიდიული ბუნება	43
სანოტარო კვაჭტივის განჯობა	
ბ. ზოიძე — ავტომობილის ჩეჭება	46
დაცარელიძე ბუღალტრის საჯებების ყიდვა-გაყიდვის ბელშეკრულების სანოტარო წესით და- მოწმება	49
კრიტიკა და გიგლიტობა	
ლ. აღუქიძე, ვ. ლორია, ზ. ახვლედიანი — საინტერესო გამოკვლევა	50
სამართალჯარმების კულტურა	
გ. სიხარულიძე — სამართლის ენის სიწმინდისათვის	53
ინფორმაცია	59
ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“	63
კრიმინალისტიკის ისტორიიდან	
ენობილი სისხლის სამართლის საქმეები	71
შალუტონი	
ზ. შენგელიანი — რაც მოგივა დავითაო...	78
ნეკროლოგი	80

СОДЕРЖАНИЕ

10-летие Конституции Грузинской ССР

Основной закон нашей республики 3

Ц. Хомерики — Беречь честь советского паспорта 5

Силу закона — против пьянства и алкоголизма

Г. Бичашвили — Усилим борьбу с преступлениями, совершенными на почве пьянства 8

Хозяйство и право

Д. Махарадзе — Всем организациям — обеспеченность юридическим обслуживанием 12

Комментарий закона

О. ГамкRELИДзе — К совершенствованию уголовного закона 14

А. КобахИДзе — О редакции статьи 180 УК ГССР 20

Судебная экспертиза: новшества и практика

Д. Махарадзе — Подготовка и назначение судебно-бухгалтерской экспертизы 26

Официальный материал 29

Международный женский день

Г. Бердзенишвили — Главный консультант 37

А. Арсенашвили — Народный судья 38

З. Мартиашвили — Старший лейтенант милиции 39

Из записок следователя

Б. Давитая — Необыкновенный случай 40

Первые шаги в науке

Г. Лилуашвили — Юридическая природа имущества, приобретенного индивидуальной трудовой деятельностью 43

Обобщение нотариальной практики

Б. Зоидзе — Дарение автомобиля 46

Заверение в нотариальном порядке договора купли-продажи пустующих домов 49

Критика и библиография

Л. АлексИдзе, В. Лория, З. Ахвледиани — Интересное исследование 50

Культура правосудия

Г. Сихарулидзе — За чистоту языка правосудия 53

Информация 59

Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 63

Из истории криминалистики

Известные уголовные дела 71

Фельетон

З. Месенгисери — Винить только себя 78

Некролог 80



© „საბჭოთა სამართალი“, 1988 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, კლავანოვის ქ. 108, ტ. 95-88-49, 95-55-87

გაღეცა წარმოებას 16. 03. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 04. 88 წ.,

ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი

ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 710.

ტირაჟი 43.000.

უე 04737.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ჩვენი ჩასუბლიკის ძირითადი კანონი

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამტკიცდა აშუამად მოქმედი საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია. იგი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ნების ამსახველი კონსტიტუციაა, სადაც გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული თავისებურებები და მთლიანადაც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას.

857281

როგორც წესი, კონსტიტუცია არის არა ჩვეულებრივი ნორმატიული ხასიათის აქტი, არამედ სახელმწიფოს ძირითადი კანონი და ამდენად მას უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნია. სწორედ ამიტომ კონსტიტუციის დამტკიცების, ან მასში ცვლილებათა შეტანის დროს განსაკუთრებული წესები უნდა იყოს დაცული უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

არსებობს სამი სახის საბჭოთა კონსტიტუცია: სსრ კავშირის კონსტიტუცია, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციები. ამის საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში დღეს მოქმედებს 36 კონსტიტუცია. რომელთაგან ერთია სსრ კავშირის, 15 — მოკავშირე რესპუბლიკის და 20 — ავტონომიური რესპუბლიკის. ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები სახელმწიფო ერთეულებს არ წარმოადგენენ და ამიტომ ასეთი ძირითადი კანონები მათ არ გააჩნიათ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში გამოხატულია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის ნებასურვილი. იმავდროულად, იგი მტკიცედ ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას და თავის მხრივ თვითონაც ახდენს გავლენას მარქსიზმ-ლენინიზმზე, ამდიდრებს მის საგანძურს, რადგან შემოქმედებითი, მეცნიერული მნიშვნელობის დოკუმენტიც არის. ამდენად, კონსტიტუციური ნორმების განმარტება მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ პოზიციებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, ყველა სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს. ეს ურთიერთობები კი იმდენად მრავალნაირია, რომ მათ დასადგენად საჭირო ხდება ცალ-ცალკე შემუშავდეს მიმდინარე საკანონმდებლო აქტები, ამას თვითონ კონსტიტუციაც ითვალისწინებს. მაგალითად, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 97-ე მუხლით „სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები“, 178-ე მუხლით „ადვოკატურის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა“. აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციური პრინციპების განხორციელების დროს დასაშვებია მოეწყოს კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა ან რეფერენდუმი, რაც თავისთავად უშუალოდ დემოკრატია და გულისხმობს იმასაც, რომ უფრო ნაკლები იყოს შეცდომები.

კონსტიტუციის შინაარსი განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკით და საზოგადოებაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობით, რადგან ამის შესაბამისად კონსტიტუციაც იცვლება. ცვლილება კი შეიძლება მოხდეს მოქმედ კონსტიტუციაში ახლებური ტექსტის შეტანით ან ახალი კონსტიტუციის მიღებით.

საქ. სსრ კ. მარქ...

განვლილ პერიოდში ჩვენ ვიყენებდით ცვლილებათა შეტანის ორივე წესს, რადგან უამისოდ საერთოდ ძნელია აისახოს ქვეყნის ფაქტიური მდგომარეობა და განისაზღვროს მისი მომავლის ძირითადი ამოცანები.

როგორც წესი, სოციალისტური ტიპის კონსტიტუცია უნდა იყოს რეალური და სწორედ ასეთია ჩვენს რესპუბლიკაში დღეს მოქმედი მეოთხე კონსტიტუცია.

საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია 1922 წლის 2 მარტს დაამტკიცა საქართველოს სსრ საბჭოების პირველმა ყრილობამ. ამ კონსტიტუციით იურიდიულად განმტკიცდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში.

რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (1922 წლის 18 დეკემბერი) და სსრ კავშირი (1922 წლის 30 დეკემბერი). ამის შედეგად საჭირო გახდა მეორე კონსტიტუციის მიღება და იგი დაამტკიცა კიდეც საქართველოს სსრ საბჭოების IV ყრილობამ 1927 წლის 4 აპრილს. ეს კონსტიტუცია ერთდროულად შეესაბამებოდა, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის, ისე სსრ კავშირის კონსტიტუციებს.

როდესაც კვლავ მოხდა ახალი, მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, საჭირო გახდა და შეიცვალა კიდეც სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია. 1936 წლის 5 დეკემბერს საკავშირო საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის ახალი (მეორე) კონსტიტუცია. ამავე პერიოდში გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დამოუკიდებელ ერთეულად შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში. ბუნებრივია, ამან გამოიწვია რესპუბლიკის ახალი (მესამე) კონსტიტუციის შემუშავება და იგი დაამტკიცა კიდეც საქართველოს სსრ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ 1937 წლის 13 თებერვალს.

მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა ცხოვრებაში და თითქმის ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყანა. განვითარებულმა სოციალიზმმა, რა თქმა უნდა, ახალი კონსტიტუციაც მოითხოვა და 1977 წლის 7 ოქტომბერს მიღებული იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. ამ დიდმნიშვნელოვან აქტს, ცხადია, მოჰყვა კიდეც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების მიღება. მართლაც, საქართველოს სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ 1978 წლის 15 აპრილს დაამტკიცა დღეს მოქმედი ჩვენი რესპუბლიკის მეოთხე კონსტიტუცია.

რესპუბლიკის კონსტიტუციით განმტკიცებულია ქვეყნის პოლიტიკური (მე-2 მუხლი), ეკონომიკური (მე-10 მუხლი), სოციალური (მე-17 მუხლი) და სამართლებრივი (მე-9 მუხლი) საფუძვლები.

კონსტიტუცია იცავს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს (მე-8 მუხლი), სოციალისტურ კანონიერებას (მე-4 და 57-ე მუხლები), კოლექტივიზმსა და საჯაროობას მუშაობაში (90-ე მუხლი), პარტიულ ხელმძღვანელობას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიმართ (მე-6 მუხლი), სოციალისტური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სხვა მნიშვნელოვან პრინციპებს.

კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეროვნებათა

თანასწორუფლებიანობასა და მოქალაქეთა ვალდებულებებზე, მიაჩნია, რომ საჭიროა თითოეული მათგანი „...პატივს სცემდეს სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას, განამტკიცებდეს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობას“ (62-ე მუხლი).

კონსტიტუციით სრულყოფილად და ცუდი ენათა თანასწორუფლებიანობა და რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება. ნიშანდობლივია, რომ მოქმედი კონსტიტუციით, ისევე როგორც წინა კონსტიტუციებით, „საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (75-ე მუხლი).

კონსტიტუცია იცავს საბჭოთა მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, გათვალისწინებულია, რომ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისაგან (57-ე მუხლი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე მოვალეა პატივს სცემდეს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, იცავდეს შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. კონსტიტუციით სამშობლოს დაცვა თითოეული მოქალაქის წმიდა-თაწმიდა ვალია და ამიტომ სავალდებულო სამხედრო სამსახური საპატიო მოვალეობად ითვლება.

უკვე ათი წელია რაც ძალაშია და მოქმედებს საქართველოს ძირითადი კანონი, რესპუბლიკის კონსტიტუცია, ათი წელია იგი ღირსეულად ემსახურება სოციალიზმის სრულყოფისა და საერთო-სახალხო სახელმწიფოს უდიდეს ამოცანათა განხორციელების საქმეს, სამართლიანობას ამკვიდრებს ყველგან, კანონიერი სიამაყის გრძნობით ავსებს ადამიანებს. დღევანდელ ეტაპზე კიდევ უფრო გაიზარდა კონსტიტუციის როლი, რადგან მან ხელი უნდა შეუწყოს სკკპ 27-ე ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების მიერ დასახული ძირითადი მიზნის, ანუ გარდაქმნის, დაჩქარების კურსის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრაქტიკულად განხორციელებას.



გაუფრთხილდეთ საბჭოთა პასპორტის ღირსებას

ციალა ზომერიაძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მშაჩის რესპუბლიკური არქივის გამგე

საბჭოთა პასპორტი შეიცავს რამდენიმე კითხვას, რომლებზეც გაცემული უნდა იყოს ზუსტი პასუხი. პასპორტი უნდა შევავსოთ გამართული ქართულით, გარკვეული ხელით და შესაბამისი რუსული თარგმანით. არავითარი წაშლა, გადასწორება, მიწერა, შენიშვნის გაკეთება არ შეიძლება. იგი საბჭოთა მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელია, ეს დასტური კი უნდა იყოს ნათელი, გარკვეული და არა საეჭვო, ორჭოფული.

პასპორტი მოქალაქეს ეძლევა 16 წლის ასაკის შესრულებისას. მისი გაცემის საფუძველია დაბადების მოწმობა. ყოველთვის, ცხადია, შეუძლებელია იმის დადგენა ესა თუ ის პასპორტი კონკრეტულად რის საფუძველზე გაიცა, მაგრამ ერთი კი აშკარაა — პასპორტების დიდი უმრავლესობა არ არის დაბადების მოწმობის შესაბამისი. სწორედ ეს ხდება მმაჩის ორგანოების თანამშრომლებსა და საპასპორტო დარგის მუშაკებს შორის დარღვევების, ერთმანეთისათვის გადაბრალდების მიზეზი. მაგალითად, ფოთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მმაჩის რესპუბლიკურ არქივში წარმოადგინა განაცხადი ოთხ სპორტსმენზე. უნდა დაგვედასტურებინა მათი დაბადების წელი. თანდართული ჰქონდა ფოთის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ გასულ წელს გაცემული სამი პასპორტი. სამივე არასწორი აღმოჩნდა. დაბადების წელი, ნაცვლად 1970-ისა, ეწერა 1971. კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ ვის მიუძღვის ბრალი. ფოთის მმაჩის განყოფილებამ გასცა არასწორი მოწმობები და შეცდომაში შეიყვანა შინაგან საქმეთა განყოფილება, თუ მიუხედავად სწორი მოწმობისა, პასპორტები გასცეს არასწორი?

პასპორტებში დაბადების წელისა და დაბადების ადგილის არასწორი ჩანაწერების მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ახლა რამდენიმეთი დავკმაყოფილდებით: მოქალაქე გორგიაშვილს სამხედრო ბილეთში 1930 წელი უწერია, აღმოჩნდა 1926-ში დაბადებული; მუმლაძეს კი 1940 წლის მაგიერ 1943 წელი უწერია; მოქალაქე ბართაია 1910 წელს დაიბადა, პასპორტით კი 1930 წლიანია; მოქალაქე ელბაქიძეს ეგონა 1928 წელს ვარ დაბადებულიო, საპენსიო ასაკმა რომ მოაღწია, მაშინდა გაახსენდა, რომ 1925 წელს ყოფილა დაბადებული; მოქალაქე სახოიანის პასპორტის გამოწერისას „შეეშალათ“ და 1927 წლის ნაცვლად 1938 წელი ჩაუწერეს. პენსიის დანიშვნისას ალბათ ისიც „გამოასწორებს“ ამ შეცდომას; უფრო შორს მიდის გ. აბუთიძე. ქორწინების მოწმობაში დაბადების წელი უწერია 1916, პასპორტში — 1922, შრომის წიგნაკში კი — 1925.

მოქალაქე გავაშელს დაბადების ადგილად ქ. თბილისი უწერია ნაცვლად ონისა; კაკაბაძის სახელზე გაცემულ პასპორტში აღნიშნულია, რომ დაიბადა 1934 წელს ქ. წულუკიძეში, მაშინ, როცა ფაქტობრივად 1931 წელს დაიბადა ქ. გორში.

ხშირად გვხვდება პასპორტში ეროვნების არასწორად აღნიშვნა. ჩვენი ქვეყანა მრავალეროვანია და ამიტომ ეროვნების სწორად მითითებას დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მოქალაქე ვ. გ.-ს პასპორტში სხვა ეროვნება ეწერა. ქორწინების შემდეგ ქმარმა გაიგო ცოლის ნამდვილი ეროვნება, ტყუილი არ აპატია და მოითხოვა ქორწინების გაბათილება. აქ საკითხი ეროვნების რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი არ ეხება, არამედ სიცრუეს, რასაც, ხშირად, ხელს უწყობს პასპორტის არასწორი მონაცემი. მოქალაქე ზ. ნ. ცოლს გაეყარა ქორწინებიდან 6 წლის შემდეგ, როცა გაიგო, რომ იგი 8 წლით უფროსი ყოფილა მასზე. სხვათა შორის, განაცხადა, თავიდანვე რომ ეთქვა, ვაპატიებდიო.

მოქალაქეები ხშირად ატარებენ პასპორტს, სადაც ან საერთოდ არ არის აღნიშნული, ან არასწორად და არასრულყოფილად არის ჩაწერილი მათი ოჯახური მდგომარეობა. ამით სარგებლობს ზოგიერთი ვაიმექორწინე და ტარდება ფიქტიურ ქორწინებაში. მაგალითად, მოქალაქე ჩილინდრიშვილი 1975

წლიდან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. მან აღნიშნული ფაქტი დაუმალა მმაჩის განყოფილების მუშაკებს და წარუდგინა პასპორტი საქორწინო შტამპის გარეშე და ხელახლა იქორწინა, ასეთ ადამიანებს სუფთა სინდისს „სუფთა“ პასპორტი ურჩევნიათ. ვფიქრობთ, ესეც უწყობს ხელს განქორწინების საგანგაშო სტატისტიკას.

გვხვდება ისეთი პასპორტებიც, სადაც საერთოდ არ სწერია დაბადების ადგილი, თარიღი, წელი, მამის სახელი, ეროვნება და სხვა მონაცემები. მაგალითად, 1981 წელს ორჯონიკიძის რაიონში გაიცა პასპორტი, სადაც დაბადების ადგილად მხოლოდ საქართველოს სსრ, ხოლო საქარხნო რაიონის მიერ 1980 წელს გაცემულ ერთ-ერთ პასპორტში დაბადების ადგილი რუსულად წერია ბორჯომი, ქართულად — თბილისი.

სოფლად ნაკვეთით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის ზოგიერთი მოქალაქე ცდილობს პასპორტში ეწეროს სასურველი ქალაქი ან სოფელი. და, სამწუხაროდ, ხშირად ამას აღწევენ კიდევ. მაგალითად, პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში გასცეს პასპორტი, სადაც თბილისელ მოქალაქეს გეგეჭკორის რაიონი დაუწერეს.

არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ზუსტად შეგვებული პასპორტი ხელს უწყობს დანაშაულის პროფილაქტიკასაც. როცა 16 წლის მოქალაქე პასპორტის ასაღებად მიმართავს შესაბამის განყოფილებას, მისი დაბადების მოწმობა კრიტიკული თვალით უნდა შემოწმდეს. იგი უნდა იყოს სრულყოფილი, წაშლილი, გადასწორებული, მიწერილი მოწმობა პასპორტის გაცემის საფუძველი არ უნდა გახდეს.

1981 წელს პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში პასპორტი გასცეს მოქალაქე აზარაშვილის სახელზე, რომელმაც წარადგინა დაბადების მოწმობა, სადაც სიტყვიერად გარკვევით სწერია: დაიბადა ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტ წელს, ხოლო ციფრით დაწერილზე — ერთი გადასწორებულია ორიანად. პასპორტიც გამოწერილია, როგორც 1952 წელს დაბადებული. გადასწორებული ისე აშკარაა, რომ განსაკუთრებულ შემოწმებას ან დაკვირვებას არ საჭიროებს. ცხადია, ასეთი მოწმობის საფუძველზე პასპორტის გამოწერა დანაშაულია.

ზოგჯერ, ობიექტური მიზეზების გამო, შეიძლება მოქალაქემ მართლაც არ იცოდეს თუ როდის დაიბადა და სხვაობა შეიძლება უმნიშვნელო აღმოჩნდეს, მაგრამ, რომელ არცოდნაზეა ლაპარაკი, როცა ნამდვილ დაბადების წელსა და პასპორტში თუ სამხედრო ბილეთში აღნიშნულს შორის 8-10 წელი განსხვავებაა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან თავის დროზე შეგნებულად აარიდა თავი სამამულო ომში გაწვევას, ხოლო ქალებს ასაკის შემცირება ქორწინებისათვის სურთ. პენსიის ასაკს რომ მიუახლოვდებიან, მაშინ იწყება სირბილი „დაკარგული“ წლების აღდგენისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ დაბადების წელი ისეთი მონაცემია, რომელიც მოქალაქეს სჭირდება სიკვდილამდე. მისი შეცვლა ისევე არ შეიძლება, როგორც ფიზიკურად მეორედ დაბადება. თითოეული მოქალაქის ვალია თვალის ჩინივით უფრთხილდებოდეს საბჭოთა პასპორტის ღირსებას. ეს კანონის მოთხოვნაა, საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა და მისი მტკიცედ დაცვა შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკების წმიდათაწმიდა ვალია.

კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ დაინტერესებულ პირებს, რომ როცა

წარმოდგენილი საბუთი ექვს იწვევს, იგი უნდა შემოწმდეს მმაჩის რესპუბლიკურ არქივში, სადაც გასული საუკუნიდან დღემდე ინახება მოქალაქეთა მდგომარეობის დამადასტურებელი ყველა სახის სააქტო ჩანაწერი.

არქივის ჩანაწერი ერთადერთი და პირველადია. მასში ექვსის შეტანა არ შეიძლება. სამწუხაროდ, კი ასეთი შემოწმება იშვიათად ხდება.

კანონის ქალა — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

გავაკლიეროთ ბრძოლა სივითაკალაში ჩადანილ დანაშაულოებათან

გიორგი ბიჭაშვილი,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის
სამმართველოს უფროსი, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი

სამი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“. კანონის გამკაცრებას ამჯერად საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულება.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებებსა და შესაბამის ნორმატიულ აქტებში ნათლად გამოვლინდა საბჭოთა ცხოვრების წესების უპირატესობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კომუნისტური მორალისა და ზნეობის პრინციპების დაცვას, ყურადღება გამახვილდა მავნე ჩვეულებებისა და გამომონათების გამოვლინებაზე, შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადა ლოთობასა და ალკოჰოლიზმს.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის იყო ჩვენი პარტიისა და მთავრობის შეუწყლებელი ყურადღების ცენტრში. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებები არა მარტო ლოთობასა და ალკოჰოლიზმზე, არამედ მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზეც, რამაც ფართო რეზონანსი და მხარდაჭერა გამოიწვია მთელს რესპუბლიკაში.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, როდესაც მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცება თითქმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა ყოველდღიური ცხოვრებისა, კიდევ უფრო უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს.

ლოთობა და ალკოჰოლიზმი წარმოუდგენლად დიდი ბოროტებაა. იგი

დამლუბველად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. უარყოფით გავლენას ახდენს ზნეობაზე, აქვეითებს ისეთ ღირსებებს, როგორცაა ჰუმანურობა და კეთილშობილება, ანგრევს ოჯახებს, თავისთავად ცუდ მაგალითს აძლევს მოზარდებს და ა. შ. ალკოჰოლის ზეგავლენით ადამიანები სულ ადვილად კარგავენ კონტროლის უნარს და ანგარიშს ვეღარ უწყევენ თავიანთ მოქმედებებს. სწორედ ამის შედეგია, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ისეთი მაგალითები, როდესაც გაუთავებელმა ღრეობამ და წრეგადასულმა დროსტარებამ თითქოსდა უწყინარი ადამიანიც კი დამნაშავედ აქცია. აქი ამბობენ კიდევ: ლოთობიდან ბოროტმოქმედებამდე ერთი ნაბიჯიაო.

ლოთობისა და მასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებულმა შეუთრგებელმა ბრძოლამ კიდევ უფრო მიზანმიმართული და კონკრეტული გახადა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს მუშაობა ამ მხრივ. გავითვალისწინეთ რა ბრძანებულების პოლიტიკური მნიშვნელობა და სოციალური აუცილებლობა, დროულად შევიმუშავეთ მისი განხორციელების ღონისძიებათა კომპლექსი, რაშიც ჩვენთან ერთად ჩავრთეთ რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება. ასეთი მუშაობა ყველა უბანზე თანამიმდევრულად მიმდინარეობს, ხოლო რესპუბლიკის პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლეს სასამართლოსთან ერთად, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მასალებს პერიოდულად ვიხილავთ სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოზე. ამასთან ერთად, მტკიცე და საქმიანი კონტაქტები გვაქვს დამყარებული რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტთან, ვაჭრობის სამინისტროსთან. მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

ცალკე უნდა აღინიშნოს რესპუბლიკაში შექმნილი სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 800 000-ზე მეტ კაცს და მეტად სასარგებლო საქმიანობას ეწევა. სიფხიზლისათვის ბრძოლის ამ დიდ არმიას თითქმის 12800 პირველადი ორგანიზაცია უდგას სათავეში და შედეგებსაც კარგს აღწევენ, მაგრამ სხვადასხვაგვარი და უცნაური წინააღმდეგობები მაინც ხშირად იჩენს ხოლმე თავს, რაც თავისთავად კიდევ უფრო ზრდის მათ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტთან და ზოგიერთ სხვა უწყებასთან ერთად, კრიტიკულად შეისწავლა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და მისი წარმოშობის მიზეზები რამოდენიმე რაიონში. აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ სავაჭრო და საზოგადოების ობიექტებს, ნება დართეს 1986 წლის ნოემბრიდან შეუფერხებლად ევაჭრათ ყველა სახის სპირტიანი სასმელით, რადგან საფრთხეში აღმოჩნდა საქონელბრუნვისა და საკასო გეგმების შესრულება. ამის შედეგად 1987 წლიდან ბევრად გაიზარდა ასეთი სავაჭრო ორგანიზაციების რაოდენობა. უფრო მეტიც, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის ნებადართვა მიიღო ბევრმა ისეთმა ობიექტმაც, რომელსაც უკვე ჰქონდა აკრძალული მათი რეალიზაცია. ეს კი უცაბედად დაეტყო ამ რაიონების ოპერატიულ ვითარებას, რადგან მკვეთრად იმატა სიმთვალეში ჩადენილმა დანაშაულობებმა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იძულებულ

ბული გახდა თხოვნით შესულიყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რათა შემცირებულიყო სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე ობიექტების რაოდენობა. 1987 წლის 17 ივნისს ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა ზოგიერთი საქალაქო და რაიონული განყოფილების უფროსმა, რატომღაც ალღო ვერ აუღო შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებას ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის განხორციელებისას სოციალისტური კანონიერების მკაცრად დაცვის შესახებ და გაუმართლებლად შეასუსტა ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ მკაცრი შეფასება მისცა ასეთ ფაქტებს და კონკრეტული ღონისძიებები დასახა ლოთობის, ალკოჰოლიზმის და არყის შინ გამობდის შემთხვევების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მთელ რიგ რაიონულ განყოფილებებს გაეწიათ პრაქტიკული მეთოდური დახმარება და სათანადო რეკომენდაციები დაეგზავნათ უბნის ინსპექტორებს.

ჩვენს მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგიტაცია-პროპაგანდის საკითხებს, რაც ფაქტიურად იმაში გამოიხატება, რომ პერიოდულად ვაქცევინებთ წერილებს ყურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ვაწყობთ რადიო და ტელე გადაცემებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, თეორიულ კონფერენციებს. თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო სტუდიასთან ერთად კი. ამასწინათ, გადავიღეთ სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „დაუმთავრებელი პორტრეტი“, რომელშიც აისახა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეტად მწვავე პრობლემები. ფილმი უკვე ნახა ჩვენი რესპუბლიკის მილიონობით ტელემყურებელმა და დადებითადაც შეაფასა იგი.

გარკვეული შედეგი გამოიღო აგრეთვე მილიციის მუშაკთაგან შრომით კოლექტივებში ჩატარებულმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ. 1987 წელს მოსახლეობიდან ამოღებული 8.000-მდე ცალი არყისსახდელი აპარატიდან და 25.000-მდე ლიტრი შინახადი არყიდან, ნახევარზე მეტი ნებაყოფლობით არის ჩაბარებული. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრია ანტიალკოჰოლური დარღვევის შემთხვევები.

მილიციის ორგანოებმა, მხოლოდ გასულ წელს, გამოავლინეს არყის შინგამობდის 307 და მისი რეალიზაციის 172 შემთხვევა, სპეკულაციის 107 ფაქტი, ფიქსირებულია სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების 205 დარღვევა.

სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატის მიერ გამოვლენილი სპირტიანი სასმელების დატაცების 12 შემთხვევიდან, 5 განსაკუთრებით დიდი ოდენობისა იყო, დამტაცებლებიდან ამოღებულია 19.000 ლიტრი ღვინო, 95.000 ლიტრი სპირტი და 850 ლიტრი ყურძნის წვენი.

ავტონისპექციის მუშაკებმა სიმთვრალის მიზეზით 17759 მძღოლს ჩამოართვეს მართვის მოწმობა, გამოავლინეს სპირტიანი სასმელების უკანონო გადაზიდვის არაერთი შემთხვევა, ამოიღეს 12.000 ლიტრი ალკოჰოლი.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ინიციატივით სისტემატურად ეწყობა ტელეგადაცემები სამედიცინო გამოსაფხვრელებიდან და გაზეთებშიც ქვეყნდება ცმათი გვარები, ვინც არცხვენს რესპუბლიკას, სამწუხაროდ, მაინც ხშირად აქვს ადგილი მთვრალი მოქალაქეებისაგან ატეხილ დებოშს საზოგადოებრივი თავ-

შეყრის ადგილებში, ქუჩებში, წარმოება-დაწესებულებებში და სხვაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა, სხვა წლებთან შედარებით გასულ წელს 5,5 პროცენტით მეტი პირი დაჯარიმდა ლოთობისათვის, მაგრამ სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოთავსებულთა რაოდენობა მაინც შემცირდა 5,8 პროცენტით.

როგორც წესი, ყველა ლოთის სამუშაოზე ან სასწავლებელში დაუყოვნებლივ იგზავნება შეტყობინება მომხდარ დარღვევაზე. იქ, სადაც სათანადო სიმძლავრეზე დგას ლოთობასთან ბრძოლა, რეაგირებაც სწრაფად ხდება და პასუხებსაც დროულად ვიღებთ. უფრო ხშირად კი, ან იგვიანებს ასეთი პასუხი, ან საერთოდ არაფერს გვწერენ კოლექტივები გამოვლენილი სამარცხვინო ფაქტისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ. მაგალითად, გასულ წელს 1747 ასეთი შეტყობინება დარჩა რეაგირების გარეშე, რაც თავისთავად ძალიან ცუდი მაჩვენებელია.

ლოთობასა და ალკოპოლიზმთან ჩვენი ბრძოლა მარტო ქუჩაში მოხანცალე მთვრალეების სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მიყვანით არ ამოიწურება. აქ მთავარია ლოთობისა და მისი ანტისოციალური შედეგების პროფილაქტიკა. დამნაშავეთა მიმართ შექმნილი შეუურიგებლობის ატმოსფერო კი იმის წინაპირობაა, რომ ადმინისტრაციული ორგანოები კვლავაც მკაცრნი, შეუვალნი და პრინციპულნი იქნებიან ანტიალკოპოლური კანონმდებლობის განხორციელების დროს.

1987 წლის 11 ნოემბერს მილიციის მუშაკებმა ფაქტზე დააკავეს „თბილისი ბოსტანგაზრობის“ მანქანის მძღოლი გივი ჩიკვაიძე, რომელმაც ვინმე უსაქმურ გრიგოლ გეორგოვს 20 ლიტრი სპირტი 200 მანეთად მიჰყიდა. ოპერატიულად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად გ. ჩიკვაიძის ბინიდან ამოიღეს 130 ლიტრი სპირტი, ხოლო გ. გეორგოვს ბინიდან სპირტთან ერთად „რუსკაია ვოდკას“ ეტიკეტიანი 97 ცალი ცარიელი ბოთლი, მეტალის საცობები და ფალსიფიცირებული არყის დასამზადებელი მოწყობილობა. დადგინდა, აგრეთვე, სპირტის ძირითადი რეალიზატორი. იგი აღმოჩნდა სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში მცხოვრები უმუშევარი ივანე თანდაშვილი, რომლის ბინაშიც 900 ლიტრი სპირტი ინახებოდა.

გასული წლის 21 ნოემბერს ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების მუშაკებმა დააკავეს ზედა სიმონეთელი ბელუნგ აბესაძე, რომელსაც საკუთარი ავტომანქანა ვოლგით გადაჰქონდა 150 ლიტრი საკონიაკე სპირტი. ამდენივე სპირტი და 11 ტონა ქარხნული წესით დამზადებული ღვინომასალა აღმოჩნდა მის ბინაზე, რაც, როგორც ავტოციტერნის მძღოლს, დატაცებული ჰქონდა ღვინის ქარხნებიდან მათი გადაზიდვის დროს.

1988 წლის 10 იანვარს ცხაკაიაში დააკავეს ჩაის კომბინატის ერთ-ერთი სამაქროს უფროსი თამაზ ოკუჯავა, რომელმაც კომბინატიდან გამოიტანა და ვინმე გია ბესელიას 5.000 მანეთად მიჰყიდა 1.000 ლიტრი სპირტი. ოპერატიულად ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ კომბინატიდან დატაცებული იყო 10320 მანეთის 240 ლიტრი ეთილის სპირტი. 34692 მანეთის 520 ლიტრი საკონიაკე სპირტი და 9120 მანეთის 10608 კგ შაქრის ფხვნილი.

ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი გვაქვს. მათი ანალიზი იმას ცხადყოფს,

რომ ლოთობა, ალკოპოლიზმი და დანაშაულობანი, რომლებიც ანტიალკოპოლური კანონმდებლობის შეუსრულებლობითაა გამოწვეული, უმეტესად იქ ხდება, სადაც დაბალია შრომის დისციპლინა და მზამთხოვნელობა, სადაც ადამიანები ადვილად ურიგდებიან კანონიერებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევებს, არაფრად მიაჩნიათ კოლექტივის ღირსება და ავტორიტეტი, მწვავე, პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების ფაქტებს.

გამომდინარე აქედან, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველო სისტემატურად მიმართავს ისეთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ლოთობისა და ალკოპოლიზმის მთლიანად აღმოფხვრასთან, რესპუბლიკის ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. სწორედ ასეთი გამიზნული და მოფიქრებული ღონისძიებების შედეგია, რომ 1987 წელს მკვეთრად შემცირდა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულობები, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ქონების ქურდობები და ხულიგნობა.

ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულმა საყოველთაო-სახალხო ბრძოლამ ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე ახალი, გაზრდილი ამოცანები დააყენა. ამავე დროს, კანონმდებლობის გამკაცრებამ ჭეშმარიტად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საზოგადოებრიობაზე, აამალა მათი პასუხისმგებლობა, მართლშეგნება. ეს კი საშუალებას გვაძლევს, რომ მთლიანად აღმოვფხვრათ სიმთვრალით გამოწვეული დანაშაულობები და თავიდან ავიცილოთ მისი მძიმე შედეგები.



მეურნეობა და სამართალი

ყველა ორგანიზაცია უზრუნველყოთ იურიდიული მომსახურებით

დირიჟორი მახარაძე,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა ადვოკატურას სსრ კავშირის კონსტიტუციით აქვს დაკისრებული (მუნლი 161) და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის, რესპუბლიკის იურიდიული კონსულტაციების, თითოეული ადვოკატის საქმიანობაში მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

იურიდიული მომსახურებისათვის ადვოკატის გამოყოფა ხდება დადგენილი წესით: ანეთ დროს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული ტიპური ფორმის შესაბამისად, იურიდიული კონსულტაციები ხელშეკრულებებს აფორმებენ დაინტერესებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ხოლო გაწეული იურიდიული დახმარებისათვის ანაზღაურება გაიცემა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

ამ ინსტრუქციით „საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ ხელშეკრულებები გააფორმონ იურიდიულ კონსულტაციებთან კვალიფიციური იურიდიული მომსახურებისათვის.

რესპუბლიკის იურიდიული კონსულტაციებისა და ადვოკატების საქმიანობა ამ ხაზით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის სისტემატიური ყურადღების ცენტრშია. როგორც წესი, ყოველკვარტალურად ვისმენთ ორი ან სამი იურიდიული კონსულტაციის მუშაობის შედეგებს და განვოგადების მასალებს ვუგზავნით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ყველა იურიდიულ კონსულტაციას.

გატარებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად ამოღდა საადვოკატო საქმიანობა ამ მხრივ, გაუმჯობესდა ადვოკატთა კოლეგიის მუშაობის ორგანიზაციული და ხარისხობრივი მაჩვენებლები. დღეისათვის რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებს სამართლებრივი მომსახურებისათვის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვთ 88 იურიდიულ კონსულტაციასთან. ხოლო 289 ადვოკატი ემსახურება 297 ორგანიზაციას.

კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ რესპუბლიკის ცალკეულ იურიდიულ კონსულტაციებს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაიზარდა მთელი რიგი რაიონების იურიდიული კონსულტაციების სამომსახურეო ობიექტების რიცხვი, რადგან ამ საქმიანობაში ხალისიანად ჩაება ადვოკატთა უმრავლესობა (თბილისის საქარნო და კალინინის რაიონები, გარდაბნის, ზესტაფონის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ახალციხის, ცხაკაიას, ლანჩხუთის რაიონები, ქალაქები ფოთი, ტყიბული და სხვა).

ქ. ფოთის იურიდიულ კონსულტაციაში გაერთიანებული 4 ადვოკატი ხელშეკრულებით 8 ორგანიზაციას უწევს იურიდიულ მომსახურებას. ზესტაფონის რაიონის 5 ადვოკატი — 10 ორგანიზაციას, თეთრიწყაროს რაიონის 1 ადვოკატი — 2 ორგანიზაციას, ბორჯომის რაიონის 3 ადვოკატი — 6 ორგანიზაციას, ლანჩხუთის რაიონის 1 ადვოკატი — 8 ორგანიზაციას და ა. შ. მათ მიერ გატარებული იურიდიული ხასიათის ღონისძიებები ხელს უწყობენ წარმოებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებას. 1987 წელს ადვოკატების მიერ სასამართლოებში და სახელმწიფო-საუწყებო არბიტრაჟში ნაწარმოებია 2741 საქმე, შედგენილია სამართლებრივი ხასიათის 10.000-ზე მეტი დოკუმენტი. წარდგენილი პრეტენზიებისა და სარჩელების საფუძველზე სამომსახურეო ორგანიზაციათა სასარგებლოდ ამოღებულია 6 მილიონ 400 ათასი მანეთი. მარტო გარდაბნის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებმა (6 ადვოკატი ემსახურება 10 ორგანიზაციას) წარდგენილი პრეტენზიებისა და სარჩელების საფუძველზე მოპასუხე ორგანიზაციებიდან 814 ათას მანეთზე მეტი ამოიღეს.

ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სადაც ხელშეკრულებით სამართლებრივ მომსახურებას აწარმოებენ ადვოკატები, საზოგადოებრივ საწყისებზე განხილია საკონსულტაციო პუნქტები. აქ უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ და მოქმედი კანონმდებლობის სახაზლებს აცნობენ მოსახლეობას კვალიფიციური იურისტები.

ყურადღებას იმსახურებენ ადვოკატები ა. როსტიაშვილი, ვ. ლესელიძე, შ. კალმახელიძე, ლ. ზედგენიძე, გ. ცინცაძე, ს. ტრავკინა, რ. ოსიპოვი, ზ. თომაძე, ნ. რობიაშვილი, ზ. მჭედლიშვილი, ნ. ბუაძე, ტ. მურუსიძე და სხვები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს. საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური ქონების დაცვას, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას, დებიტორული დავალიანებების დროულ ლიკვიდაციას, პრეტენზიებისა და სარჩელების დანიშნულებისამებრ წარდგენისა და შრომითი დავების გამომწვევი მიზეზების ანალიზს, საწარმოთა და ორგანიზაციათა აღმინისტრაციასთან ერთად მკაცრად იბრძვიან შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

აქვე გვინდა ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების მიუხედავად, ადვოკატთა კოლეგიამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმას, რათა რესპუბლიკის ყველა იურიდიული კონსულტაცია აქტიურად იყოს ჩაბმული ამ საქმიანობაში. სამწუხაროა, რომ საგრძნობლად დაბალია კოლეგიის წევრთა მონაწილეობა „სახაგრომრეწვის“ სისტემის ობიექტების იურიდიულ მომსახურებაში. ზოგიერთი რაიონების იურიდიული კონსულტაციის გამგეები და ადვოკატები სათანადო ინიციატივასა და მონაშობებს ვერ იჩენენ, რომ რაც შეიძლება მეტ საწარმოთან და მეურნეობასთან გააფორმონ ხელშეკრულებები იურიდიულ მომსახურებაზე. სამწუხაროდ, ამ საქმეში ნაკლები მხარდაჭერა იგრძნობა საბჭოთა და სამე-

ურნეო ორგანიზაციებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებისაგან. მათი პასიური პოზიცია გარკვეულ სიძინელებს ქმნის და ცხადია ადვოკატთა კოლეგიას ამიტომაც უჭირს სადირექტივო ორგანოების მიერ დასახული ღონისძიებების სრულად განხორციელება (კასპის, ბოგდანოვის, ორჯონიკიძის, წულუკიძის, ლენტეხის რაიონები, ქ. წყალტუბო და ა. შ.). აი მაგალითიც: წულუკიძისა და ორჯონიკიძის (სასოფლო) რაიონების იურიდიულმა კონსულტაციებმა დღემდე ვერ შეძლეს თუნდაც ერთ საწარმოსთან, ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან გაეფორმებინათ ხელშეკრულება სამართლებრივი მომსახურებისათვის. ამ რაიონებში მომუშავე ადვოკატები ფაქტობრივად მოწყვეტილნი არიან იმ საქმიანობას, რომელიც მათ კონსტიტუციით აქვთ დაკისრებული.

პრეზიდიუმის ხელთ არსებული მასალებით დადგენილია ისიც, რომ ცალკეული იურიდიული კონსულტაციების გამგეები და ადვოკატები ჭერ კიდევ არაადაამკაყოფილებლად ასრულებენ ხელშეკრულებით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. პრაქტიკულ საქმიანობაში სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ ზემდგომი ორგანოების სავალდებულო მითითებებითა და მეთოდური რეკომენდაციებით, არ ზრუნავენ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად (გეგმეკორის, ცაგერის, ბოლნისის, ლენინგორის, სიღნაღის რაიონების, ქ. წყალტუბოს და ქ. ჭიათურის იურიდიული კონსულტაციები).

რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში კვლავაც გაატარებს დამატებით ღონისძიებებს იურიდიული კონსულტაციების გამგეებისა და ადვოკატების პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, რათა მათ მტკიცედ გარდაქმნან თავიანთი დამოკიდებულება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის პლენუმების მოთხოვნათა საფუძველზე, გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა სათანადოდ განხორციელდეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით მინიჭებული უფლება და გაუმჯობესდეს ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევის მდგომარეობა.

დღეს, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის ისტორიულ ეტაპზე, როდესაც თანმიმდევრულად ხორციელდება პროფილაქტიკური მუშაობა სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრომელთა კოლექტივებში სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებას, უფრო მეტადაა საჭირო, რომ ყველა საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას ემსახურებოდეს კვალიფიციური იურისტი, აქ კი ადვოკატებს, რა თქმა უნდა, უპირველესი ადგილი ეკისრებათ.

კანონის კომენტარი

სისსლის საპართლის კანონის სრულყოფისათვის

ოთარ ბაშჩაღლიძე

საბანონმდებლო ტექნიკის სრულყოფა კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. რაც უფრო დანვეწილი და გამართულია კანონი ტექნიკური თვალსაზრისით, მით უფრო ნათლად, ყველასათვის გასაგებად იქნება გამოხატული მასში კანონმდებლის აზრი, მისი ნება. ტექნიკურად სრულქმნილი, ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებული და დანვეწილი კანონმდებლობა ძლიერ აადვილებს სასამართლო შეცდომების თავიდან აცილებას მართლმსაჯულების განხორციელების დროს.

საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა სისსლის სამართლის სფეროში, რადგან იგი, სამართლის სხვა დარგებს შორის, ყველაზე უფრო რეპრესიულია და ადამიანის პირად უფლებებში იჭრება. ამიტომ არის, რომ ამ სფეროში სულ

მცირედენი შეცდომა, კანონიერების სულ უბრალო დარღვევაც კი საოცრად მტკივნეულია. საქონმდებლო ტექნიკა უბრალოდ რომ ვთქვათ, კანონმდებლის აზრის გამოსახვის ფორმაა. სამართლებრივი აზრის გამოხატვის თანამედროვე ფორმები კი, დღეს რომ ჩვეულებრივად ეჩვენება კაცს, სინამდვილეში ხანგრძლივი ისტორიული განვითარების ნაყოფია. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად, რაც უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია საქონმდებლო ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით, სრულიად უცხო იყო ფეოდალური სისხლის სამართლისათვის. ასეთი დაყოფა სისხლის სამართლის კოდექსისა მხოლოდ ბურჟუაზიული ეპოქის გარიჟრაჟზე გახდა შესაძლებელი.

პირველი საქონმდებლო აქტი, რომელშიც ზოგადი ნაწილი უკვე გამოყოფილია კერძო ნაწილისაგან, საფრანგეთის 1791 წლის 25 სექტემბრის სისხლის სამართლის კოდექსი იყო.¹

მე-19 საუკუნის დამდეგიდან მოკიდებული სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად იმდენად აუცილებელი და ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ წარმოუდგენელიც კია რომელიმე თანამედროვე კოდექსი ამ დაყოფის გარეშე. სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფას ზოგად და კერძო ნაწილებად უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ნორმები, რომლებიც საერთოა კერძო ნაწილის მრავალი მუხლისათვის, თანდათანობით, ისტორიული განვითარების კვალობაზე, ცალკე გამოიყო და ასე შეიქმნა კოდექსის ზოგადი ნაწილი, რამაც ხელი შეუწყო საქონმდებლო ტექსტის ეკონომიას და უფრო მოსახერხებელი გახდა მისი გამოყენება.

კოდექსის ზოგადი ნაწილი, ცხადია, არ არის მოწყვეტილი კერძო ნაწილს და ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოიდგინება. ეს ნაწილები კოდექსის ერთიან სისტემაში არიან მოქცეული და ერთმანეთთან გარკვეული ლოგიკური კავშირი აქვთ. ამის გამო ქმედობის სწორი კვალიფიკაციისათვის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილებს შორის არსებული კავშირის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საჭიროა.

ქმედობის კვალიფიკაციისათვის პირველად, ცხადია, უნდა მივმართოთ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლს, რომლითაც ეს ქმედობა აღწერილი. ისმება კითხვა: როდის ვიყენებთ ზოგადი ნაწილის მუხლს? როგორც ცნობილია, ზოგჯერ ზოგადი ნაწილის მუხლებში აღწერილია ის ქმედობები, რომლებსაც არ მოიცავენ კერძო ნაწილის მუხლები. აქედან ლოგიკურად უნდა დავასკვნათ: თუ ამრძომ ნაწილის მუხლი მითლიანად ან ნაწილშია მხ. მანც მოიცავს იმ ქმედობას, რომლის კვალიფიკაციაც ჩვენ გვინდობრძებებს, მაშინ ზოგადი ნაწილის მუხლის გამოყენება ზედმეტია. აქ მთავარია არ დაირღვეს პრინციპი, რომლის მიხედვითაც არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე. მაშასადამე, აღმოჩნდა არ შეიძლება პასუხი აგოს იმ ქმედობისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული (ანალოგიის აკრძალვა).

ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაციური შემადგენლობა ისეა აგებული, რომ კანონმდებელი, ადგილის ეკონომიის გამო, აღარ იმეორებს მუხლის წინა ნაწილში აღწერილ ძირითად შემადგენლობას მთლიანად და ცვლის მას სიტყვებით „იგივე ქმედობა“ და ა. შ. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი ასეა აგებული: „ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ესე იგი, თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრახ ჩადენა ან არჩადენა სამსახურებრივ მოთხოვნათა, საწინააღმდეგოდ, რამაც არსებითი ზიანი მიიყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“.

ამ მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია ასეა ჩამოყალიბებული: „იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტემატიურად ან ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ან რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი“. ისმება კითხვა: რას გულისხმობს „იგივე ქმედობა?“ მოიცავს თუ არა ეს სიტყვები 186-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციას მთლიანად, ესე იგი, ამ ნაწილით აღწერილ მოქმედებასაც და შედეგსაც — „არსებით ზიანს“, რომელიც გამოწვეული იქნება ანგარებით და ა. შ? ცხადია, რადგან კანონმდებელი საგანგებოდ არაფერს ამბობს, „იგივე ქმედობაში“ საგულისხმებელია მოქმედებაც და შედეგიც (არსებითი ზიანი), ესე იგი, ყველაფერი რაც 186-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციითაა აღწერილი.

მაგრამ ზოგიერთი ანალოგიური მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკითხი არც მთლად

¹ П. Н. Люблинский. Техника, толкование и казуистика уголовного кодекса. Петроград, 1917, с. 52.



ახე იოლი გადასაწყვეტია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვიჩვენოს. მაგალითად: საქართველოს სსრ სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით ისტება უკანონო თევზაობა, თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში დღიდან ასეთი მოქმედებისათვის აღმინისტრაციული სახდელის დადებისა“. ამ მუხლის მეორე ნაწილში კი ნათქვამია: „იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ანდა თევზის ჭერის სარეწი იარაღის, ფთქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით“.

ამ მუხლის პირველი ნაწილით პასუხს ვერ აგებს კაცი, თუ ის პირველად ჩადენილი უკანონო თევზაობისათვის აღმინისტრაციული წესით არ ყოფილა დასჯილი და შემდეგ არ გაიმეორა ანალოგიური მოქმედება ერთი წლის განმავლობაში. მეორე ნაწილის სიტყვები „იგივე ქმედობა“ გულისხმობს პირველი ნაწილის დისპოზიციის სრულად გამეორებას. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ვთქვათ, კაცმა უკანონოდ ითევზავა, რისთვისაც მას აღმინისტრაციული სახდელი დაედო. ერთი წლის განმავლობაში მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური მოქმედება; ეს უკვე საქმარისია, რომ სამართალდამრღვევა პასუხი აგოს საქართველოს სსრ სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით. მაგრამ, ვთქვათ, ეს შემთხვევა არ გამოვივლინა და მან კვლავ, ამჯერად მესამედ, ჩაიდინა დასახელებული მოქმედება, რომელიც უკვე გამოვივლინა. როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ ეს დანაშაული, 175-ე მუხლის პირველი თუ მეორე ნაწილით? თუ სიტუაციის სიტუაცი გავიგებთ 175-ე მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციას „იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით“, უნდა ვთქვათ, რომ ამ მოქმედებას ვერ დავაკვალიფიცირებთ 175-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვინაიდან კაცს მმმრმდ არ ჩაუდენია უკანონო თევზაობა ერთი წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის აღმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

მაგრამ სიტუაცებს „იგივე ქმედობა“, ესე იგი, უკანონო მოქმედების ორჯერ ჩადენა, როცა პირველი დარღვევისათვის აღმინისტრაციული სახდელი იყო დადებული ერთი წლის განმავლობაში, ვფიქრობ, მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აგრეთვე 175-ე მუხლის მეორე ნაწილის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნების მიმართაც (თევზაობა ფთქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით და ა. შ.).

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ აქედან? უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ, თუ კაცი პირველად თევზაობს რაიმე საყოველთაოდ საშიში საშუალებით, მან პასუხი უნდა აგოს მხოლოდ აღმინისტრაციული წესით. თუკი ეს კაცი აღმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ გაიმეორებს ასეთსავე მოქმედებას, იგი მიეცემა პასუხისმგებლობაში მხოლოდ 175-ე მუხლის პირველი ნაწილით. იგივე კაცი 175-ე მუხლის მეორე ნაწილით აგებს პასუხს, თუკი მესამედაც ჩაიდენს ანალოგიურ მოქმედებას.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში სიტუაციები „იგივე ქმედობა“ ასე არ არის გაგებული და საქართველოს სსრ სსკ-ის 175-ე მუხლის მეორე ნაწილით აკვალიფიცირებენ საყოველთაოდ საშიში საშუალებით (ელექტროდენის გამოყენებით თევზაობა და ა. შ.) თევზაობის პირველსავე შემთხვევას. ცალკეული მაგალითების მოტანას აქ აზრი არა აქვს, ვინაიდან ასეთი კვალიფიკაცია აქა-იქ კი არ გვხვდება, არამედ საერთოდ ამ გზით მიდის ჩვენი სასამართლო პრაქტიკა.

ამ მუხლის მაგალითმა გვიჩვენა, რომ გამოთქმა „იგივე ქმედობა“ უფრო მეტი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ საქონმდებლო პრაქტიკაში. უმჯობესია მის ნაცვლად კვალიფიციური შემადგენლობის აღწერა დავიწყოთ იმ სიტუაციების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენებით, რომლებითაც აღწერილია შესაბამისი დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა. ამის ნიმუშად გამოდგება საქართველოს სსრ სსკ-ის 150-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეა ფორმულირებული: „ქურდობა, ესე იგი მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება“. ამ მუხლის კვალიფიციური ნაწილების აღწერისათვის კანონმდებელი ყველგან იმეორებს სიტუაციას „ქურდობა“ და არ იყენებს გამოთქმას „იგივე ქმედობა“. ანალოგიურად არის კონსტრუირებული ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი სხვა მუხლიც.

ზოგჯერ კანონმდებელი სხვა გზას ირჩევს დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის აღწერისას, მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 123-ე მუხლის მესამე ნაწილში ვკითხულობთ: „ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილში გათვალისწინებული აბორტის გაკეთება ხელობის სახით... და ა. შ. (იხ. აგრეთვე საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხ. მესამე ნაწ. და სხვ.)“.

მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის საქონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით შესწავლის დროს ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ, რაც სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. ეს არის, ასე ვთქვათ, სანქციაში შერწყმული დისპოზიციები (იხ. საქართველოს

სსრ სსკ-ის 1883 წაწ. მეორე, 178-ე, წაწ. მესამე, 2091 და სხვ. მუხლები). მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის მესამე ნაწილი ასეა ფორმულირებული:

„ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედებანი, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან რომელიც აღრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ანდა რომელმაც აიღო ქრთამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, —

იხტება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ოთხიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, სსრ სსკ-ის ბანსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში — სიკვდილით, ძონების კონფისკაციით“ (ხაზგასმა — ო. ბ.).

ამ ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს 189-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგებოდეს, მაშინ, როცა სინამდვილეში იგი ოთხნაწილიანია. მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის არასრულყოფილებას უნდა მიეწეროს ის, რომ ეს მეოთხე ნაწილი ნათლად არ არის გამოყოფილი მუხლის მესამე ნაწილისაგან, ამიტომ გარეგნულად, ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს იგი, ეს მეოთხე ნაწილი დამოუკიდებლად არ არსებობდეს. თუმცა ამგვარაა, რომ აქ ხაზგასმული სიტყვები 189-ე მუხლის მესამე ნაწილისაგან განსხვავებული, სრულიად ახალი დისპოზიცია, ახალი ნორმაა, რომელიც ამავე ნაწილის სანქციაშია შერწყმული. სიტყვები „ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ ახე უნდა წავიკითხოთ: „ქრთამის აღება განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“, რისთვისაც დაწესებულია ბანსაკუთრებით განსაზღვრული სანქცია — სიკვდილით დასჯა — ქონების კონფისკაციით. საკმარისია ამ სიტყვებით გამოხატული დისპოზიცია ცალკე აზნაცის სახით გამოიყოს, რთა სრულიად ნათელი გახდეს, რომ 189-ე მუხლი ოთხი ნაწილისაგან არის შემდგარი.

მიზანია, რომ ახეთნაირად კონსტრუირებული მუხლები, რომლებიც ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ვახშირდა ჩვენს საკანონმდებლო პრაქტიკაში, უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ მსგავსმა ფორმულირებამ შეიძლება კანონიერების დარღვევაც კი გამოიწვიოს. რახან სიტყვები „ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ ცალკე აზნაცის სახით არ არის გამოყოფილი და ეს დისპოზიცია ამ მუხლის მესამე ნაწილის სანქციაშია შერწყმული, საგამოძიებო ორგანოს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს სიტყვები მოცულია 189-ე მუხლის მესამე ნაწილით და ბრალდებულს ბრალიც სწორედ ამ მესამე ნაწილით დასდოს. ამის საფუძველზე ხავსებით მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა თავის საბრალდებო სიტყვაში სიკვდილით დასჯაც კი მოითხოვოს. განსახველი კი, პირიქით, მთელი სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს, ვიდრე საბრალდებო სიტყვას მოისმენდეს, შეიძლება ფიქრობდეს, რომ 189-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომლითაც მას ბრალი დაედო, მხოლოდ თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, ვინაიდან ხხენებული მუხლის მესამე ნაწილით უფრო მძიმე სასჯელი არც არის გათვალისწინებული. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იგი სწორედ ამ სასჯელის ფარგლებში იცავდეს თავს. მაგალითად, შესაძლებელია, იმ იმედით, სიკვდილით დასჯა მინც არ მომელისო, განსახველმა აღიაროს კიდევ თავისი დანაშაული. ასე, რომ სიკვდილით დასჯის ნაწილში, რაც მისთვის სრულიად მოულოდნელად მოითხოვა სახელმწიფო ბრალმდებელმა და გამოიყენა სასამართლომ განაჩენში, იგი სრულიად დაუცველი აღმოჩნდება.

იმის საილუსტრაციოდ, რომ 189-ე მუხლის მესამე ნაწილის ფორმულირებამ მართლა შეიძლება გამოიწვიოს ასეთი გაუგებრობა, საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ჩვენი სასამართლო პრაქტიკიდან. ერთ-ერთი სკოლის დირექტორს კ.-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით (იგულისხმება 189-ე მუხლის 1886 წ. 11 ივნისის რედაქციის მესამე ნაწილი). შემდგომმა სასამართლო ინსტანციამ ეს განაჩენი გააუქმა და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნა. სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში იქნა მიღებული ისიც, რომ საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის მეორე ნაწილი (ახლანდელი მესამე ნაწილი) თითქოს ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას და ბრალდებული სამართალში არ ყოფილა მიცემული სასამართლოს განმწესრიგებელ ხხლომაზე, რაც აუცილებელი იყო საქართველოს სსრ სსკ-ის 222-ე მუხლის თანახმად.

ეს მოსაზრება, რასაკვირველია, სწორი არ იყო, ვინაიდან 189-ე მუხლის მეორე ნაწილი (როგორც ახლანდელი მესამე ნაწილი) არამც და არამც არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. ამ ნაწილით დადგენილი იყო თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სიკვდილით დასჯა, როგორც ვნახეთ, კანონით დაწესებულია ქრთამის აღებისათვის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში, რაც კ.-ს არც ჰქონდა წარდგენილი და არც შეიძლება ჰქონოდა მის მიერ

2. „საბჭოთა სამართალი“, № 2

საქ. სსრ კ. მარსახ, სახ. ნესტაგიგალიძე

ჩადანილი ქმედობის გაცილებით ნაკლები საშიშროების გამო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სასამართლომ მას განაჩენით 189-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სამი წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარა.

ამ მუხლთან დაკავშირებით დგება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. როგორ უნდა გასწორდეს ის ტექნიკური არასრულყოფილება, რომელიც საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე და ზოგიერთ სხვა მუხლს ახლავს თან და 2. ვიდრე ეს უზუსტობა გასწორდებოდეს, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ბრალდების ფორმულირება და როგორ უნდა განისაზღვროს კვალიფიკაცია 189-ე მუხლის დღევანდელი რედაქციის საფუძველზე.

189-ე მუხლის დახვეწა ტექნიკური თვალსაზრისით, ცხადია, ადვილი საქმეა. საკმარისია სიტყვები „ქრთამის აღება განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“, შესაბამის სანქციასთან ერთად, ცალკე აბზაცად გამოიყოს და ყველაფერი მოგვარდება. უფრო რთულია იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ ანუ რომელმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა გააკეთოს ეს. ეს საკითხი დგება იმიტომ, რომ საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის ტექსტი შემუშავებულია საქვეწმითო კანონმდებლის მიერ. უფრო ზუსტად, ამ მუხლის ტექსტი აღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებიდან, რომელიც მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გამოიცა. ამის გამო ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა ხსენებული ცვლილება 189-ე მუხლში შეიტანოს რესპუბლიკის კანონმდებელმა? ვინაიდან ეს ცვლილება წმინდა ტექნიკური ხასიათისაა და ის საქვეწმითო კანონმდებლის აზრს არა თუ არ ცვლის, უფრო აზუსტებს კიდევ, შეიძლება ეს რესპუბლიკის კანონმდებელმაც გააკეთოს.

როგორ უნდა გადავლახოთ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ის ხირთული, რასაც კვალიფიკაციის საითხში გვიქმნის საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის დღევანდელი კონსტრუქცია? მიმაჩნია, რომ თუკი საბრალდებო დასკვნაში ბრალდების ფორმულირება 189-ე მუხლის მხრლმდე შესამე ნაწილს მოიცავს, სასამართლოს უფლება არა აქვს განაჩენით გასცდეს ამ ფორმულირებას და გამოიყენოს სიკვდილით დასჯა, რადგან ამ მუხლის შესამე ნაწილით ეს სასჯელი, როგორც ზემოთ ითქვა, გათვალისწინებული არ არის. სიკვდილით დასჯის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ბრალდების ფორმულირება მოიცავს 189-ე მუხლის სიტყვებს: ქრთამის აღება „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ და შემდეგ საბრალდებო დასკვნაში კონკრეტულად იქნება აღწერილი და დასაბუთებული, თუ რით გამოიხატა ამ „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ ქრთამის აღება.

ზოგჯერ კანონმდებელი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ანუ მაკვალიფიცირებელ ნიშნად ითვალისწინებს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად პასუხისმგებლობის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება არის განზრახი მკვლელობის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება, როგორც ვიცით, განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. კანონში, სადაც ეს ცნებაა განსაზღვრული, ამავე დროს მინიშნებულია, რომ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გამოყენებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ კაცი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტად იყო ცნობილი „ამ დანაშაულის ჩადენამდე“ (იხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 44-ე მუხ.). ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაკვალიფიცირდება განზრახი მკვლელობა მხოლოდ მაშინ, თუ მკვლელი ამ მკვლელობის ჩადენამდე, ესე იგი, წინა განაჩენით იყო აღიარებული განსაკუთრებით საშიში რეციდივისტად.

მაგრამ ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში სწორად არა აქვთ გაგებული ის საკითხი, თუ რას ნიშნავს წინა განაჩენით დამნაშავის განსაკუთრებით საშიში რეციდივისტად აღიარება. საგულისხმოა ამ მხრივ თ. ჯ-იას საქმე, რომელიც განსაკუთრებით საშიში რეციდივისტად იყო აღიარებული ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 29 აპრილის განაჩენით. ეს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 1988 წლის 19 ივლისს, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი განიხილა და უარი უთხრა მის მოთხოვნას. მაგრამ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ესე იგი 1988 წლის 19 ივლისამდე თ. ჯ-იამ სპეციულოატორში განზრახ მოკლა პატიმარი. მიუხედავად ამისა, ეს ახალი დანაშაული დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით (განზრახი მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ) და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სის.

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1984 წლის 14 მარტის განაჩენით თ. ჯ-იას სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა მიეხაზა.

ეს კვალიფიკაცია სწორი არ იყო. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1984 წლის 21 მაისის დადგენილებით განაჩენი შეიცვალა. თ. ჯ-იას ქმედობა საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 105-ე მუხლზე. პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თ. ჯ-იას მიმართ სასამართლო კოლეგიამ დაარღვია კონსტიტუციური პრინციპი, რომლის თანახმადაც ბრალდებული (განსახელო) უდანაშაულოა მანამ, სანამ მისი ბრალი არ იქნება დამტკიცებული და დადგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.²

საქართველოს სსრ სსკ-ის მე-11 მუხლის მიხედვით არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს ბრალდებულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად. ეს პრინციპი ვრცელდება აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარებაზეც. როგორც ვიცით, საქართველოს სსრ სსკ-ის 44-ე მუხლით განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ დანაშაულის ჩადენა ითვლება მაკვალიფიცირებელ ნიშნად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული „კანონით დადგენილი წესით“ იყო ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ამ დანაშაულის ჩადენამდე. სიტყვები „კანონით დადგენილი წესით“ აქ შემთხვევით როდია გამოყენებული. ეს იმას ნიშნავს, რომ განაჩენი, რომლითაც მსჯავრდებული განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იყო აღიარებული, კანონიერ ძალაში უნდა იყოს შესული ახალი დანაშაულის ჩადენის დროს.

მაგრამ ეს დებულება მართკ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი ქმედობის კვალიფიკაციის დროს როდი გამოიყენება. ეს წესი უნდა გავრცელდეს ყველა შემთხვევაზე, როცა რეციდივი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია. ცნობილია, რომ რეციდივი რამდენიმე სახისაა. ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ოთხი სახის რეციდივს:

1. არაერთგვაროვანი რეციდივი;
 2. ერთგვაროვანი რეციდივი;
 3. სპეციალური რეციდივი და
 4. განსაკუთრებით საშიში რეციდივი.³
- მოქმედი კანონმდებლობა რეციდივის წოგად ცნებას არ განსაზღვრავს. კანონმდებლობაში განსაზღვრულია მხოლოდ რეციდივის ერთი სახის, კერძოდ, განსაკუთრებით საშიში რეციდივის ცნება. იურიდიულ ლიტერატურაში რეციდივად ითვლება ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაული ჩადენილია წინა დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ, ხე ეგი, რეციდივი დანაშაულის ისეთი განმეორებაა, როცა კაცი წინა დანაშაულისათვის უკვე მსჯავრდებულია,⁴ ამიტომ, ის დებულება, რომელიც წემოთ ჩამოვაყალიბეთ განსაკუთრებით საშიში რეციდივის მიმართ, საერთო უნდა გახდეს რეციდივის ყველა სახისათვის.

ეს შით უფრო აუცილებელია, რომ ამ ბოლო დროს რეციდივი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება კანონმდებლის მიერ დანაშაულის მაკვალიფიცირებულ ნიშნად. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-3 პ., 110-ე მუხ. მე-8 ნაწ., 117-ე მუხ. მე-4 ნაწ., 122-ე მუხ. მე-4 ნაწ., 187-ე მუხ. მე-2 ნაწ., 188-ე მუხ. მე-2 ნაწ., 165-ე მუხ. მე-8 ნაწ. და სხვ.

ყველა აქ დასახელებულ და მსგავს შემთხვევაში, როცა ქმედობის კვალიფიკაციას ვახდენთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კაცი წინა დანაშაულისათვის გასამართლებული იყო „კანონით დადგენილი წესით“. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში უნდა იყოს შესული. ვთქვათ, სპეკულაციისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გასაჩივრებულია საკასაციო წესით და ვიდრე ამ საჩივარს განხილავდეს ზედგამი სასამართლო, მსჯავრდებულმა კვლავ ჩაიდინა სპეკულაცია. ახლად ჩადენილი სპეკულაციის შემთხვევა ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ-ის 165-ე მუხლის მე-8 ნაწილით, ვინაიდან წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ იყო შესული კანონიერ ძალაში ახალი დანაშაულის ჩადენის დროს.

მეორე მხრივ, შესაძლებელია წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში კი იყო შესული, მაგრამ ნასამართლობა კაცს უკვე მოხსნილი ან გაჭარწყლებული ჰქონდა, როცა მეორე დანაშაული ჩაიდინა. ვერც ამ შემთხვევაში მიეცემა

² იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1984, № 4, გვ. 24.

³ იხ. გ. ტყემლიაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1965,

გვ. 60.

⁴ იქვე, გვ. 66.

წინა მსჯავრდებას მაკვალიფიცირებელი ნიშნის მნიშვნელობა და ამიტომ პასუხისმგებლობაც ვერ გაუძლიერდება დანაშაუვს. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ საქონმდებლო წინადადება, რომლის მიხედვით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს სასურველია დაემატოს ასეთი შინაარსის 891 მუხლი:

„მუხ. 891. ძმედობის კვალიფიკაცია დანაშაულის რეციდივის დროს.

როცა რეციდივი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად არის გათვალისწინებული კანონით, მაშინ ქმედობის ამ ნიშნით დაკვალიფიცირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ქმედობის ჩადენის დროს წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში იყო შესული და, ამავე დროს, ნასამართლობა კაცს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული“.

საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლის რედაქსიისათვის

ავთანდილ კოჯანიძე,

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევისათვის. რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში ამ დანაშაულს 199-ე მუხლი მოიცავს, მაგრამ იგი რამდენადმე განსხვავებული შინაარსისაა და შედგება ორი ნაწილისაგან. მიწის თვითნებური მიტაცებისათვის პასუხისმგებლობის გარდა ითვალისწინებს აგრეთვე სისხლის სამართლებრვ პასუხისმგებლობას თვითნებური მშენებლობისათვის¹. საქართველოს სსრ სსკ კი თვითნებურ მშენებლობას ცალკე გამოყოფს 221-ე მუხლში.

სტრუქტურულ სხვაობასთან ერთად აქ არსებითი განსხვავება შეინიშნება ამ მუხლებით ერთიდაიგივე დანაშაულისათვის დადგენილ როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელებში. სახელდობრ, რსფსრ სსკ 199-ე მუხლის პირველი ნაწილი მიწის თვითნებური მიტაცების, მიწის ნაკვეთის თვითნებური გაცვლის, ყიდვა-გაყიდვის ან მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონების დამრღვევი სხვაგვარი მოქმედებისათვის ითვალისწინებს გამასწორებელ სამუშაოს ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე. საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლი კი ანალოგიური დანაშაულისათვის აწესებს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით, ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე მიწის ნაკვეთის და მასში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით და ამ ნაკვეთზე აგებულ ნაგებობათა კონფისკაციით ან აღებით².

რსფსრ სსკ 199-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საცხოვრებელი ნაგებობის თვითნებური მშენებლობისათვის ან თვითნებური მიშენებისათვის და სასჯელის ზომად ითვალისწი-

¹ УК РСФСР, Москва, 1986, ст. 199.

² საქართველოს სსრ სსკ, თბილისი, 1984, მუხლი 180.

ნებს გამასწორებელ სამუშაოს ექვესი თვიდან ერთ წლამდე უკანონოდ აშენებული ნაგებობის კონფისკაციით, ხოლო საქართველოს სსრ სსკ 221-ე მუხლი მსგავსი ქმედობისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოს იმავე ვადით, უკანონოდ აგებული შენობის კონფისკაციით.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობა გაცილებით მკაცრ სასჯელებს აწესებს როგორც მიწის ნაციონალიზაციის წესების დარღვევისათვის, ისე თვითნებური მშენებლობისათვის. ეს ალბათ გამოწვეულია საქართველოს პირობებში მიწის ფართობის სიმცირითა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მიწის მიტაცებისათვის თავისუფლების აღკვეთას. მხოლოდ ამიერკავკასიისა და შუა აზიის მოკავშირე რესპუბლიკები მიმართავენ ასეთ მკაცრ სანქციებს, დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში მსგავსი ქმედებისათვის დაწესებულია მხოლოდ გამასწორებელი მუშაობა ან ჯარიმა.

ჩვენი აზრით, ასეთი დიდი სხვაობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელებში არ უნდა იყოს.

თუ ძირითად სასჯელებში არსებულ სხვაობას ერთგვარი გამართლება შეიძლება მოვუძებნოთ, ვერ აგვიხსნია რითი ხელმძღვანელობდა ქართველი კანონმდებელი, როცა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევისათვის დამატებით სასჯელად აწესებდა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას და ნაგებობის აღებას. თვითნებურად აგებული შენობის აღება (ისევე, როგორც ნაკვეთის ჩამორთმევა) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კომპეტენციაა და სასამართლო წესით მისი განხორციელება არ შეიძლება. ამიტომ ასეთი სახის დამატებით სასჯელს კანონი არც იცნობს. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამომწურავად ჩამოთვლის როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელების სახეებს და სასამართლოს უფლება არა აქვს ისეთი სასჯელი გამოიყენოს, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. კანონით თვითნებურად აგებული შენობის აღება ხელისუფლების ორგანოთა განსაკუთრებული კომპეტენციაა და სასამართლომ ეს საკითხი საერთოდ არ უნდა გადაწყვიტოს არც სამოქალაქო სამართლის და არც სისხლის სამართლის წესით. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ რსფსრ სსკ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ-ები ასეთ ღონისძიებას არ ითვალისწინებენ.

ამგვარი შეცდომები დაშვებულია მხოლოდ მოლდავეთის, ყაზახეთის და ტაჯიკეთის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებში, სადაც ლაპარაკია თვითნებურ მშენებლობაზე. ამ რესპუბლიკებში თვითნებური მშენებლობისათვის სხვა სასჯელთან ერთად დაწესებულია სახლის აღებაც³. ეს კი იურიდიული უზუსტობაა და გასწორებას მოითხოვს. სხვათა შორის, სამოქალაქო სამართლის კოდექსებში შემთხვევით არ ჩაიწერა, რომ თვითნებურად აშენებული სახლი უნდა დაინგრეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით. ასეთ შეცდომებს სასამართლოები უშვებდნენ საქმეთა სამოქალაქო წესით განხილვის დროს და კა-

³ УК Молдавской ССР, Кишинев, 1983, стат. 215; УК Казахской ССР, Алма-Ата, 1987, стат. 156; УК Таджикской ССР, Душанбе, 1984, стат. 214¹.

ნონმდებელმა ამიტომ პირდაპირ მიუთითა, რომ იგი სასამართლოს კომპეტენცია არ იყო.

კანონმდებლის უზუსტობა, ჩვენი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ თვითნებური მშენებლობა ერთ შემთხვევაში ისჯება სისხლის სამართლის წესით, მეორე შემთხვევაში კი იწვევს სამოქალაქო სანქციას ე. ი. გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსითაც და საერთოდ რთულია იმის გამიჯვნა თუ სადაა დანაშაული და სად სამოქალაქო სამართალდარღვევა. ეს საკითხი სათანადოდ არ არის ახსნილი არც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების კომენტარებში⁴, არც სახელმძღვანელო ლიტერატურაში⁵. ამის გამო პრაქტიკაშიც ძალიან ჭირს ამ ორი სახის პასუხისმგებლობის გამიჯვნა.

საჭიროა ერთიმეორისაგან განვასხვაოთ თვითნებური მშენებლობა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და თვითნებური მშენებლობა, როგორც სამოქალაქო სამართალდარღვევა.

ჩვენი აზრით, როცა მიწის ნაკვეთის მიტაცების ან თვითნებური მშენებლობის საკითხს ვიხილავთ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სფეროში სახეზე გვაქვს მოქმედი კანონით გათვალისწინებული სამი სახის სამართალდარღვევა:

1. მიწის ნაციონალიზაციის წესების დარღვევა: მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, დაგირავება, იჯარა, გაცვლა და სხვა;
2. თვითნებურად მიტაცებული თუ სხვა არაკანონიერი გზით დაუფლებული მიწის ნაკვეთზე თვითნებური მშენებლობა;
3. თვითნებური მშენებლობა კანონიერად გამოყოფილი მიწის ნაკვეთზე. აქედან პირველი ორი უნდა მივაკუთვნოთ სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედებას, ე. ი. დანაშაულს, მესამე კი სამოქალაქო სამართალდარღვევას შესაბამისი სანქციით. ე. ი. თვითნებური მშენებლობა დანაშაულად უნდა ჩავთვალოთ მაშინ, როცა ის თვითნებურად მიტაცებულ მიწის ნაკვეთზე ხორციელდება, ხოლო სამოქალაქო სამართალდარღვევად მაშინ, როცა ის კანონიერად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე წარმოებს⁶.

საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ აგრეთვე ორი სხვადასხვა დანაშაული: მიწის ნაკვეთის თვითნებურად მიტაცება და თვითნებური მშენებლობა. როცა სახეზე გვაქვს მხოლოდ მიწის ნაციონალიზაციის წესების დარღვევა, ე. ი. მიწის ნაკვეთის არაკანონიერი გზით დაუფლება, მაგრამ ამ ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლით, როგორც მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა. ამავე მუხლით

⁴ Комментарий к УК РСФСР, 1985, стр. 414-416; Комментарий к ГК РСФСР, 1982, стр. 145-147.

⁵ Советское Уголовное право, М., 1982; Советское гражданское право, М., 1985; т. 1; და სხვა სახელმძღვანელოები.

⁶ ჩვენ არ ვეთანხმებით რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 აგვისტოს № 17 დადგენილების (შემდგომი ცვლილებებით) მე-6 პუნქტში მოცემულ მითითებას იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა აგოს პირმა, რომელმაც კანონიერად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე ააშენა სახლი დადგენილი ნორმების დარღვევით. სხვათაშორის, არც ეს დადგენილება განმარტავს, თუ რით განვასხვაოთ თვითნებური მშენებლობა როგორც დანაშაული და როგორც სამოქალაქო სამართალდარღვევა.

უნდა დაკვალიფიცირდეს აგრეთვე მიტაცებული მიწის ნაკვეთზე არასაცხოვრებელი ნაგებობის აშენება. როცა ასეთ მიწაზე თვითნებურად შენდება საცხოვრებელი სახლი ან ხორციელდება მიშენება, სახეზე გვაქვს დანაშაულის სხვა სახე და იგი უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 221-ე მუხლით. ამ შემთხვევაში სსკ 180-ე მუხლის წარდგენა საჭირო აღარ არის, რამდენადაც სახლის თვითნებური მშენებლობა, როგორც დანაშაული, მოიცავს მიწის ნაკვეთის თვითნებურ მიტაცებასაც.

აღბათ ამ გარემოების გაუთვალისწინებლობით უნდა აიხსნას საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლის სანქციის უზუსტობა, რომლითაც არასწორად არის გათვალისწინებული მიტაცებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა, ამ ნაკვეთზე აგებული ნაგებობის კონფისკაცია ან აღება. როგორც უკვე ითქვა, მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა (ისევე როგორც მიცემა) და ნაგებობის აღებაც ადმინისტრაციული აქტია, იგი სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის. ეს საკითხი ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როცა საკითხს აყენებს საგამოძიებო თუ სასამართლო ორგანოების წინაშე პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ. სხვანაირად არც შეიძლება, არც მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა და არც ნაგებობის აღება დამატებით სასჯელთა სახეებს არ განეკუთვნება და სასამართლომ ეს სანქცია არ უნდა გამოიყენოს პირის სისხლის სამართლის წესით მსჯავრდების დროს. რაც შეეხება თვითნებურად აგებული შენობის კონფისკაციას, ასეთ დამატებით სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, მაგრამ 180-ე მუხლის სანქციაში ეს გათვალისწინებული არ არის, რადგან ამ მუხლით მსჯავრი ედება მხოლოდ იმ პირს, ვინც თვითნებურად დაიკავა მიწის ნაკვეთი და ჯერ კიდევ არ აუგია მასზე საცხოვრებელი სახლი. თუ ასეთ ნაკვეთზე თვითნებურად აშენებენ საცხოვრებელ სახლს, გვექნება სსკ 221-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ხოლო ეს მუხლი თავისთავად ითვალისწინებს ამ სახლის კონფისკაციას. სწორედ ამიტომ რსფსრ სს კოდექსმა მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცებისათვის სასჯელის დადგენის დროს არ მიუთითა ამ ნაკვეთზე აგებული შენობის კონფისკაციაზე.

ასევეა ეს საკითხი გადაწყვეტილი ბევრი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. გამოჩაქისია მხოლოდ საქართველოს, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის რესპუბლიკების სს კოდექსები, რომლებიც მიწის ნაკვეთის მიტაცებისას ამ ნაკვეთზე აგებული შენობის კონფისკაციასაც ითვალისწინებენ. ჩვენი აზრით, ესეც არ არის სწორი, რამდენადაც თუ ასეთ ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლია აშენებული, გამოკვეთილია დანაშაულის სხვა შემადგენლობა — თვითნებური მშენებლობა და ამ ნორმით უნდა გადაწყდეს სახლის კონფისკაციის საკითხი, ხოლო თუ მიტაცებულ მიწაზე სხვა ნაგებობა აშენდა, არც უნდა დადგეს მისი კონფისკაციის საჭიროება. საქმე ის არის, რომ სახლის კონფისკაცია ნიშნავს ამ სახლის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვას და ეს შეიძლება შეეხოს არა ყველა სახლს, არამედ ისეთ ნაგებობას, რომელიც სრულყოფილია არქიტექტურული თვალსაზრისით და შეიძლება ჩაირიცხოს კომუნალურ ფონდში. სხვა სახის თვითნებური ნაგებობა კი არ შეიძლება ჩაირიცხოს კომუნალურ ფონდში და ეს არც ხდება პრაქტიკულად. ამიტომ, თვითნებურად მიტაცებულ მიწაზე აგებული ნაგებობის (არა საცხოვრებელი სახლის) დანგრევის სა-

კითხს წყვეტს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო და კანონით მისი კონფისკაციის გათვალისწინება არ შეიძლება. ასევე აღმასკომის მოვალეობაა იმ სახლის აღება, რომელიც არქიტექტურული თვალსაზრისით კომუნალურ ფონდში ვერ ჩაირიცხება. სასამართლო იხილავს მხოლოდ დამნაშავე პირის პასუხისმგებლობისა და არქიტექტურულად აშენებული სახლის კონფისკაციის საკითხს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რსფსრ სსკ 199-ე მუხლის პირველ ნაწილს აქვს ერთი თავისებური ნაკლი, რაც არ გამოჩენია საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლს. კერძოდ, საქართველოს სსრ სსკ 180-ე მუხლი ითვალისწინებს მიწის ნაკვეთში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევას, რაც რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული არ არის. საქმე ის არის, რომ მიწის თვითნებური ყიდვა-გაყიდვით ან სხვაგვარი გასხვისებით მიღებული საზღაური დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონებაა და საქართველოს სსრ სსკ 77-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შემოსავალში უნდა ჩაირიცხოს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის გარდა მიტაცებული მიწის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლის კონფისკაციას ითვალისწინებენ აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქმენეთის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები⁷. აზერბაიჯანის სსრ სსკ 162-ე მუხლი ითვალისწინებს ნათესების კონფისკაციას, სომხეთის სსრ სსკ 219-ე მუხლის მეორე ნაწილი ასეთი მიწის ნაკვეთიდან მიღებული ფულადი თუ სხვა ანაზღაურების, ნათესებისა და მოსავლის კონფისკაციას, ხოლო თურქმენეთის სსრ სსკ 188-ე მუხლი მოსავლის კონფისკაციას. ჩვენი აზრით, ამ ფორმულირებებიდან არცერთი არ არის ზუსტი და ამომწურავი. დანაშაულებრივი გზით მიწის ნაკვეთის გასხვისებისას ან მისი გამოყენებით შესაძლებელი ხდება საკმაოდ დიდი უკანონო შემოსავლის მიღება. ასეთი ქონება არ ითვლება კანონიერად და მისი კონფისკაცია ამიტომაც გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

მიგვაჩნია, რომ თვითნებური მშენებლობა ცალკე დანაშაულის სახედ არ უნდა იყოს გამოყოფილი, როგორც ეს უმრავლესი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშია. მიწის თვითნებური მიტაცება და თვითნებური მშენებლობა ერთად მხოლოდ ხუთი რესპუბლიკის (რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი და ტაჯიკეთი) სისხლის სამართლის კოდექსებშია. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ლატვიის სსრ სსკ საერთოდ არ ითვალისწინებს თვითნებური მშენებლობისათვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უკანასკნელ პერიოდში, საჭიროა დაიხვეწოს თითოეული მუხლი, გარკვევით ჩამოყალიბდეს ყველა დანაშაული, რათა ადგილი არ ჰქონდეს გაუგებრობას ან ზედმეტობას. კოდექსები შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება დამატებითი განმარტებებისა და ცვლილებების გარეშე. სწორედ ამიტომ ვთვლით აუცილებლად, რომ საქართველოს სსრ სსკ 221-ე მუხლი ამოვიღოთ კოდექსიდან და დანაშაულის ეს შემადგენლობა შევიტანოთ ამავე კოდექსის 180-ე მუხლში.

⁷ УК Азербайджанской ССР, Баку, 1984, стат. 162; УК Армянской ССР, Ереван, 1983, стат. 219; УК Туркменской ССР, Ашхабад, 1983, стат. 188.

ამასთან, გარკვევით უნდა ჩაიწეროს, რომ თვითნებური მშენებლობა სისხლის სამართლის წესით დასჯადია მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოებს მიტაცებული მიწის ნაკვეთზე. აქვე საჭირო იქნება გავითვალისწინოთ არა მარტო საცხოვრებელი სახლის თვითნებური მშენებლობა, როგორც ეს ამჟამადაა გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 221-ე მუხლით და ბევრი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით (რსფსრ, უკრაინა, ყაზახეთი, თურქმენეთი, ბელორუსია, ტაჯიკეთი), არამედ სხვა ნაგებობათა თვითნებური მშენებლობაც, როგორც ლიტვისა და სომხეთის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშია. თუმცა, სანქციაში მითითებული უნდა იყოს არა საერთოდ ამ ნაგებობის კონფისკაციაზე, არამედ საცხოვრებელი სახლის კონფისკაციაზე. სხვა ნაგებობა როგორც წესი, უნდა დაინგრეს აღმასკომის გადაწყვეტილებით. აღმასკომმავე (რაიონული, საქალაქო) უნდა გადაწყვიტოს მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის საკითხიც.

არ მიგვაჩნია სწორად, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მშენებლობის წესების დარღვევისათვის, კერძოდ კი პროექტით ნებადართულზე მეტი ფართობის აშენებისა და სხვა რამ წვრილმანისათვის, როცა მშენებლობა კანონიერად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს. მართალია ამგვარ პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ მოლდავეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის და უზბეკეთის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები⁸, მაგრამ იგი გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს. ასეთ დროს უნდა ვიკმაროთ სამოქალაქო სანქციები, რადგან არ შეიძლება ყოველგვარ სამართალდარღვევას დანაშაული დავარქვათ.

ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება თვითნებური მშენებლობისათვის სასჯელის სახედ დაწესდეს ჯარიმაც, რადგან ჯარიმა ხშირ შემთხვევაში უფრო ეფექტურია და უკეთაც პასუხობს დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესებს.

საჭიროა აგრეთვე კანონმდებელმა უფრო ფართოდ გაიგოს ტერმინი „მიწის თვითნებური მიტაცება“. კერძოდ, ამ ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცება, არამედ მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონთა ყოველგვარი დარღვევა: მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, დაგირავება და ა. შ. რადგან ასეთ დროს პირი ყოველთვის კანონიერი საფუძვლის გარეშე ფლობს მიწის ნაკვეთს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ სახის დანაშაულს ეწოდოს ერთი ზოგადი სახელი: „მიწის თვითნებური მიტაცება“. რა თქმა უნდა მუხლის დისპოზიციაში უნდა აღინიშნოს თუ რა იგულისხმება ამ მიტაცებაში.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჭიროა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოვიღოთ 221-ე მუხლი და დანაშაულის ეს შემადგენლობა მეორე ნაწილად შევიტანოთ ამავე კოდექსის 180-ე მუხლში. ამასთან, ეს მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით:

„მუხლი 180. მიწის თვითნებური მიტაცება და თვითნებური მშენებლობა. მიწის თვითნებური მიტაცება (ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გაცვლა, დაგირა-

⁸ УК Молдавской ССР, Кишинев, 1983, стат. 215; УК Азербайджанской ССР, Баку, 1984, стат. 162; УК Киргизской ССР, Фрунзе, 1984, стат. 210; УК Узбекской ССР, Ташкент, 1984, стат. 191³.

ვება, ან მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონთა სხვაგვარი დარღვევა) ის-
 კება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუ-
 შაობით იმავე ვადით ან ჯარიმით 500 მანეთამდე, უკანონოდ მიღებული შე-
 მოსავლის კონფისკაციით.

თვითნებურად მიტაცებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის ან
 სხვა ნაგებობის თვითნებურად აშენება ისევე თავისუფლების აღკვეთით ვადით
 ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაობით იმავე ვადით, ან ჯარიმით 500
 მანეთამდე თვითნებურად აგებული სახლის და უკანონოდ მიღებული შემოსავ-
 ლის კონფისკაციით ან უამისოდ“.

ამ მუხლის ამგვარი ფორმულირება თავიდან აგვაცილებს ბევრ პრაქტი-
 კულ სირთულესა და თეორიულ გაუგებრობას.

სასამართლო ექსპერტიზა: სიანჯლენი და პრაქტიკა

სასამართლო - საბუღალტრო ექსპერტიზის მომზადება და დანიშვნა

ჯ. შუმბერ მბხარაძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური
 რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი
 თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

საქმომეტაო გარდაქმნის პროცესში სამეურნეო დისციპლინის განმტკიცებისათვის სა-
 სამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის საქმიანობის შემდგომ სრულყოფას უაღრესად დიდი
 მნიშვნელობა აქვს.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლო-საბუ-
 ლტრო ექსპერტიზის მომზადების, დანიშვნის და ჩატარების დროს ჯერ კიდევ არსებობს სე-
 რიოზული ნაკლოვანებები, რის გამოც გაცემული დასკვნები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე
 მოთხოვნებს. არსებული ნაკლოვანებების შესწავლის მიზნით გავაანალიზეთ 1980-1986 წლებში
 საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული სიხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტიზის ჩატარე-
 ბის გარეშე დაბრუნებული და შეჩერებული საქმეები. ცხადია, ამით მთავარი ამოცანა მთლია-
 ნად ვერ გადაიჭრება, მაგრამ მისი შედეგების გათვალისწინება და საჭირო დასკვნების გამო-
 ტანა კი ის აუცილებელი პირობაა, რომელიც საჭიროა ჩვენი შემდგომი მუშაობის სრულყო-
 ფისათვის.

სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად თავს
 იჩენს ექსპერტიზის მომზადებისა და დანიშვნის, ექსპერტიზის ჩატარებისა და მისი წარმოების
 დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაგინდ კარგადაც უნდა წარიმართოს სასამართლო-საბუღალტ-
 რო ექსპერტიზის მუშაობა, მის ეფექტიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნება თუ სასამართლო
 და საგამოძიებო ორგანოებმა თანმიმდევრულად არ შეასრულეს ის აუცილებელი მოთხოვნე-
 ბი, რომლებიც საჭიროა სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის მომზადებისა და დანიშვნის
 სათვის.

აღნიშნული პერიოდის გამოკვლევით ძირითადად შემდეგი მიზანი დავისახეთ:

1. გავვერცხვა სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის მომზადების, დანიშვნის და ჩატა-

რების დროს არსებული ნაკლოვანებები სტიქიურია, პერიოდულია თუ მას სისტემური ხასიათი აქვს;

2. მიღებული შედეგების საფუძველზე მოგვეხდინა აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიზეზების კლასიფიკაცია (დაჯგუფება), რათა უფრო კონკრეტული გაგვეხადა ჩვენი მუშაობა;

ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ იმ განზოგადობებს შეუძლია მოგვეცეს სასურველი შედეგი, რომლებიც ეყრდნობა და გამომდინარეობს მრავალწლიანი მუშაობის შედეგებიდან. ამასთან მრავალწლიან დეტალურ ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება დადგინდეს, თუ რომელ რეგიონში (ქალაქი, რაიონი) და რომელ სასამართლო-საგამოძიებო ქვედანაყოფში (პროკურატურა, სასამართლო, მილიცია, სახელმწიფო არბიტრაჟი) არის საჭირო სასწავლო-მეთოდური მუშაობის გაძლიერება.

იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის საქმიანობაში, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ზემოაღნიშნული პერიოდი გავეყუო ორ ნაწილად (1980-84 წწ. და 1985-86 წწ.) და მიღებული მონაცემები შეგვედარებინა, რათა დაგვედგინა თუ რა ცვლილებები მოხდა ბოლო წლებში წინა წლებთან შედარებით.

ექსპერტიზის ჩატარების გარეშე სისხლის სამართლის საქმეების დაბრუნების მიზეზები დაგვაყვით ოთხ ძირითად ჯგუფად:

1. საქმის სათანადოდ მოუმზადებლობა;
2. როცა დადგენილებაში არსებული კითხვები ექსპერტ-ბუღალტრის კომპეტენციაში არ შედის;
3. რევიზიის აქტის უზარისხობა.
4. სხვადასხვა მიზეზი;

მართალია, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქსპერტო დაწესებულებაში სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ინსტრუქციის მე-15 მუხლში გარკვევით წერია, რომ „კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ექსპერტიზისათვის წარმოდგენილი მასალები უნდა შეიცავდეს დადგენილებას (განჩინებას) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და საბუთებს, რაც აუცილებელია ექსპერტ-ბუღალტრისათვის გამოსაკვლევად. წარმოდგენილი საბუთები უნდა იყოს ჩაკერებული და დანომრილი“, სამწუხაროდ, აღმდეგ ვერ მივაღწიეთ ამ საკითხის მოგვარებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ექსპერტიზის ჩატარებისათვის ხშირად წარმოდგენილია საქმის რამდენიმე ათეული ტომი აუკინძავი და დაუნომრავი დოკუმენტები. ცხადი გახდება, რომ პრაქტიკულად, ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია. სისხლის სამართლის საქმის მოუმზადებლობის გამო აღნიშნულ პერიოდში დაგაბრუნეთ 8 საქმე: აქედან პროკურატურაში 5, შინაგან საქმეთა ორგანოებში — 3.

სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოსული სისხლის სამართლის საქმეები ხშირად მოუმზადებელია, აკლია სათანადო დოკუმენტები, რის გარეშე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია და საქმე უბრუნდებათ შეუხრულებლად. ამ მიზეზების გამო 1980-86 წლებში სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებს დაუბრუნდათ 110 საქმე. არც თუ იშვიათად სისხლის სამართლის საქმეს შევაჩერებთ ხოლმე და დაუინებოთ ვთხოვლობთ საჭირო საბუთების წარმოდგენას. მაგალითად, თბილისის პროკურატურიდან შემოსულ საქმეზე ორჯერ ვაცნობეთ საჭირო საბუთების წარმოდგენის შესახებ, მაგრამ ამაოდ. ცხადია, საქმე უკან დაგაბრუნეთ შეუხრულებლად. სამწუხაროდ, მრავალი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება.

არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო საქმეს უკან ვაბრუნებთ, მაგრამ მას ხელშეორედ გვიგზავნიან კვლავ მოუმზადებელს. ზემოაღნიშნულ პერიოდში ორჯერ შემოვიდა და ორჯერვე უკან დაგაბრუნეთ სისხლის სამართლის საქმე ქ. ბორჯომის სახალხო სასამართლოში, დღეშეთის შინაგან საქმეთა ქვედანაყოფილებაში, ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის პროკურატურაში და თბილისის ქალაქის პროკურატურაში.

ზოგჯერ საგამოძიებო ორგანოები და მომკვლევები პირები ჩვენ გვთხოვენ საბუთების ამოღებას ორგანიზაციებიდან, მაშინ როცა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქსპერტო დაწესებულებაში სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ინსტრუქციის მე-11 პუნქტში და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1980 წლის 8 აპრილის № 1 ბრძანებაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ექსპერტ-ბუღალტრის არა აქვს უფლება შეაგროვოს და ამოიღოს დასკვნის მისაცემად ის საჭირო მასალები, რომლებიც საქმეში არ მოიპოვება. 1984 წლის 22 აპრილს ლაბორატორიაში შემოვიდა განჩინება სამოქალაქო საქმეზე ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოდან. ითხოვდნენ ექსპერტიზის ჩატარებას, მაგრამ მოდავე ორჯერ



ნიწაციებში თურმე ჩვენ უნდა მივსულიყავით და ამოგვეღო საბუთები. ცხადია, საქმე შეუსრულებლად დაუბრუნდა სასამართლოს, ხოლო მოსამართლეს განფუძრტეთ, რომ მოდევნო განიწაციებში საბუთები უნდა ამოიღოს სასამართლომ. მიუხედავად ამისა, 1984 წლის 20 ივლისს იგივე საქმე განმეორებით შემოვიდა ლაბორატორიაში.

საბუღალტრო ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოსული საქმეები შეუსრულებლად უბრუნდებათ იმ მიზეზით, რომ დადგენილებაში არსებული კითხვები ექსპერტ-ბუღალტრის კომპეტენციაში არ შედის. მაგალითად, ხშირად გვეკითხებიან თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, ვინ არის დამნაშავე, რით არის გამოწვეული დანაკლისი, რა გზით არის დატაცებული თანხები. ხწორად არის თუ არა ჩატარებული დოკუმენტური რევიზია და სხვა. ცხადია, ეს საკითხები უნდა გადაწვევით სინფინრო, ტექნიკურმა, სასაქონლო ან სხვა სახის ექსპერტიზამ, და არა საბუღალტრო ექსპერტიზამ. ამ მიზეზების გამო 1980-86 წლებში სამართალდამცავ ორგანოებს შეუსრულებლად დაუბრუნდათ 80 საქმე.

ხშირად დოკუმენტური რევიზიის აქტი უხარისხოა და მოითხოვს დახვეწას. დოკუმენტური რევიზიის აქტში ასახულ დარღვევებზე და არახწორად გაცემულ თანხებზე არ არის რევიზორის მიერ გამოყვანილი საბოლოო შედეგები და გაკეთებული არ არის დასკვნები, თუ რა რაოდენობის თანხებია არახწორად გაცემული, საქმეში არ არის წარმოდგენილი აღწერიდან აღწერამდე განვლილ პერიოდში მატერიალურ პასუხისმგებლობათა მოძრაობის დანართები, საქმე მოითხოვს დამატებითი რევიზიის ჩატარებას, რევიზიას არ შეუძლებია ის საკითხები, რომლებიც ანტიტრეტებს გამოძიებას და სხვ. ამ მიზეზების გამო 1980-86 წლებში შეუსრულებლად დავაბრუნეთ 12 სისხლის სამართლის საქმე.

ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმეებს შეუსრულებლად უკან ვაბრუნებთ სხვა მიზეზების გამოც. კერძოდ, საბუღალტრო ექსპერტიზის წარმოების პროცესში ირკვევა, რომ მას წინ უნდა უძღოდეს სხვა სახის ექსპერტიზები, მაგალითად, სასაქონლო, სინფინრო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, ზოგვეტრინალური და სხვ.

არის შემთხვევები, როცა საბუღალტრო ექსპერტიზის მიმდინარეობის დროს სისხლის სამართლის საქმის ზოგერთ ტომს, ახალი საკითხების წამოჭრასთან დაკავშირებით, უკან გაითხოვენ ხოლმე, შემდეგ აღარ აბრუნებენ, ან თვითონ მოითხოვენ საქმის მთლიანად დაბრუნებას.

ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმეებს შეუსრულებლად ვაბრუნებთ იმ მიზეზით, რომ ექსპერტიზის ჩასატარებლად წარმოდგენილი საქმე არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, კითხვები საცნობარო ხასიათისაა, ან საკიროებს უბრალო არითმეტიკული მოკმედების შესრულებას.

ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო 1980-86 წლებში სამართალდამცველ ორგანოებს დაუბრუნდათ 19 სისხლის სამართლის საქმე. ამრიგად, 1980-86 წლებში ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოსული 1749 საქმიდან შეუსრულებლად დავაბრუნეთ 171 საქმე, ე. ი. 9,8 პროცენტი, მათ შორის: საქმის მოუმზადებლობის გამო — 110 საქმე, იმის გამო, რომ დასმული კითხვები ექსპერტ-ბუღალტრის კომპეტენციაში არ შედის — 80, რევიზიის აქტის უხარისხობის გამო — 12, ხოლო სხვადასხვა მიზეზის გამო — 19 საქმე.

1980-86 წლებში საბუღალტრო ექსპერტიზისათვის წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეებიდან შეუსრულებლად უკან დაუბრუნდა პროკურატურას 878 საქმიდან — 87, სასამართლოს 99 საქმიდან — 38, შინაგან საქმეთა ორგანოებს 756 საქმიდან — 41, სახელმწიფო არბიტრაჟს 18 საქმიდან — 10 საქმე.

ამრიგად, 1980-86 წლებში სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოსულ საქმეთა ყოველი მეათე უკან ბრუნდება შეუსრულებლად.

ირკვევა, რომ ამ ხშირე განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა აქვთ სასამართლოებსა და სახელმწიფო არბიტრაჟს, რადგან აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ სასამართლოებიდან შემოსული ყოველი მეხამე სისხლის სამართლის საქმე, ხოლო არბიტრაჟიდან შემოსული ყოველი მეორე საქმე ბრუნდება შეუსრულებლად. უფრო დიდია დაბრუნებული და შეჩერებული საქმეების რაოდენობა და იგი შეადგენს შესაბამისად სასამართლოებისათვის 45,5 პროცენტს, ხოლო არბიტრაჟისათვის — 61 პროცენტს.

საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმეთა შეუსრულებლად დაბრუნება უმეტესად გამოწვეულია შესაბამისი ორგანოების უყურადღებობით, საქმისადმი ზერტელე დამოკიდებულებით, ხშირად ვერ ერკვევიან წარმოდგენილ საქმის ვითარებაში, ექსპერტიზას ნიშნვენ მოუმზადებლად, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საკირო მასალების სრულყოფილად შეკრებასა და მოწესრიგებას. ამასთან ექსპერტებმაც მეტ

ყურადღება უნდა გამოიჩინონ, რათა არ მიიღონ მოუმზადებელი საქმეები და გააძლიერონ მე-
თოდური მუშაობა ამ მიმართულებით.

მართალია, შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1985-86 წლებში 1980-82 და 1983-84
წლებთან შედარებით დაბრუნებული საქმეების რაოდენობა თითქმის ერთიორად შემცირდა,
ახევრე საგრძობლად შემცირდა შემოაღნიშნულ პერიოდში დაბრუნებული და შეტერებული
საქმეების რაოდენობაც, მაგრამ დღეისათვის არსებული ობიექტური ვითარება კვლავ არასახარ-
ბიელოა და თვითდამშვიდების უფლება არ გვაქვს.

კიდევ ერთხელ ნაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტი-
ზის მომზადებისა და დანიშვნის დროს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს სისტემატური ხა-
სიით გააჩნია და, რომ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები ამ საკითხს ვერ აქცევენ ჯეროვან
ყურადღებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ პასუხისმგებლობის მოხსნას და არსე-
ბული ნაკლოვანებების მხოლოდ სხვაზე გადაბრალებას. პირიქით, დაბეჭოთებით შეიძლება ითქ-
ვას, რომ შემოაღნიშნული ნაკლოვანებები და შეცდომები გარკვეულ წილად შეიძლება აიხსნას
ლაბორატორიის საბუღალტრო გამოკვლევების განყოფილების სასწავლო-მეთოდურ მუშაო-
ბაში არსებული ხარვეჭებით. საჭიროა, რომ მიმდინარე გარდაქმნის პროცესის შესაბამისად
ჩვენც ძირეულად გარდავქმნათ მუშაობა და სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებთან ერთად
მივადწიოთ თითოეულ საქმეზე სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დროულად და ხარის-
ხიანად ჩატარებას.



ოფიციალური მასალა

საპარტევლოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

1988 წლის 18 მარტს გაიმართა საპარტევლოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუ-
ტატის არჩევნები თერჯოლის რაიონის ზოგნარის საარჩევნო ოლქში, ხელისუფ-
ლების უმაღლეს ორგანოში არჩეულია საპარტევლოს სსრ იუსტიციის მინისტრი
ბიტორ აბიგოს ძე შარაშენიძე.



ვიქტორ აბიგოს ძე შარაშენიძე დაიბადა 1937 წელს, სკკპ
წევრია 1980 წლიდან, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლე-
ბა, სპეციალობით სამართალმცოდნეა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების
შემდეგ ვ. ა. შარაშენიძე მუშაობდა საქართველოს სამო-
ქალაქო ავიაციის სამმართველოს საჩივრებისა და პრეტენზი-
ების ინსპექტორად. 1962-1968 წლებში იყო საქართველოს
პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის უფროსი კონსულტ-
ანტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონო-
მიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თა-
ნამშრომელი. 1968-1987 წლებში სწავლობდა საბჭოთა კა-
ნონმდებლობის საკავშირო. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-
ტის ასპირანტურაში.

1967 წლიდან ვ. ა. შარაშენიძე იყო საქართველოს პროფსაბჭოს ლექტორთა ჯგუფის
გამგე, ხოლო შემდეგ — იურიდიული კონსულტაციის გამგე.

1975-1978 წლებში ვ. ა. შარაშენიძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად. 1978 წლიდან
იყო საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე, ხოლო 1985 წლიდან პირველი მოადგილე.

1987 წლიდან ვ. ა. შარაშენიძე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრია.



დანიშნა

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1987 წლის 17 დეკემბრის ბრძანებით გიორგი შოთას ძე თითბერიძე დაინიშნა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსად.

დაიბადა 1955 წელს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1972 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე და დაიწყო შრომითი საქმიანობა ქ. თბილისის № 11 სანოტარო კანტორაში მდივნად. 1973 წლიდან მუშაობს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში ექსპედიტორად, ხოლო ამავე წლის თებერვლიდან იუსტიციის სამინისტროს კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე სამეურნეო ნაწილის გამგედ. 1978 წელს მეხუთე კურსის სტუდენტი მუშაობას იწყებს ცეკავშირის იურიდიულ განყოფილებაში იურისკონსულტად, მალე ნიშნავენ საქართველოს სსრ

სახელმწიფო არბიტრაჟში არბიტრად, სადაც მუშაობდა 1985 წლამდე. 1985-86 წლებში მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურაში ჯერ საერთო ზედამხედველობის პროკურორად, შემდეგ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1987 წელს გადაიყვანეს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად.

სკკპ წევრია 1976 წლიდან.

პროკურატურის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

* * *

საქართველოს სსრ პროკურორის 1988 წლის 3 თებერვლის ბრძანებით ანზორ კონსტანტინის ძე ბალუაშვილი დაინიშნა რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსად.

დაიბადა 1943 წელს. 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1967 წლის იანვრიდან შეუდგა შრომით საქმიანობას პროკურატურის ორგანოებში. ჯერ სტაჟირია, ხოლო 1967 წლის აგვისტოდან ქ. ბათუმის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი. 1971 წლის თებერვალში დაინიშნა რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, სადაც იმუშავა 1978 წლის მარტამდე. შემდეგ დაინიშნა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორის მოადგილედ. 1979 წლის ნოემბრიდან ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების უფროსის მოადგილეა, ხოლო 1980 წლის მარტიდან ქ. თბილისის

პროკურორის უფროსი თანაშემწე. ამავე წლის სექტემბერში ა. ბალუაშვილი დაინიშნა ქ. თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსად. 1986 წლის თებერვლიდან 1987 წლის დეკემბრამდე კი რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილეა. არის სკკპ წევრი.

შრომში მიღწეული წარმატებებისათვის მრავალჯერ არის დაჯილდოებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის პროკურორის მიერ.

* * *

საქართველოს სსრ პროკურორის 1988 წლის 22 თებერვლის ბრძანებით გიორგი ვახტანგის ძე გეგეჭკორი დაინიშნა რესპუბლიკის პროკურატურის შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსად.

დაიბადა 1936 წელს. 1955 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლა, ამავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, იყო ასეულის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი და ნაწილის ალკ კომიტეტის ბიუროს წევრი.

არმიაში სამსახურის პერიოდში მიიღეს სკკპ რიგებში. 1958 წელს საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩაირიცხა ქ. სარატოვის უმაღლეს იურიდიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1962 წელს. გ. ვ. გეგეჭკორი



1963 წლის იანვრიდან მუშაობას იწყებს პროკურატურის ორგანოებში. ამავე წლის ივლისიდან საქართველოს სსრ პროკურატურის შრომა-განაწორების დაწესებულებებში კანონიერ-

ბის დაცვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორაი.

არაერთხელ არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და რესპუბლიკის პროკურორის მიერ.

* * *

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 8 თებერვლის ბრძანებულებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჯიშშიძე მისიძის ძმ ვაშაძის მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ წოდება.

* * *

დაჯილდოება

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1987 წლის 6 დეკემბრის ბრძანებით ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლაშარა იონას ასული ჩორბოლაშვილი დაჯილდოვდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამკერდე ნიშნით „შრომითი წარმატებისათვის“ და სამახსოვრო საჩუქრით.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1988 წლის 1 თებერვლის ბრძანებით საქართველოს სსრ პროკურატურის კადრების განყოფილების უფროსი პროკურორი ელშარდ იბრაჰიმის ძე ბულიაშვილი და სტატისტიკის განყოფილების უფროსი კობი თეოდანას ძე ნარმაშვილი დაჯილდოვდნენ „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით.



მხოლოდ ციფრები

ბასულ 1987 წელს ჩვენს რესპუბლიკაში 28,6 პროცენტით შემცირდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის, გასაღების, წმარების და სხვა დანაშაულებრივი ქმედობებისათვის მსჯავრდებულთა რიცხვი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-258 მუხლები).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ კატეგორიის ყოველი მესამე მსჯავრდებული, როგორც წესი, დანაშაულის ჩადენის დროს არც მუშაობდა და არც სწავლობდა, ხოლო მათი 86,9 პროცენტი ადრე სხვადასხვა დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი. როგორც შეიმჩნევა, ამ სახის დანაშაული უფრო მეტად ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებებშია გავრცელებული. გასულ წელს ამ რიცხვმა 86,6 პროცენტი შეადგინა, დანარჩენი 13,4 პროცენტი კი სოფლად მცხოვრებლებზე განაწილდა.

მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 23,7 პროცენტმა დანაშაული ჭეუფურად ჩაიდინა. მათგან 44,7 პროცენტი მუშაა, 12,8 პროცენტი მოსამსახურე, 2,5 პროცენტი კოლმეურნე, 1,9 პროცენტი სკკ წევრი და წევრობის კანდიდატი, 10,6 პროცენტი კომკავშირელი. სამწუხაროდ, მსჯავრდებულთა 4,8 პროცენტი ქალია, 2,1 პროცენტი არასრულწლოვანი. ამას გარდა, 18-დან 25 წლამდე ასაკისაა მსჯავრდებულთა 21,9 პროცენტი, 25-დან 30 წლამდე ასაკისა — 33,7 პროცენტი. 30-დან 50 წლამდე ასაკისა — 40,5 პროცენტი, 50 წელზე ზევით — 1,8 პროცენტი.

სასჯელის ღონისძიებებიდან უმეტესად გამოყენებულია თავისუფლების აღკვეთა და იგი ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა 85,1 პროცენტს შეადგენს, 5,9 პროცენტს შეეფარდა გამასწორებელი სამუშაოები, პირობითი მსჯავრი დაედო 0,5 პროცენტს, პირობით შრომაში სა-

ვალდებული ჩაბმა 5,4 პროცენტს.

სასჯელის დამატებითი ღონისძიება — ქონების კონფისკაცია, გამოყენებულია მსჯავრდებულთა 68,8 პროცენტზე.

საქართველოს სსრ იუსტიციის საინსტიტუტოს
 სასამართლო საბატონიკოს განყოფილება

ფსიქიატრიული დახმარების გაწევის პირობებისა და წესის დებულება

დამატიცეზულია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
 1988 წლის 5 იანვრის ბრძანებულებით

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად განსაზღვრავს ფსიქიკური მოშლილობის მქონე პირებისათვის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გაწევის, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის პირობებსა და წესს, აგრეთვე ფსიქიკურად ავადმყოფების საშიში მოქმედებისაგან საზოგადოების დაცვის ღონისძიებებს.

ფსიქიატრიულ დახმარებას ავადმყოფებს უწევენ დემოკრატიზმის, სოციალისტური კანონიერების, ჰუმანიზმისა და კეთილმოწყალების პრინციპების საფუძველზე.

2. ფსიქიკური მოშლილობებით დაავადებულ პირებს გარანტირებული აქვთ:

უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევა მეცნიერების, ტექნიკისა და სამედიცინო პრაქტიკის თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე;

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ნებადართული ლმობიერი სამედიცინო საშუალებებისა და მეთოდების, აგრეთვე მოვლა-შენახვის, რაც შეიძლება ნაკლებად შემზღვეველი პირობების გამოყენება, რაც საჭიროა მკურნალობის მიზნების მისაღწევად; პატივისცემა და ჰუმანური დამოკიდებულება, რომელიც გამორიცხავს ადამიანის ღირსების შელახვას;

სოციალური და სამართლებრივი დახმარება, სასამართლო დაცვა, საპროკურორო ზედამხედველობა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად;

ავადმყოფის, მისი ნათესავების თუ კანონიერი წარმომადგენლების შუამდგომლობით მისი შემოწმებელი კომისიის შემადგენლობაში შეყავთ შესაბამისი ადგილის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების დაწესებულებებში მომუშავე ნებისმიერი ფსიქიატრი ექიმი;

დაუშვებელია ჩამოერთვას უფლებები ან შეეზღუდოს კანონიერი ინტერესები მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი იმყოფება ფსიქიატრიული მეთვალყურეობის ქვეშ ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში).

ფსიქიკურად ჯანმრთელი პირის მოთავსებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოჰყვება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

3. პირები, რომელთა მიმართაც არის საკმაო საფუძველი ფსიქიკური მოშლილობის ვარაუდისა, შეიძლება მათი თანხმობის გარეშე შემოწმებულ იქნენ ფსიქიატრიულად, დაუწესონ მათ დინამიკური დისპანსერული მეთვალყურეობა, უმკურნალონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) მხოლოდ ამ დებულებით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

4. ფსიქიატრი ექიმი ფსიქიკურად დაავადებულებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევასთან და მათ მიერ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების შესაძლო ჩადენის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ მოვალეობათა შესრულებისას დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და ხელმძღვანელობს მხოლოდ სამედიცინო ჩვენებებითა და კანონით.

5. პირებს, რომლებმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეიტყვეს ცნობები მოქალაქეთა ფსიქიკური მოშლილობის შესახებ, უფლება არა აქვთ გაამხილონ ისინი. ამ ცნობების გამხელისათვის აღნიშნულმა პირებმა პასუხი უნდა აგონ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მოსახლეობისათვის ფსიქიატრიული დახმარების გაწვევის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ხელმძღვანელობას, აგრეთვე კონტროლს მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის დაცვისადმი ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უნდა ზრუნავდნენ ფსიქიკურად დაავადებული პირებისათვის, იცავდნენ მათს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ახორციელებდნენ ღონისძიებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი პირების ჩამოსათვის: უზრუნველყოფდნენ შრომისუნარიანი პირების შრომით მოწყობას საწარმოებსა და ორგანიზაციებში მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; საჭიროებისამებრ ორგანიზაციას უწევდნენ შრომის შემსუბუქებელი პირობების მქონე სპეციალურ წარმოებებს პირებისათვის, რომლებსაც შეზღუდული შრომისუნარიანობა აქვთ; კანონით დადგენილი წესით უნიშნავდნენ მეურვეებს (კანონიერ წარმომადგენლებს) ფსიქიკურად ავადმყოფებს, რომლებსაც ეს სჭირდებათ; ხელს უწყობდნენ ასეთი პირების საბინაო პირობების გაუმჯობესებას; ახორციელებდნენ სხვა ღონისძიებებს სხვაგვარი სოციალური დახმარების გასაწევად.

II. პირველადი ფსიქიატრიული უმეოფემა

8. პირველადი ფსიქიატრიული შემოწმება მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიატრი ექიმის კომპეტენციაა და ეწყობა შესამოწმებელი პირის თანხმობით, ხოლო თექვსმეტ წლამდე პირისა — მისი მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით. თუ შეუძლებელია პირის ფსიქიკური მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტა ამბულატორიულ პირობებში, ასეთი შემოწმება ეწყობა ფსიქიატრიული საავადმყოფოს (განყოფილების) პირობებში.

ფსიქიატრი, რომელიც ახორციელებს პირველადს შემოწმებას, ვალდებულია შესამოწმებელ პირს ოფიციალურად წარუდგინოს თავი, როგორც სპეციალისტი ფსიქიატრი.

9. ისეთი მოქმედების ჩამდენ პირს, რომელიც იძლევა საკმარის საფუძველს ვარაუდისა, რომ ამ პირს გამოხატული ფსიქიკური მოშლილობა აქვს, და თუ ეს პირი ამასთან არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, აგრეთვე უშუალო საშიშროებას უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ, შეიძლება მთავარი ფსიქიატრის განკარგულებით, ხოლო საგანგებო შემთხვევებში — სასწრაფო დახმარების სპეციალიზებული ბრიგადის ან ტერიტორიული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ფსიქიატრი ექიმის მიერ ჩატარდეს პირველადი ფსიქიატრიული შემოწმება ან პირის, მისი ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე.

10. სისხლისსამართლებრივი კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირი, თუ ეპეს შეიტანენ ფსიქიკურ სრულფასოვნებაში, იგზავება სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესით.

11. პირს, რომელიც არ ეთანხმება დასკვნას მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მის ნათესავებს ან კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მთავარ ფსიქიატრთან იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების დეკლარაციების მიხედვით, რომლის ექიმებმაც დაადგინეს ფსიქიკური მოშლილობის დიაგნოზი. მთავარი ფსიქიატრი საჭიროებისამებრ ქმნის ფსიქიატრი ექიმთა კომისიას, რომლებიც სინჯავენ პირს აღძრული უშაძგომლობის შესაბამისად, და ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს ფსიქიატრი ექიმები, რომლებსაც მანამდე გაუსინჯავთ ეს პირი.

III. ამბულატორიული ფსიქიატრიული დახმარება

12. ამბულატორიული ფსიქიატრიული კონსულტაციები და სამკურნალო-აღდგენითი დახმარება, მათ შორის დინამიკური დისპანსერული მეთვალყურეობა, ხორციელდება ავადმყოფთა „საბჭოთა სამართალი“, № 2

დის თხოვნით ან თანხმობით, ხოლო თუ ავადმყოფს თექვსმეტი წლის ასაკისათვის არ მიუღწევია ან თავის ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ ძალუძს თავისი ნება-სურვილის თავისუფალი გამოვლინება — მისი ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით.

13. ისეთი ქრონიკული ფსიქიკური სენით დაავადებულ პირებს, რომლებსაც არასასიკეთოდ მიმდინარეობის ტენდენცია აქვთ, ვისაც სჭირდება სავალდებულო მკურნალობა და დინამიკური დისპანსერული მეთვალყურეობა, ამბულატორიულ ფსიქიკურ დანმარებას უწყვეტ მათი თანხმობით, აგრეთვე მათი ნათესავების თუ კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

14. გადაწყვეტილებას ავადმყოფისადმი სავალდებულო დინამიკური დისპანსერული მეთვალყურეობის საჭიროების და მისი უწყვეტის შესახებ იღებს ფსიქიატრ ექიმთა კომისია, ხოლო რთულ და სადავო შემთხვევებში — კომისია მთავარი ფსიქიატრის მეთაურობით.

ავადმყოფის ნათესავებს ან კანონიერ წარმომადგენლებს, ხოლო თუ ჯანმრთელობა ხელს უწყობს, თავად ავადმყოფსაც უნდა განუმარტონ მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ სავალდებულო მეთვალყურეობის საჭიროებას.

IV. სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება

15. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) ჰოსპიტალიზაციის საფუძველია, თუ პირს აქვს ფსიქიკური მოშლილობა, რომელიც მორთხავს შემოწმებას ან მკურნალობას სტაციონარის პირობებში.

პირს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) ათავსებს მხოლოდ ფსიქიატრი ექიმი მისი თანხმობით; თუ პირი ჯერ არ არის თექვსმეტი წლის ან თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ ძალუძს თავისი ნება-სურვილის თავისუფალი გამოვლინება — მისი ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით, ხოლო თუ ასეთები არა ჰყავს — მთავარ ფსიქიატრთან შეთანხმებით.

16. ავადმყოფები, რომლებიც თავიანთი ფსიქიკური მდგომარეობის გამო უშუალო საფრთხეს უქმნიან საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ, შეიძლება მოათავსონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) მათი თანხმობისა და ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე — გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის წესით — ფსიქიატრი ექიმის გადაწყვეტილებით, რომელმაც აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ეს ავადმყოფის ნათესავებს ან კანონიერ წარმომადგენლებს. ეს უნდა ეცნობოს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომ ორგანოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამოწმებს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას.

17. შინაგან საქმეთა ორგანოები ვალდებული არიან დახმარება გაუწიონ მედიცინის მუშაკებს ჰოსპიტალიზაციის განხორციელებაში ამ დებულების მე-15 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

18. გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის წესით საავადმყოფოში (განყოფილებაში) მიღებული ავადმყოფები ერთი დღე-ღამის განმავლობაში, სერთო დასვენების და სადღესასწაულო დღეების გამოკლებით, უნდა შეამოწმოს ფსიქიატრ ექიმთა კომისიამ. თუ კომისია საჭიროდ ცნობს, რომ ავადმყოფი დარჩეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) სავალდებულო მკურნალობისათვის, საავადმყოფოს (განყოფილების) ადმინისტრაცია ერთი დღე-ღამის განმავლობაში ამის შესახებ მოტივირებულ დასკვნას უგზავნის ცნობისა და კონტროლისათვის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მთავარ ფსიქიატრს ფსიქიატრიული საავადმყოფოს (განყოფილების) ადგილმდებარეობის მიხედვით, აგრეთვე შეატყობინებს ამას ავადმყოფის ნათესავებს ან მის კანონიერ წარმომადგენლებს.

ავადმყოფს, მის ნათესავებს ან კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაასაჩივრონ კომისიის გადაწყვეტილება მთავარ ფსიქიატრთან თუ გადაწყვეტილება გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის შესახებ მიღებულია ამ მთავარი ფსიქიატრის მიერ, ასეთი საჩივარი ეგზავნება ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომი ორგანოს მთავარ ფსიქიატრს.

19. ფსიქიატრ ექიმთა კომისიის დასკვნას გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციისა და სავალდებულო სტაციონარული მკურნალობის უსაფუძვლოდ შესახებ მოჰყვება ჰოსპიტალიზირებული პირის დაუყოვნებლივ გაწერა. ფსიქიკური მოშლილობის მქონე პირები შეიძლება სამკურნალოდ დატოვონ საავადმყოფოში (განყოფილებაში) მხოლოდ მათი თანხმობით, ხოლო

იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფს არ ძალუძს თავისუფლად გამოვლინოს თავისი ნება-სურვილი, — მისი ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით.

20. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) საკუთარი თანხმობით, ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით მოთავსებულ ავადმყოფებს გამოწერენ გამოჯანმრთელების შემდეგ ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რაც მიზანშეუწონელს ხდის ავადმყოფის შემდგომ ყოფნას საავადმყოფოში (განყოფილებაში), ან ავადმყოფის, მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლების განცხადების საფუძველზე.

საკუთარი თანხმობით, ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფებს შეიძლება უარი ეთქვას გაწერაზე, თუ ამის შესახებ მოთხოვნის მიღების მომენტისათვის დადგინდა, რომ თავიანთი ფსიქიკური მდგომარეობის გამო ისინი უშუალოდ საფრთხეს უქმნიან საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ. მათი შემდგომი სავალდებულო მკურნალობის საკითხს წყვეტს ფსიქიატრ ექიმთა კომისია, ხოლო რთულ სადავო შემთხვევებში — კომისია ფსიქიატრიული საავადმყოფოს (განყოფილების) ადგილმდებარეობის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მთავარი ფსიქიატრის მეთაურობით.

21. გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის წესით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) მოთავსებული პირები სულ ცოტა თვეში ერთხელ უნდა შეამოწმოს ფსიქიატრ ექიმთა კომისიამ, რათა გადაწყვიტოს, სავალდებულო მკურნალობის შეწყვეტის ან გაგრძელების საკითხი, თუ ეს ავადმყოფები დიდი ხნის მანძილზე იმყოფებიან საავადმყოფოში (განყოფილებაში). გადაწყვეტილებას სტაციონარში მათი სავალდებულო მკურნალობის გაგრძელების შესახებ ყოველ ექვს თვეში ერთხელ იღებს საავადმყოფოს (განყოფილების) ადგილმდებარეობის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მთავარი ფსიქიატრი სავალდებულო სტაციონარული მკურნალობის გაგრძელების საჭიროების შესახებ ფსიქიატრ ექიმთა კომისიის დასკვნის საფუძველზე. ამასთან, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ამოწმებენ სტაციონარებში ავადმყოფთა მოთავსების დასაბუთებულობას, აგრეთვე კონტროლს უწევენ საავადმყოფოებში (განყოფილებებში) მათი ყოფნის ხანგრძლივობას და სტაციონარში მათი სავალდებულო მკურნალობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობას.

22. სისხლისსამართლებრივი კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა ჩამდენი ფსიქიკურად დაავადებული პირების იძულებითი მკურნალობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში (განყოფილებებში) ჩვეულებრივი, გაძლიერებული ან მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

პირები, რომლებსაც სასამართლომ შეუფარდა იძულებითი მკურნალობა, სულ ცოტა ექვს თვეში ერთხელ ხელახლა უნდა შეამოწმოს კომისიამ.

**V. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მთავარ ფსიქიატრთა
იერიტაღი უზღუდა-მოვალეობანი**

23. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების საქმიანობისადმი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას, კონტროლს, რომლებიც ფსიქიატრიულ დახმარებას უწევენ ავადმყოფებს, აგრეთვე ფსიქიატრიულ შემოწმებასთან, დინამიკურ დისპანსერულ მეთვალყურეობასთან და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული რთული და სადავო საკითხების გადაწყვეტას ახორციელებენ რაიონის, ქალაქის, ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის მთავარი ფსიქიატრები, რომლებსაც ნიშნავენ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი ორგანოები.

24. მთავარი ფსიქიატრები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან: შეიმუშაონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისათვის წინადადებანი მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და ფსიქიკური მოშლილობების მქონე პირებისათვის სპეციალიზებული დახმარების ორგანიზაციის შესახებ;

კონტროლი გაუწიონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების საქმიანობას, რომლებიც ავადმყოფებს უწევენ ფსიქიატრიულ დახმარებას, რეგულარულად მოაწყონ მათი ინსპექტირება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, აგრეთვე შეამოწმონ ქვემდგომი მთავარი ფსიქიატრების მუშაობა;

განახორციელონ ფსიქიკური მოშლილობით დაავადებულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად საჭირო ღონისძიებები;

განახორციელონ ღონისძიებანი ფსიქიკურად ავადმყოფების საშიში მოქმედებისაგან საზოგადოების დაცვისათვის;

განიხილონ დადგენილი წესით მოქალაქეთა განცხადებები და საჩივრები.

25. მთავარ ფსიქიატრებს უფლება აქვთ:

პირადად აწარმოონ ან ამ დებულებების მე-8, მე-9 და მე-11 მუხლებით დადგენილ შემთხვევებში საკუთარი ინიციატივით, ნათესავების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით დანიშნონ იმ პირთა პირველადი და განმეორებითი შემოწმება, რომელთა მიმართაც არის საკმარისი საფუძველი ვარაუდისა, რომ ფსიქიკური მოშლილობა აქვთ;

გადაწყვიტონ დინამიკური დისპანსერული მეთაღყურების (აღრიცხვაზე აყვანის) და მისი შეწყვეტის (აღრიცხვიდან მოხსნის) საჭიროების საკითხი ფსიქიკური მოშლილობების მქონე პირთა მიმართ;

გაგზავნონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) ფსიქიკური მოშლილობის მქონე პირები ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მათი თანხმობის, ნათესავების თუ კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე;

მიიღონ, თუ არის სამედიცინო-სოციალური ჩვენებანი ფსიქიატრ ექიმთა კომისიის საფუძველზე, გადაწყვეტილება ფსიქიკურად ავადმყოფების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის გაგრძელების, აგრეთვე მათი გაწერის შესახებ;

აღძრან სასამართლოს წინაშე, ფსიქიატრ ექიმთა კომისიის დასკვნაზე დაყრდნობით, შუამდგომლობები სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებათა შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა ჩამდენი ფსიქიკურად ავადმყოფების მიმართ.

VI. დასკვნითი დებულებანი

26. წესებს პირველადი შემოწმების, ამბულატორიული და სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მათ შორის საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთათვის უშუალო საფრთხის შემქმნელ ფსიქიკურად ავადმყოფთა გადაუდებელი პოსპიტალიზაციის სტაციონარში ავადმყოფების მოვლა-შენახვის შესახებ, მათს უფლება-მოვალეობებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში (განყოფილებებში) ყოფნის პერიოდში ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამ დებულების შესაბამისად და ისინი უნდა გამოქვეყნდეს და ხსნილი იყოს გასაცნობად.

24. მთავარი ფსიქიატრის მოქმედება ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომი ორგანოს მთავარ ფსიქიატრთან, ხოლო შემდეგ სასამართლოში, ან უშუალოდ სასამართლოში შეუძლია გაასაჩივროს პირს, რომლის მიმართაც ჩადენილია ეს მოქმედება, აგრეთვე მის წარმომადგენელს „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

28. ზედამხედველობას კანონიერების დაცვისადმი სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მიერ ფსიქიატრიული დახმარების გაწევისას ახორციელებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისადმი დაქვემდებარებული პროკურორები „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთაუაშვილი**.

მთავარი კონსულტანტი



უჩვეულო ბავშვობა ჰქონდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების მთავარ კონსულტანტს იზა ჯამბაზი-შვილს. თქვენ თვითონ განსაჯეთ — ათწლიდის დამთავრებისათვის 12 სხვადასხვა საშუალო სკოლა გამოიცვალა. ეს რაიმე ახირების გამო კი არ მოხდა, არამედ მამა ჰყავდა სამხედრო მფრინავი და დღენიადგ ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა მთელი ოჯახი. ზოგი „ჭირი“ მარგებელიაო, ნათქვამია და პატარა იზასაც მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსე სიყმაწვილე ჰქონდა, რაც, ცხადია, ცხოვრების დიდ კვაზე გასვლის შემდეგ თავისებურ გამოცდილებად იქცა...

ათორღე წლის თუ იქნებოდა, როცა ერთ-სელ შემთხვევით მოხვდა სასამართლო პროცესზე და ამ დღიდან აჩრმა იურისტი უნდა გახდეთ. ეს ბავშვური ინტერესი შემდეგ თანდათან იმდენად სერიოზულ ოცნებად გადაქცა, რომ მისთვის აღარ უღალატია — 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თუმცა პრაქტიკული საქმიანობა გაცილებით ადრე დაიწყო — საქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში თითქმის 14 წელიწადი იმუშავა იურისკონსულტის თანამდებობაზე. ხოლო 1976 წლიდან იგი უკვე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კონ-

სულტანტია. სახალხო მეურნეობაში მიღებული საფუძვლიანი გამოცდილება და პროფესიული წრეობა დიდად წაადგა მას სამინისტროს აპარატში საქმიანობის დროს. თავიდანვე სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა ახალ მოვალეობას და ავტორიტეტი მალე მოიპოვა, როგორც საქმის მოყვარულმა. ამიტომ იყო, რომ ერთი წლის შემდეგ უფროს კონსულტანტად დააწინაურეს.

„იზა ჯამბაზი-შვილი, — ხალისით გვეუბნება იუსტიციის მინისტრის მოადგილე თედო ნინიძე, — გამოირჩევა როგორც მოვალეობის უზადო შემსრულებელი, კეთილსინდისიერი და საქმის მცოდნე“, „ამასთან ერთად, — დასძენს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი თამაზ საბაზი-შვილი, — აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი მაღალკვალიფიციურობა ეფუძნება სახალხო მეურნეობაში ხანგრძლივი პრაქტიკული საქმიანობის დროს მიღებულ გამოცდილებას; დრმად სწვდება პრობლემურ საკითხებს და მუდამ მათი ოპტიმალური გადაჭრის გზების ძიებაშია. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ იგი უადრესად გულისხმობს და ყურადღებიანია ადამიანებთან ურთიერთობაში“.

ამ სამი წლის წინ, როცა განყოფილებაში მისი მთავარი კონსულტანტის თანამდებობაზე გადაყვანის საკითხი დადგა, ყველამ უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. აქედან მოყოლებული იზა ჯამბაზი-შვილი გაორმაგებული ენერჯითი შრომობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში იურიდიული სამსახურების საქმიანობის გაუმჯობესებისა და გარდაქმნის მოთხოვნის დონეზე მისი სრულყოფისათვის.

მაღლობები, საპატიო სიგელები, ფულადი პრემიები — მისი ეს ყოველწლიური „ნადავლი“ კარგა ხანია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა... ქალბატონი იზა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. იგი ქართულ და რუსულ ენებზე ლექციებს კითხულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ კურსებსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ კურსებზე. უკვე მერვე წელია რაც პირველი მაისის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობს, არის იუსტიციის სამინისტროს სახალხო

კონტროლის ჯგუფის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციის მდივანი, რესპუბლიკის იურისკონსულტთა საზოგადოების ნაბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.

თუ ყოველივე ამას იმასაც დავუმატებთ, რომ აჭი შესანიშნავი მეუღლე, დედა და მეოჯახე ქალია, მთელი სისრულით წარმოგვიდგება იხა

ჯამბაზიშვილის სისხლსაცე ცხოვრების თითოეული დღის საზრუნავი...

მხურვალედ ვულოცავთ გაზაფხულის მშვენიერ დღესასწაულს — ქალთა საერთაშორისო დღეს და ვუსურვებთ კვლავაც ასე ენერგიულად ეშრომოს ყველა ასპარეზზე.

გელა ბერძენიშვილი.



სახალხო მოსამართლე



...სასამართლო დარბაზში მყოფნი ფეხზეამდგარნი ისმენენ განაჩენს. მათ შორის ზოგი თავჩაქინდრულია და გაოგნებული, ხოლო ზოგიც ამაყი და მშვიდი სხვების მოსაჩვენებლად. ადამიანების ერთი ნაწილი გარეგნულად როგორც თავდაჭერებული ჩანს, მაგრამ ისინიც შემკრთალნი გამოიყურებიან, რადგან არ ძალუძთ ადრევე მიხვდნენ, თუ როგორი იქნება საქმის დასასრული. უკიდურესობამდე დამაბულ, შიშით გათანგულ სიჩუმეს მხოლოდ მოსამართლის მკვეთრი, შეუვალი ხმა არღვევს და ამ წუთს მას სასოებით შესცქერიან ყველანი...

თითქმის ამგვარად მთავრდება ყველა სასამართლო პროცესი და ცხადია, ასეა მაშინაც, როდესაც მოსამართლის მანტიით ლეილა ნარიმანიძე დგას — თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო მოსამართლე.

— გარეგნულად არ ვიმჩნევ თორემ წარმოდგენილად ველავ, როდესაც განაჩენს ან გადაწყვეტილებას ვკითხულობ — ამბობს ლეილა ნარიმანიძე — არა მგონია ამ დროს ყველაზე

მთავარი ის იყოს, თუ როგორ დაკვალიფიცირდება მომხდარი ფაქტი, როგორ დაიხლება დამნაშავე. თავისთავად, ეს ხომ მოსამართლის უპირველესი მოვალეობაა და ამიტომ მას ვერც გაეძქვევი. უფრო მთავარი მე მანაც პროფესიული ოსტატობა მგონია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე ჩასწვდე ყველაფერს, ზუსტად და შეუცდომლად გააანალიზო დანაშაულის მიზეზები, გაითვალისწინო ისიც, თუ რა შეიძლება მოჰყვეს შენგან გამოტანილ სასჯელს. ის კი არასოდეს უნდა დაგავიწყდეს, რომ განაჩენისა თუ გადაწყვეტილების უკან მუდამ დგანან ადამიანები, განაწამები, ზოგჯერ რწმენაშერყეული ადამიანები, ისინი მუდარით შემოგცქერიან, შენგან მოითხოვენ შველას და იმედი არ უნდა გაუმტყუნო. ასეთ დროს დაშვებული შეცდომა ათასჯერ უფრო საშიშია და საჭიროა მთლიანად გამოირიცხოს იგი.

ამ რწმენით, აზროვნებითა და მოწოდებით ცხოვრობს ლეილა ნარიმანიძე, რომელიც გასულ წელს უკვე მეორედ აირჩიეს თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო მოსამართლედ. ეს აღიარება კი უბრალოდ არ მოსულა. ამ ახალგაზრდა, კდემამოსილმა ქალმა ყველაფერი იმით დაიმსახურა, რომ იგი საოცრად შრომისმოყვარე, განათლებული და მაღალი კვალიფიკაციის იურისტიკა.

ადრე დაიწყო ლეილა ნარიმანიძის შრომითი ბიოგრაფია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოს დასწრებულის სტუდენტი პარალელურად შინაგან საქმეთა სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი იყო და წარმატებითაც მუშაობდა მიწოდებულ უბანზე. მალე იგი საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში გადაიყვანეს სხდომის მდივანად, ხოლო, როცა იურისტის დიპლომი მიიღო, აქვე დააწინაურეს კონსულტანტად. 1978 წლიდან ლეილა ნარიმანიძე ეკონომიკისა და სასამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილებაში იწყებს მოღვაწეობას, საკანდი-

დატო მინიმუმს აბარებს და სამეცნიერო ხარისხზეც ფიქრობს, მაგრამ 1988 წელს საბურთალოს რაიონის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს და მას შემდეგ მხოლოდ პრაქტიკულ სამუშაოზეა ვხედავთ.

საერთო მონაცემების მიხედვით, ლეილა ნარიშანიძე თბილისის ერთ-ერთი მოწინავე მოსამართლე, გულისხმიერი, მცოდნე და ერთდღიერი იურისტი. აკი ამიტომაც თითქმის არასოდეს უქმდება ან იცვლება მისი განაჩენები თუ გადაწყვეტილებები. ერთხელ კი მისგან განსმართლებულმა, მაგრამ უკვე სასჯელმოსხდელმა კაცმაც მიაკითხა მადლობის სათქმელად და დასახმარებლად. ალბათ იმედი ჰქონდა, თორემ როგორ გახედავდა? არც შემცდარა. მოსამართლემ თბილად მოუსმინა გზასაცდენილ ახალგაზრდას, მერე კანონისშესაბამისი დახმარებაც აღმოუჩინა და... ამ კაცს დღეს უკვე კეთილსინდისიერ, პატიოსან კაცად იცნობენ იქ, სადაც მუშაობს.

მოსამართლე ქალს განსაკუთრებით აღელვებს განქორწინების საქმეები და ახლობელთა შორის ატეხილი დაუმთავრებელი ქონებრივი და-

ვები, რომელთა განხილვის დროსაც მაქსიმალურად ცდილობს მხარეთა მორიგებას, სინარულს კი მაშინ უფრო განიცდის, როდესაც გაწინამატიბულ ცოლ-ქმარს, წუთის წინ არაფერში რომ არ ინდობდნენ ერთმანეთს, სახლში შერიგებულებს გაუშვებს, შვილებს დედასა და მამას არ დაუკარგავს. დანგრეულ ოჯახს ალადგენს. მართალია, მომჩივანთა სინარბე ზოგჯერ წონასწორობიდან გამოიყვანს ხოლმე, მაგრამ ზომიერების გრძობას მაინც არასოდეს ჰღალატობს და თუ ქონებრივი დავის საქმეც მშვიდად მოაგვარა, მიაჩნია, რომ სამაგალითოდ აღასრულა მოსამართლის საპატიო მისია.

გამორჩეულად უყვარს ლეილა ნარიშანიძეს გაზაფხული და მინდვრის ყვავილები. ამიტომ მგონია, რომ თბილისის შემოგარენში დაკრეფილი იები და ენქლები ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იქნება მისთვის მ მარტის ლამაზი დღესასწაულის აღსანიშნავად.

ჰოდა, მოგილოცავთ, ქალბატონო, ლეილა! წარმატებებს გისურვებთ, მხოლოდ ბედნიერება და სასახელო გამარჯვებები იყოს თქვენი მეგზური.

ანგი არსენაშვილი

პოლიციის უფროსი ლეიტენანტი



თითქმის უჩვეულო არაფერი მომხდარა — შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ მივიდა ახალგაზრდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ის სულ 17 წლის იყო და თანაც ქალი, გასაგები ვახდება ზოგიერთის გაკვირვება, ვინც ამ სამსახურს „წმინდა მამაკაცურ“ საქმედ

მიიჩნევს. მაგრამ ნათელა ხომ გამორჩეული იყო თავის ტოლ-მეგობრებს შორის. ამ, ერთი შეხედვით ნაწ გოგონას ვუკაცურო ხასიათი ჰქონდა. თვითონ ალალმართალი, ვერ იტანდა ვინმეს დაჩაგვრას, უსამართლობას, უკეთურობას. მისი ამ ხასიათის ჩამოყალიბებაში უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის სპორტსაც, რომელსაც გატაცებით მისდევდა. გამორჩეული ინტუიციის უნარი გააჩნდა გოგონას, უმაღლვე გამოიცნობდა ბავშვური ანცობის მოთავეებს, მეგობრებმაც იცოდნენ, რომ ალლო თითქმის არასოდეს უმტყუნებდა...

თბილისის 75-ე სკოლაში ნათელა ჩაჩიანს იცნობდნენ როგორც ბეჭით, ჰკვიან, აქტიურ გოგონას. კომპაგვირის რაიკომს არ დარჩენია შეუმჩნეველი მისი უნარი, რადგან ნათელა ყოველთვის პირნათლად ართმევდა თავს მინდობილ საქმეს. ყველამ იცოდა მისი ოცნება — გამხდარიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და მთელი ენერგია მოეხმარა სამართლიანობისა და სიმართლის სამსახურში. მაგრამ რომ იტყვიან, „ბედმა არ გაუღიმა“, სკოლის დამთავრებისთანავე ვერ გახდა სტუდენტი, თუმცა, გული არ გაუტეხია და როდესაც კომპაგვირის

რაც იშმა შესთავაზა სამუშაოდ წასულიყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, უწყყმანოდ დათანხმდა — მიუშობა დაიწყო საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორად. კომკავშირული მუშაობის გამოცდილება აქაც გამოადგა, მალე შეკმჩინეს მისი ორგანიზატორული ნიჭი და აირჩიეს შინაგან საქმეთა სამმართველოს ალკა კომიტეტის წევრად. მიუხედავად რთული და პასუხსაგები სამსახურებრივი მოვალეობისა, სწავლის სურვილი არ განელებია და 1971 წელს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმ წელს ჩარიცხულთა შორის ის იყო ერთადერთი გოგონა. ნათელამ ტოლი არ დაუღო თავის მეგობარ ვაჟკაცებს და სასწავლებელი წარჩინების დიპლომით დაამთავრა. დაოსტატებასთან ერთად მოდიოდა წარმატებებიც. გადაიყვანეს სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში ინსპექტორად, შემდეგ უფროს ინსპექტორად, 1979 წელს კი სკკპ რიგებშიც მიიღეს.

ამჟამად ნათელა ემსახურება ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში, არის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, პარტორგანიზაციის მდივანი. აქტიური ქალიშვილი არც საზოგადოებრივ დატვირთვას არიდებს თავს: არის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, ქედლის გაზეთის რედაქტორი. თავისი საქმის ერთგული, პატიოსანი, კეთილი — ასე ახასია-

თებენ მას თანამშრომლები. მის დიდებულებუნებაზე მეტყველებს ერთი ასეთი შემთხვევაც.

შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ნათელას ოთახში დროებით შეყუთულიყვნენ სხვა განყოფილების თანამშრომლებიც. თავის სამუშაო მაგიდაზე მან რაღაც შეხვეულს მოკრა თვალი, იფიქრა, რომელიმე თანამშრომლის იქნებაო და ყურადღება აღარ მიუქცევია. დამთავრდა სამუშაო დღე, შეხვეული არავის წაუღია. მარტო დარჩენილმა გახსნა შეფუთული და ნახა საკმაოდ დიდი თანხა. სასწრაფოდ დაურქვა თანამშრომლებს, არავინ არაფერი იცოდა. უცბად გაახსენდა, იმ დღეს მის ოთახში ხდებოდა მანქანების ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაცია. მიხვდა, ფული რომელიღაც მოქალაქეს დარჩენოდა. ამოწერა იმ მოქალაქეთა მისამართები და დაიწყო ძებნა. ისინი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდნენ, დაახლოებით 60-70 კაცი ბოლოს როგორც იქნა პატრონს მიაკვლია, ნაბოვნით უწომოდ გაახარა და თვითონაც ბედნიერი დაბრუნდა სახლში.

ნათელა ჩაჩხიანი ჩინებული ოჯახის პატრონია. შესანიშნავი დედა და მეუღლეა. გოგონები სკოლაში სწავლობენ, მეუღლე კი მისი კომლიგაა.

გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულს — 8 მარტს ვულოცავთ მას და ვუსურვებთ წარმატებებს შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

ზაირა მარტიაშვილი.



გამომძიებლის ჩანაწერებიდან

უხნაური გემოსკვპა

თავის სამუშაო ოთახში პროკურატურის გამომძიებელი შორენა ფაღვა ბავშვის გატაცების საქმეს ეცნობოდა. ამ საქმის მომკვლევნი მილიციის კაბიტანი კაკო კლანდია მღვმარედ შესცქეროდა ქალღაღებში ჩაფლულ გამომძიებელს.

— სანიტერესოა... — თქვა ბოლოს გამომძიებელმა და კლანდიას შეხედა.

— გუშინ საღამოს წაუყვანიოთ და ქალაქ ფეროს ცენტრში მიუტოვებით...

— დიას, სანიტერესოა, რა მიზნით გაიტაცეს პაწია ლალი — ფულის გამოძალვა უნდოდათ,

შურისძიება თუ სხვა რამ... რა მიზანი?! — თითქოს თავის თავს ეკითხებოდა, ისე წარმოთქვა ეს სიტყვები გამომძიებელმა.

— ბავშვი სრულიად უცნებელია... მორივე მილიციელთან მისულა, გამიტაცეს და აქ ჩამომიყვანესო. მილიციის მუშაკს სახლში წაუყვანია გოგონა, სველი ტანსაცმელი გამოუცვლია, დაუბურებია და შემდეგ ბავშვთა მიღება-გამანაწილებელში მიუყვანია. იქიდან დავირტყეს... გოგონა წამოვიყვანეთ და მამას ჩავაბარეთ. ბავშვი სულ ერთიღაიგივეს იმე-

რებს. — უცხო მამაკაცებმა მოტყუებით წამოყვანეს მანქანითო... მესამე კლასის მოსწავლეა, თითქმის ყველაფერი ზედმიწევნით ახსოვს, იმ კაცების სახეებიც კი, თუმცა ნიღბებით ყოფილან... გამტაცებლები კი უკვალოდ გაჰქრნენ...

— მუქარას ან ძალადობას ხომ არ ჰქონია ადგილი?

— არა, როგორც თვითონ ამბობს, ხმაც არ გაუციათ...

გამომძიებელი ღრმად ჩაფიქრდა: — „რა მიზნით? ნუთუ მხოლოდ დეტექტიურ თავგადასავლების მოყვარულთა ხუმრობაა?! ღირდა კი ამისთვის ამხელა რისკის გაწევა?“

— მშობლები ვინ არიან? — იკითხა ხმა-მალა.

— მამა მუშაა, დედა — მოსამსახურე, გაცილებულები არიან, ერთად არ ცხოვრობენ... ლალი მამასთან იზრდება... ახლა აქ არის, დერეფანში...

— შემოიყვანე!

საშუალო ტანის მამაკაცმა შემოსვლისთანავე მუქარით განაცხადა: — თუ არ დადგენთ ბავშვის გამტაცებლებს, იცოდეთ, ქვეყანას შეეგაწრიალებ!

— დაწყნარდით, დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერს ვიღონებთ... რამდენი შვილი გყავთ?

— ოთხი, ორი ჩემთან იზრდება, ორი დედასთან.

— ხომ არაღისზე ეჭვობთ?

— დამიწყებენ ახლა დაკითხვებს, თქვენ გარკვეით ყველაფერი, მე... მე რა ვიცი... — თავს ვეღარ იმორჩილებდა ბავშვის მამა.

— დაწყნარდით... ერთმანეთს თუ არ დავებზარეთ, ჭეშმარიტებას ისე ხომ ვერ დავადგენთ?!

— სწავლით კარგად სწავლობს, მაგრამ ძალიან ცელქია, გუშინ ბიჭი გავლახე. ის პირველ კლასში დადის, სადღაც დამეშალა, ლალიმ ძებნა დაუწყაო, სწორედ მაშინ ვდავუყარნენ თურმე ის ავახაკები... ორკარბიანი მანქანა ყოფილა, „ნივა“ უნდა იყოს... პიჯაკები ცმიათ, ნიღბებით ყოფილან, ესე იგი, სპეციალურად მოსულან ჩემი შვილის მოსატაცებლად... — ხმას დაუწია მამამ.

„რალაც სხვანაირად უნდა იყოს საქმე“ — ეჭვი არ ასვენებდა გამომძიებელს. ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, გონებით ანალიზებდა ყოველივეს. — „ცელქია, გუშინ ბიჭი გაულახია, ლალი ეძებდაო, მაშინ გაიტაცეს... იქნება დედაც მენახა...“

საშუალო სიმაღლის, გემოვნებით ჩაცმული ქალი ოთახში შემოსვლისთანავე აქვითინდა: —

ახლა ესლა მაკლდა... — ამოიკვნესა ბოლოს.

— დამწვიდლით, ბავშვი უცნებელადაა. ახლა მთავარია თქვენი და ხუნეი ერთობლივი მეცადინეობა, რომ ყველაფერს ფარდა აეხადოს...

გაირკვა, რომ ლალის მამიდა ბუნებით მკაცრი ქალი ყოფილა, ხშირად ტუქსავდა თურმე ბავშვებს, რისთვისაც ერთხელ სახლიდან გაპარულან კიდევ დამამა...

გამომძიებელმა გამოცდილებით იცოდა, რომ ჭეშმარიტების დასადგენად ხშირად ერთი შეხედვით წვრილმან მომენტებს მეტი მნიშვნელობა აქვს. ასკერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სკობიო და შემთხვევის ადგილის დათვალიერება გადაწყვიტა!

გოგონას მიერ მითითებული ადგილიდან პრაქტიკულად მეტად რთული იყო ბავშვის მოტაცება, რადგან მანქანას საყარაულო ჯიხურთან უნდა გაველო, სადაც ყოველთვის იდგა დარაჯი.

გამომძიებელს თანდათან ეუფლებოდა აზრი, რომ რალაც ამოუცნობი იმალებოდა ამ საქმეში, მაგრამ ჯერჯერობით ფაქტი, ფაქტად რჩებოდა. ეჭვს იწვევდა ის გარემოება, რომ პაპანაქება სიცხეში პიჯაკებითა და ქუდებით იყვნენ. „გზად აეტონისპექციის ორი საფეშაგაო... ნუთუ ვერ შენიშნეს?“

მაღე გამომძიებელს აცნობეს, რომ ქალაქის იმ უბანში, სადაც გოგონა ჩამოსვეს, თურმე მისი მამიდა ცხოვრობს, ავტოსადგურის ახლოს, მამიდასთან აღრე ორივე — დაც და ძმაც ნამყოფია. ამასთან, წითელი „ნივა“ რაიონში მხოლოდ ერთ კაცს ჰყოლია, რომელიც სამი დღე გაფუჭებულია და გარეთ არ გამოსულა. ეს დადასტურებულია.

საქმეს უფრო და უფრო ბურუსი ეფინებოდა. ვერა და ვერ იჯერებდა გამომძიებელი, რომ უცხო პირებს შეეძლოთ ასე უანგაროდ გოგონას „გასეირნება“.

ტელეფონი აწკრიალდა, კაკო კალანდია რეკავდა: — ლალის მამიდა მართლაც ავტოსადგურთან ახლოს ცხოვრობს. ახლა სადგური რემონტის გამო ალარ მუშაობს და იგი დროებით სხვაგან გადაიტანეს...

— დავუშვათ გოგონა თვითონ წავიდა მამიდასთან, — ჩაუროთ შორენამ.

— როგორ გაბედავდა, — თქვა კაპიტანმა.

— ლალი ხომ ნამყოფი იყო მამიდასთან... ავტობუსს გაჰყვებოდა, ვეღარ მიავნო და დაიბნა.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო შორენა; ბავშვის გატაცების ფაქტი, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, — დაბეჯითებით თქვა კაკომ.

— მე ვამბობ, დავუშვათ-მეთქი, იქნება ღია კარებს ვამტვრევთ, ხომ შეიძლება?!

— კი ბატონო, მაგრამ გამოდის, რომ მო-

ტაცების ვერსია თავად გოგონამ მოიფიქრა...
რისთვის უნდა ეცრა?

— რა ვიცი?... მოდი კაჟო და გოგონას ერ-
თად გავესაუბროთ, იქნება, რაიმე ახალი ვათ-
ქმევივით...

— უკვე ბევრჯერ ვესაუბრე, დაზებირებუ-
ლივით ერთსადაიგივეს იმეორებს... მაგრამ,
მოვიყვან ამხანაგო შორენა და თქვენ თვითონ
დარწმუნდებით...

გამომძიებელმა ყურმილი დაკიდა. „რატომ-
ღაც მგონია, რომ დედამაძა დამნაშავე ყველა-
ფერში“, გაუელვა გონებაში, „მშობლიურ
ალერსს, ოჯახურ იდილიას დანატრებული ბავ-
შვის ოინები იქნება უთუოდ“ — განაგრძობდა
ფიქრს გამომძიებელი.

კაჟო კალანდია მამა-შვილს შემოუძღვა. მოს-
წავლის ფორმაში გამოწყობილ ფერმკრთალ
ათილდე წლის გოგონას თამამად ეჭირა თავი.

— ლალის გაუმარჯოს... რა მშვენიერი გო-
გონა ყოფილხარ, აი, აქ ჩამოკექი, — შეეგება
გამომძიებელი.

ბავშვი ცისფერ თვალებს ეშმაკურად აცე-
ცებდა.

— მე მამაშენის მეგობარი ვარ, — მიმართა
გოგონას, — ოღონდ შენი მამისაგან განსხვა-
ვებით, ბავშვების ნაფიქრალის ამოცნობა შე-
მიძლია.

ბავშვმა ეშმაკურად შეხედა უცნობ დეიდას.

— ჰო, ჰო, ნუ გიკვირს, მე მაშინვე გხვდები,
როცა ბავშვი ცრუობს... და თუ მართალს ამ-
ბობს, ყოველთვის ვისაჩუქრებ... გამომძიე-
ბელმა უკრიდან ფლომასტერების კოლოფი
ამოიღო და ბავშვს ახლოს მიუტანა.

ლალის თვალები გაუბრწყინდა.

— მოგწონს... ჰოდა, სიმართლე თქვი და
შენი იქნება...

გოგონამ თავი ჩაქინდრა.

— თქვი, შვილო, რაც ჩვენ გვითხარი, ის
თქვი, ნუ გერიდება, — მიმართა მამამ ლალის.

— არა, არა, რაც მამას უთხარი ის უკვე ვი-
ცი, მე სიმართლე უნდა მითხრა, ეს ფანქრები
მხოლოდ მამის იქნება შენი...

მამა სკამიდან წამოვარდა გაცეცხლებული:

— რას ამბობთ, ბავშვს ტყუილი გინდათ ათ-
ქმევივით?

— თუ შეიძლება, თავი შეიკავეთ, — მკაცრად
გააფრთხილა შორენამ ბავშვის მამა.

— რას ჰქვია, თავი შევიკავო... თქვენ, რა,
დამნაშავეებს ხელს აფარებთ?!

— უჟანასკნელად გააფრთხილებთ! — გან-
რისხდა გამომძიებელი!

მამა დაწყნარდა.

— ლალი გენაცვალე თქვი, ნუ გერიდება, —
ახლა კაჟო კალანდიამ დაუყვავა ბავშვს.

— მე, მე, — დაიწყო უცებ ლალი, — ჩემს
ძმას, გოჩას ვეძებდი სიმინდებში... უცებ პირ-
ახვეული სამი კაცი მომვარდა და მანქანაში
ჩამსვეს...

— მე მგონი, რაღაცას ცრუობ... — ჩაერთო
გამომძიებელი.

გოგონა წამოწითლდა, ყოყმანის შემდეგ გა-
ნაგრძობ:

— ...ქალაქის ცენტრში ჩამომსვეს, მე შემე-
შინდა და...

— არც ახლა ამბობ მართალს... მე ვიცი,
რომ შენ თვითონ ჩაჯექი ავტობუსში და წახ-
ვედი ქალაქში მამიდასთან... ეს იმ ავტობუსის
მძღოლმა მითხრა, რომელმაც წაგიყვანა...

ლალი წყენით შეხედა გამომძიებელს.

— ჰო, თუ გინდა დავუძახებ იმ მძღოლს, აქ-
ვე, მეორე ოთახშია, ოღონდ ამ კოლოფს ვე-
ღარ მიიღებ...

კარგა ხანს დუმდა ლალი, ბოლოს ცრემლი
მოერიო თვალზე და ოდნავ გასაგონად ალა-
პარაკდა:

— მამამ, გოჩა რომ ცემა, ის საღდაც გაიქცა,
დიხანს ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვნე, ვიფიქრე
მამიდასთან წავიდა-მეთქი, გავიქეცი სადგურში
და ავტობუსში ჩავჯექი. ქალაქში რომ ჩაუღრმე
წვიმდა, ვერ მივაგენი მამიდას სახლს და...

— გოგო! მე აბა, ყველაფერი ტყუილი
მითხარი? — შეუტია მამამ.

— შემეშინდა და იმიტომ... — ატირდა გო-
გონა.

— დაწყნარდი, გენაცვალე, — მოეფერა
შორენა, — ახლა ის გვითხარი, როგორ მო-
იფიქრე ასეთი ლაშაში ტყუილი... და თუ იმა-
საც იტყვი, თუ როგორი ბიძია იყო ავტო-
ბუსის მძღოლი, უკვე ყველაფერს დავიჭერებ
და აბა, ფლომასტერებიც შენი იყოს...

— კინოში ვნახე და იქიდან ვიცოდი, ავტო-
ბუსის მძღოლი კი ბაბუა კაცი იყო, ულვაშე-
ბიანი...

— ყოჩაღ, ყველაფერი სწორია, — სიცილით
წარმოთქვა გამომძიებელმა და ფლომასტერებს
კოლოფი ბავშვს ხელეშში ჩაუღო.

ლალის სახე გაებადრა. გამომძიებელმა კი
ნიშნისმოგებით გადახედა შეცბუნებულ კაბი-
ტანს.

— ნუთუ ახლა ამბობს სიმართლეს, რაღაც არ
მჯერა, — მხრები აიჩეჩა კაჟომ.

— ამას უკვე ადვილად შევამოწმებთ. ეგვი-
არ იყოს, გამომძიებამ სხვაც ბევრი დაადგინა
ისეთი, ჩემი ვერსიის დასამტკიცებლად რომ გ-
მოდგება. წავიდეთ.

რამდენიმე წუთში მანქანა ავტოსადგურთან
გაჩერდა. როცა ბავშვმა ყველაფერი დეტალუ-
რად დაადასტურა, ისევ პროკურატურაში დაბ-

რუნდნენ, სადაც ლალის შიშისაგან გაფითრებულ
ლი დედა ადგილს ვეღარ პოულობდა.

— ქალბატონო, — მიმართა მას გამომძიე-
ბელმა, — შეიძლება უტაქტობაში ჩამომართ-
ვით თქვენს ოჯახურ საქმეებში ჩარევა, მაგრამ
პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ბავშვებს, პირ-
ველ რიგში მშობლების ალერსი და სიბო-
სწყურიათ, დაუჯერებელია, რომ ოთხი შვილის
დედამ... — მღელვარებისაგან სიტყვა ვეღარ
დაამთავრა გამომძიებელმა.

დარცხვენითა დედამ თავი ჩაქინდრა. უხერ-
ხული სიტუაცია უნებლიედ ლალიმ განმუხ-

ტა, ერთი ხელი მამას ჩაჰკიდა, მეორე — დე-
დას და მხიარულად წამოიძახა — წავიდეთ
სახლში...

გულაჩუყებულმა გამომძიებელმა თვალი გა-
აყოლა მიმავალთ და სჯეროდა, რომ კიდევ
ერთი დანგრეული ოჯახი შედუღებდა ახლა
უკვე სამუდამოდ.

გორის დავითაია,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს ცხაკაიას რაიონის არასაუწყე-
ბო დაცვის განყოფილების უფროსი.

პირველი ნაზიჯავი მეცნიერებაში

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით
შეპენილი საკუთრების იურიდიული გუნება

ბია ლილუაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის
ინსტიტუტის ასპირანტი

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თა-
ნამად პირად საკუთრებას ორი მთავარი და განმსაზღვრელი ნიშანი ახასია-
თებს: პირველი, რომ იგი სოციალისტური საკუთრებიდან არის წარმოე-
ბული და მეორე — მას აქვს მოხმარებითი დანიშნულება¹. როგორც ცნობი-
ლია, ეს აზრი აისახა კიდევ საბჭოთა კანონმდებლობაში. საქართველოს სსრ
სამოქალაქო სამართლის კოდექსის 91-ე მუხლითა და სხვა მოკავშირე რეს-
პუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით „მო-
ქალაქის პირად საკუთრებას შეიძლება შეადგენდეს ქონება, რომელიც გან-
კუთვნილია მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასა-
კმაყოფილებლად“. როგორც ვხედავთ, აქ ხაზგასმულია პირადი საკუთრების
მოხმარებითი ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ რადგან ერთპიროვნული გლე-
ხური მეურნეობისა და შინამრეწველების საკუთრება წარმოებული არ არის
სოციალისტური საკუთრებიდან და არც მხოლოდ მოხმარებითი დანიშნუ-
ლება აქვს, იგი პირად საკუთრებად არ ჩაითვლება. ასეთი საკუთრება კერძო
შრომითი საკუთრებაა, მისი ხვედრითი წილი თანდათანობით კლებულობს და
მომავალში მთლიანად გაქრება.

ამასთან ერთად, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვაგ-
ვარი მოსაზრებაც. მისი ავტორები თვლიან, რომ რადგან ჩვენს ქვეყანაში აღარ

¹ P. O. Халфина, Право личной собственности граждан СССР, М., 1955, стр. 39. Д. Ф. Еремеев, Право личной собственности в СССР, М., 1958, стр. 22

არსებობს ადამიანის ექსპლუატაცია, ასეთი რამ დაუშვებელია ყოველგვარი მესაკუთრისათვის და მათ შორის, ისეთებისთვისაც, რომლებიც წვრილ, კერძო მეურნეობას ეწევიან. ამრიგად, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისა და წვრილი შინამრეწველების საკუთრებას არ ახასიათებს ის აუცილებელი დამამახსიათებელი ნიშანი, რომელსაც სხვისი შრომის ექსპლუატაცია ჰქვია და დამახსიათებელია კერძო საკუთრებისათვის. აქედან გამომდინარე, უმართებულო იქნება მათ საკუთრებას კერძო საკუთრება ვუწოდოთ. შინამრეწველთა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეთა საკუთრება, პირადი საკუთრების სახესხვაობაა სოციალისტურ საზოგადოებაში².

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რატომღაც ამ სწორი შეხედულების მოზრეებიც მიუთითებენ შინამრეწველთა საკუთრების უპერსპექტივობაზე და მისთანდათანობით გაქრობის აუცილებლობაზე. თუმცა, გაუგებარია რატომ უნდა გაქრეს სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახსიათებელი პირადი საკუთრების ერთ-ერთი სახესხვაობა?! პირადი საკუთრება ხომ კონსტიტუციური ინსტიტუტია, რომლის ძირითადი პრინციპები ახლებურადაა ჩამოყალიბებული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად „საქართველოს სსრ მოქალაქეების პირადი საკუთრების საფუძველს შეადგენს შრომითი შემოსავალი... ქონება, რომელიც პირად საკუთრებად ან სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის წყარო და გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ინტერესების საზიანოდ“. ამავე კონსტიტუციის მე-17 მუხლი ნათქვამია: „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე საქმიანობის სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე. სახელმწიფო აწესრიგებს ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის“.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის შესაბამისად სათანადო ცვლილებები შევიდა სამოქალაქო კანონმდებლობაშიც. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 91-ე მუხლი, რომლის თანახმადაც მოქალაქის პირად საკუთრებას შეიძლება შეადგენდეს ქონება, რომელიც განკუთვნილია მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 28 მაისის ბრძანებულებით ამგვარად შეიცვალა: „მოქალაქეთა პირადი საკუთრების საფუძველია შრომითი შემოსავალი. მოქალაქეთა პირად საკუთრებას და მისი მემკვიდრეობის უფლებას სახელმწიფო იცავს“. 91-ე მუხლიდან ამოღებული იქნა ის ნაწილი, რომელიც პირადი საკუთრების მხოლოდ და მხოლოდ სამომხმარებლო დანიშნულებაზე მიუთითებდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ ბრძანებულებით შეიცვალა აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი, რომელსაც ეწოდებოდა „შინამრეწველთა საკუთრება“. ამჟამად ამ მუხლს ეწოდება „იმ მოქალაქეთა საკუთრება, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ

² А. А. Ерошенко, Личная собственность в гражданском праве. М., 1973, стр. 14-15.

შრომით საქმიანობას“. იმ მოქალაქეთა საკუთრების მიმართ, — ჩაწერილია 110-ე მუხლში, — რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, დაფუძნებულს მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე, გამოიყენება მოქალაქეთა პირადი საკუთრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესები, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

როგორც ვხედავთ, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომას. შრომითი შემოსავალი კი, როგორც ეს აღნიშნულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 91-ე მუხლში (1984 წლის რედაქციით) „მოქალაქეთა პირადი საკუთრების საფუძველია“.

შემოადინიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად, პირადი საკუთრების აუცილებელ დამახასიათებელ, განმსაზღვრველ ნიშნად აღარ უთითებს **მოხმარებით დანიშნულებას**. პირადი საკუთრებისათვის მთავარი და განმსაზღვრელია, რომ იგი ა) ემყარებოდეს ექსპლოატაციისაგან სრულიად თავისუფალ პირად შრომას, ბ) ატარებდეს საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათს და გ) ემსახურებოდეს სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზნის განხორციელებას, — რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

ამ თვალსაზრისით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით შექმნილი საკუთრება პირადი საკუთრებაა.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ცნება: „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა — ეს არის მოქალაქეთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა საქონლის საწარმოებლად და ფასიანი მომსახურების გასაწევად, რომელიც არ არის დაკავშირებული მათს შრომით ურთიერთობასთან სახელმწიფო, კოოპერაციულ, სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან, აგრეთვე შინასაკოლმეურნო შრომით ურთიერთობასთან“.

ამ განმარტებიდან ასეთი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ:

ა) ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა ხორციელდება შრომითი ურთიერთობის გარეშე სოციალისტურ ორგანიზაციებთან, რადგან იგი არ არის დაკავშირებული ასეთი ურთიერთობით სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან.

ბ) ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა მწარმოებლური ხასიათის საქმიანობაა, რადგან მისი მიზანია საქონლის წარმოება სარეალიზაციოდ და ფასიანი მომსახურების გაწევა. ხოლო, თუ ამას დაემატებთ კანონის მე-4 მუხლით განმტკიცებულ დებულებას იმის შესახებ, რომ მოქალაქენი ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში იყენებენ იმ მასალა-ნედლეულსა და იარაღებს, რაც მათ ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, სავსებით ნათელი გახდება, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გვერდით პირადი საკუთრება ატარებს არა მარტო მომხმარებლურ, არამედ, მწარმოებლურ ხასიათსაც.

მიუხედავად ამისა, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციე-

ლებით შექმნილი ქონება პირადი საკუთრებაა, რადგან ასეთი საქმიანობა:

1. დაფუძნებულია პირად შრომაზე და გამოირიცხავს დაქირავებული შრომის გამოყენებას (სხვისი შრომის ექსპლუატაციას).

2. იგი სოციალურად სასარგებლო შრომაა, რომელიც ემსახურება სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი ამოცანების განხორციელებას, რათა სულ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი საქონელსა და მომსახურებაზე; ემყარება შრომის ანაზღაურების სოციალისტურ პრინციპს, რის გამოც ასეთი საქმიანობით შექმნილი საკუთრება საბოლოო ანგარიშით სოციალისტური საკუთრებიდან წარმოებულად უნდა ჩაითვალოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ძირითადი ამოცანები და პრინციპები ჩამოყალიბებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების იმ თავებში, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ სისტემას შეეხებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა მთლიანად შედის სოციალისტურ ეკონომიკურ სისტემაში და ემსახურება მისი ამოცანების განხორციელებას.

ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რადესაც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი ადგენს, რომ იმ მოქალაქეთა საკუთრების მიმართ, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, გამოიყენება მოქალაქეთა პირადი საკუთრებისათვის დადგენილი წესები.

სანოტარო პრაქტიკის განზოგადება

ავტომობილის ჩუქება

გენერალ-მაიორი, მ. ბერიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ავტომობილის ყიდვა და მასზე საკუთრების უფლების მოპოვება მხოლოდ სასყიდლიანი ხელშეკრულებებით არ ხდება. სწორია შემთხვევა, როდესაც ამ უფლებას მოქალაქე იძენს უსასყიდლოდ — ჩუქების გზით. ჩუქების ურთიერთობაში დიდ როლს თამაშობს ზნეობრივი ხორამები. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება სუბიექტთა ნების უფრო მეტ თავისუფლებას გულისხმობს, ვიდრე ჩუქება. როგორც ავტომობილთა საცალო ყიდვა-გაყიდვის, ისე საკომისიო ვაჭრობის დროს გამყიდველიც და მყიდველიც მეტად აქტიურნი არიან, რადგან ეს ხელშეკრულება სასყიდლიანია. თუ ერთი მხარე ყიდვა-გაყიდვისას ავტომობილს იძენს საკუთრების უფლებით, საბაგიეროდ მეორე მხარე ღებულობს ფულად ანაზღაურებას, უხეშად რომ ვთქვათ, მხარეები ერთი-მეორის წინაშე ვალში არ რჩებიან. მაგრამ ჩუქებისას, მისი უსასყიდლო ბუნების გამო, ეს ინიციატივა ზნეობრივმა კოდექსმა მხოლოდ ერთი მხარის — მჩუქებლის კუთვნილებად გამოაცხადა. დასაჩუქრებულის მხრიდან ინიციატივა უზნეობა იქნებოდა. რა თქმა უნდა, ხელშეკრულება საბოლოოდ ორივე მხარის ნებათა შეთანხმებას ეფუძნება. ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულებით ერთი მხარე (მჩუქებელი) გადასცემს მეორე მხარეს (დასაჩუქრებულს) უსასყიდლოდ ავტომობილს საკუთრებაში. ვინ შეიძლება იყოს მჩუქებელი? კანონი არ ზღუდავს მჩუქებელთა წრეს, რადგან მოქალაქე უსასყიდლოდ უთმობს სხვას ქონებას, რაც მის მაღალ მორალზე მეტყვიანობს. ამისათვის საქმარისია იგი იყოს სრული

ქმედუნარიანობის მქონე, ე. ი. 18 წელს მიღწეული პირი. არაქმედუნარიანი ან ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მქონე პირები ვერ დადებენ ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულებას. ამის უფლება არ აქვთ აგრეთვე მეურვეებსა და მზრუნველებს (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 150-ე მუხლი). მჩუქებელი აუცილებლად უნდა იყოს ავტომობილის მესაკუთრე. რაც შეეხება დასაჩუქებელს — კანონით არც ამ პირთა წრეა შეზღუდული, იგი შეიძლება იყოს როგორც ქმედუნარიანი, ისე არაქმედუნარიანი. აქ არც დასაჩუქებელი პირის ხეობრივი მხარეა გადამწყვეტი. ყველაფერს განსაზღვრავს მჩუქებლის დამოკიდებულება მის მიმართ ანუ მჩუქებელსა და დასაჩუქებელს შორის არსებული ურთიერთობა. არ შევცდებოდით თუ ვიტყვოდით, რომ თუ მჩუქებელი განსაკუთრებული სიმპატიებით არაა განწყობილი დასაჩუქებელის მიმართ, ალბათ წარმოუდგენელია უსასყიდლოდ ისეთი დიდი მატერიალური ღირებულების ქონების დათმობა, როგორც ავტომობილია. როგორც წესი ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა. ხოლმე ახლო ნათესავეებსა ან ოჯახის წევრებს შორის. თუმცა სრულიად ადვილი შესაძლებელია არანათესავეებს შორისაც გაჩნდეს ავტომობილის ჩუქების სურვილი. ერთ დროს მკაცრად იყო განსაზღვრული დასაჩუქებელ პირთა წრე. ესენი იყვნენ მხოლოდ ახლო ნათესავეები (ქმარი, ცოლი, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, ძმა, და, მამა, დედა, აგრეთვე შვილიშვილი, ძმისშვილი, დისშვილი). იბადება ბუნებრივი კითხვა: რამ განაპირობა ეს შეზღუდვები? საქმე იმაშია, რომ ჩუქების თავისუფლებამ ზოგიერთი მოქალაქისათვის ადვილი გახადა კანონის ბოროტად გამოყენება. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მოქალაქე გვერდს უვლიდა ავტომობილის საკომისიო ვაჭრობას და დებდა ჩუქების გარიგებას, იმის გამო, რომ თავი დაეღწიათ საკომისიო გასამრჯელოსაგან (საკომისიო წესით გაყიდვის დროს გადასახდელია გასაყიდი ფასის 7 პროცენტი, ხოლო ჩუქების დროს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია ბაჟი ავტომობილის ღირებულების ერთი პროცენტი). გარდა ამისა, ხშირად ჩუქება ხელსაყრელი იყო იმ მოქალაქისათვის, ვინც არაშრომითი გზით იძენდა დიდძალ ქონებას. ავტომობილის ყიდვის დროს შეიძლება საჭირო ყოფილიყო და გარკვეულიყო მათი კონებრივი მდგომარეობა, ჩუქების დროს კი იგი ამ უსიამოვნებისათვის თავისუფლდებოდა. ასე, რომ ფაქტიურად ავტომობილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება იდებოდა, მაგრამ იურიდიულად ფორმდებოდა ჩუქების ხელშეკრულება. ცნობილია, რომ ასეთი გარიგება თვალთმაქცურია და იგი ბათილად უნდა იყოს ცნობილი. მაგრამ რთულდებოდა იმის დადგენა თუ რას ჰქონდა სინამდვილეში ადგილი — ჩუქებას თუ ყიდვა-გაყიდვას. მართალია ასეთი პრაქტიკა გამართლებული იყო კანონის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, მაგრამ იგი მაინც ლახავდა იმ აღამიანთა ინტერესებს, რომლებიც არ შედიოდნენ კანონის მიერ ჩამონათვალ ახლო ნათესაურ კავშირში. როგორი სურვილიც არ უნდა ჰქონოდათ მათ, რომ არანათესავისათვის ეჩუქებინათ ავტომობილი. სანოტარო ორგანოები მას არ დამოწმებდნენ. ცხოვრებაში კი ხშირად ხდება, როდესაც მოქალაქეს სურვილი აქვს ავტომობილი აჩუქოს არა ახლო ნათესავს, არამედ სხვას — არანათესავს. განა აღამიანთა ურთიერთობას ჩვენ მხოლოდ ნათესაური, ბიოლოგიური ურთიერთობით ვზომავთ? თუ შესაძლებელია და კანონითაც აღიარებულია, რომ სამკვიდროს დამტოვებელს უფლება აქვს მთელი თავისი ქონება (სავალდებულო წილის გამოკლებით) დაუტოვოს არა კანონიერ მემკვიდრეებს — მეუღლეს, შვილებს, მშობლებს და სხვა, არამედ სრულიად უცხო მოქალაქეებს, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი იგივე გამეორდეს ჩუქების დროსაც. ამყამად მოქმედი კანონით ეს სრულიად შესაძლებელია, დასაჩუქებულთა წრე კანონით უკვე აღარაა შემოსაზღვრული. მართალია კანონის ბოროტად გამოყენების შემთხვევები არც ახლა გამოირიცხული, მაგრამ საჭიროა მკაცრად ვებრძოდეთ მას. აქ მთელი პასუხისმგებლობა ნოტარიატის ორგანოებს დაეკისრათ. ამასთან, იგი ბევრადლა დამოკიდებული მოქალაქეთა კეთილსინდისიერებაზე, მათი ზნეობრივი სრულყოფილი პროცესზე. ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულების დამოწმებისას სანოტარო კანტორები ვალდებული არიან გაარკვიონ ჩუქების მიზანი — მხარეთა რეალური მიზნები, მოტივები. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ადგილი არ ჰქონდეს თვალთმაქცურ გარიგებას, ჩუქების უკან არ იძალადებდეს ავტომობილის ყიდვა-გაყიდვის გარიგება. ჩვენის აზრით ჩუქების რეალური მიზნები შესასწავლია არამარტო მაშინ, როდესაც არანათესავეებს შორის ფორმდება ჩუქება, არამედ მაშინაც, როდესაც ახლო ნათესავეებს შორის ხდება ჩუქების გარიგება, რადგან არც მათ შორისაა გამოირიცხული კანონისაგან გვერდის ავლა. სანოტარო კანტორებმა ყოველთვის უნდა შეისწავლონ მხარეთა მატერიალური მდგომარეობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, და სხვა გარემოებანი, რომელნიც გამოდგება ჩუქების განზრახვის მტკიცებულებად. მოკლედ, უნდა დადგინდეს არის თუ არა ჩუქების რეალური განზრახვა და საფუძველი. მართალია, ჩუქება უსასყიდლო გარიგებაა და იგი არ მოითხოვს დასა-

ჩუქრებულის მხრიდან სამაგიერო მოქმედებას, მაგრამ არანათესაევებს შორის ჩუქების დროს მაინც დეტალურად უნდა გაირკვეს ბევრი რამ, რადგან თუ განსაკუთრებული დამსახურება არ მიუძღვის დასაჩუქრებულს მჩუქებლის მიმართ, ისე ძნელია წარმოიშვას ჩუქების განზრახვა. ასეთ საკითხებს დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ სანოტარო ორგანოები. ამისათვის საჭიროა არა ემოციები, არამედ დამკვიდრებული ცხოვრებისეული პრაქტიკა. მართალია, ახლო ნათესაებს შორის ჩუქებისას თვითონ ეს რეალურად არსებული ნათესაური კავშირი საკმარისი საფუძველია ჩუქებისათვის, მაგრამ იგი მაინც არ გვათავისუფლებს მხარეთა რეალური ზრახვების შემოწმებისაგან.

ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულების ობიექტი მსუბუქი ავტომობილია. დასაჩუქრებულს უფლება არა აქვს რაიმე პრეტენზია წაუყენოს მჩუქებელს ავტომობილის ხარისხის გამო. მას უფლება აქვს საერთოდ თქვას უარი ავტომობილზე. ამას გარდა, რადგან ასეთი გარიგება უსასყიდლოა, დასაჩუქრებულის მხრიდან რაიმე პრეტენზიები ზნეობრივი თვალსაზრისითაც გაუმართლებელია.

ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულების ერთადერთი ფორმაა წერილობითი ფორმა, რომელიც სანოტარო წესით მოწმდება. საერთოდ, რაც უფრო დიდი ღირებულებისაა ჩუქების ობიექტი, მით უფრო რთულია მისი დამოწმების ფორმა. როგორც დადგენილია, 500 მანეთზე მეტი ღირებულების ქონების ჩუქების გარიგება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. სანოტარო ორგანოების პრაქტიკა კი მოწმობს, რომ მოქალაქეები მხოლოდ მაშინ მიმართავენ მათ, როდესაც სავალდებულოა წერილობითი ფორმის დაცვა.

ისმის კითხვა — რა მომენტიდან უჩინდება დასაჩუქრებულს ავტომობილზე საკუთრების უფლება? პასუხი ასეთი უნდა იყოს: რა მომენტიდანაც დადებულად ჩაითვლება ავტომობილის ჩუქების გარიგება. საერთოდ, გარიგებათა ერთი კატეგორია (კონსესუალური) დადებულად ითვლება შეთანხმების მომენტიდან, მეორე (რეალური) კი — ნივთის გადაცემიდან. როგორც წესი, ჩუქების გარიგება ძალაში შედის ნივთის გადაცემის მომენტიდან. ვინმეზე ნივთის ჩუქების შეპირება რაიმე უფლებებს არ წარმოშობს. მაგრამ აქედან განსხვავებული წესიც გვაქვს. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ავტომობილის ჩუქებაა. დასაჩუქრებულმა რომ საკუთრების უფლება მიიპოვოს ავტომობილზე, საჭიროა გარიგება სანოტარო წესით დამოწმდეს. მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია დასაჩუქრებულს მოითხოვოს ავტომობილის გადაცემა. ამდენად, ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულება მხარეთა უფლებებს წარმოშობს მისი სანოტარო წესით გაფორმების მომენტიდან. საერთოდ, თუ რომელი სანოტარო კანტორა დამოწმებს ავტომობილის ჩუქებას, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ სახელმწიფო ავტონაბეჭედიან რეგისტრირებული იგი. დამოწმება არ შეუძლია იმ სანოტარო კანტორას, რომლის ტერიტორიაზეც ავტომობილი დროებით აღრიცხვაზე დგას. ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულების დამოწმებისას განსხვავებულია პირველი სანოტარო კანტორისა და სხვა სანოტარო კანტორების ფუნქციები. თუ პირველ სანოტარო კანტორას უფლება აქვს ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულება დაუთმოწმოს იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც ერთიმეორესთან არ არიან ნათესაური ურთიერთობაში, სხვა სანოტარო კანტორები დამოწმებენ მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებას, როცა ავტომობილის პატრონები ნაჩუქრობის ხელშეკრულებას სდებენ თავისთან მცხოვრებ ოჯახის წევრთან, ან ცალკე მცხოვრებ მეუღლესთან, მშობელთან, შვილთან, შვილიშვილთან. ვინ იგულისხმება ავტომობილის მესაკუთრესთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებში? საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლით დადგენილია, რომ დამქირავებლის ოჯახის წევრებს განეკუთვნებიან მასთან მუდმივად მცხოვრები დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. დამქირავებლის ოჯახის წევრებად შეიძლება ცნობილი იქნენ აგრეთვე სხვა ნათესაები და შრომისუუნარო კმაყოფიერ მყოფნი, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ დამქირავებელთან და ეწევიან საერთო მეურნეობას. სწორედ ამგვარად უნდა განვსაზღვროთ ავტომობილის მესაკუთრის ოჯახის წევრებიც.

როგორც წესი, ჩუქების გარიგება უპირობოა. იგივე წესი ვრცელდება ავტომობილის ჩუქებაზეც. თუ მოქალაქე ავტომობილს გარკვეული პირობის დათქმით აჩუქებს, ასეთი გარიგება სანოტარო ორგანოებმა არ უნდა დაამოწმონ. კანონი აკრძალულია ჩუქება სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით. თუ მხარეები თანხმდებიან იმაში, რომ დასაჩუქრებულს მჩუქებლის ავტომობილს მიიღებს ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, ასეთ შეთანხმებას სანოტარო ორგანოები არ დაამოწმებენ, რადგან იგი ეწინააღმდეგება მეგვიდრეობას. კანონი ამას იმიტომ კრძალავს, რომ შეიძლება დაირღვეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლის მოთხოვნები, რომელიც ადგენს, რომ სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვან ან არამრომისუნარიან შვილებს, (მათ შორის შვილობილებს), აგრეთვე გარ-

დაცვილის არაშრომისუნარიან მეუღლეს, მშობლებს (მშვილებლებს) და მის რჩენაზე მყოფ სხვა მემკვიდრეებს, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ანდერძი, ეკუთვნით სამკვიდრო წილი, რომელიც არ შეიძლება იყოს იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

რადგან მემკვიდრეობა ვახსენეთ. ერთი საკითხიც უნდა გავაგრძელოთ, რასაც პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით. ვთქვათ სანოტარო წესით გაფორმდა ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულება, მაგრამ დასაჩუქრებულზე მის ფაქტიურ გადაცემამდე გარდაიცვალა მჩუქებელი. მჩუქებლის მემკვიდრეები კი უარს ამბობენ დასაჩუქრებულისათვის ავტომობილის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ იგი სამემკვიდრეო ქონებაში შედის. მჩუქებლის მემკვიდრეთა ეს მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგანაც ავტომობილი, იმის მიუხედავად ფიზიკურად ვისთანაა, ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმებისთანავე იქცა დასაჩუქრებულის საკუთრებად და ამოირიცხა მჩუქებლის სამემკვიდრეო ქონებიდან. მჩუქებლის მემკვიდრეები ამ შემთხვევაში უკანონო მფლობელები არიან და მათგან ავტომობილის გამოთხოვა უნდა მოხდეს სავინდოკაციო სარჩელით.

თუ ავტომობილი მეუღლეთა საერთო საკუთრებაა, მისი ჩუქება შეიძლება მხოლოდ მათი ურთიერთშეთანხმებით, როგორც წესი, სანოტარო ორგანოები ამის დასადასტურებლად ითხოვენ მეორე მეუღლის წერილობით თანხმობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საკითხი. სანოტარო ორგანოების პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევას, როდესაც ავტომობილის ჩუქების ხელშეკრულების დამოწმებისას მოითხოვენ იმ ორგანიზაციის თანხმობაც, საიდანაც მჩუქებელმა ავტომობილის ყიდვის უფლება მიიღო. სანოტარო ორგანოების ასეთი პრაქტიკა მკაცრად იქნა დაგმობილი. მას შემდეგ რაც მოქალაქე ავტომობილს შეიძენს წარმოება-დაწესებულებაში მისი განაწილების ვაჭრობით იგი უმალ იქცევა მის პირად საკუთრებად და ცხადია საკუთარი შეხედულებით უნდა განაჯარგოს. წარმოება-დაწესებულების თანხმობის მოთხოვნა სხვა არაფერია თუ არა უკანონოდ ჩაარევა მოქალაქის უფლებაში. ამის შესახებ ლიტერატურაშიც არაერთხელ ითქვა.

ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების დროს ხდება ავტომობილის შეფასება, რადგან აუცილებელია ბაჟის რაოდენობის განსაზღვრა, ბაჟი კი მანქანის ღირებულების ერთ პროცენტს შეადგენს. ავტომობილის შეფასების აქტს ადგენენ სახელმწიფო ვაჭრობის სპეციალიზირებული მაღაზიები, კოლპერაციული ვაჭრობის საკომისიო მაღაზიები, სპეცავტოცენტრები ან ვოლგის სავტომობილო ქარხნის ტექნიკური მომსახურების სადგურები. აქტი სავალდებულო არ არის, თუ მხარეები თანახმანი არიან ავტომობილი შეფასდეს მოქმედი საცალო ფასებით.

დასარიკალებული სახლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების სანოტარო წესით დამოწმება

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა სარეკომენდაციო მითითებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 25 ივლისის დადგენილების („სოფლად არსებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლების და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენების შესახებ“) პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამ დადგენილებამ ნება დართო ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს, რომ შეისყიდონ სოფლად მდებარე ის დაცარიელებული სახლები, რომლებიც მდებარეობენ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან სხვა დაწესებულების ტერიტორიაზე.

დაცარიელებული სახლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროს უნდა განისაზღვროს მათი სამართლებრივი მდგომარეობა.

დაცარიელებულად ჩაითვლება სახლი, რომლის მესაკუთრენი ფაქტიურად არ სარგებლობენ ამ ნაკვეთით. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცარიელებულად ჩაითვალოს მიტოვებული და მოუვლელი სახლები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით არის გადაცემული სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისათვის ან უმატრონო სახლები, რომლებიც ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით ითვლებიან სახელმწიფო ან საკოლმეურნეო საკუთრებად.

4. „საბჭოთა სამართალი“, № 2

დაცარიელებული სახლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამოწმების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულების დადასტურების საერთო წესს, რაც გამომდინარეობს სახელმწიფო სანოტარო კანტორების და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის ინსტრუქციებიდან.

დაცარიელებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შეიძლება დადასტურდეს როგორც სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ასევე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში.

მოქალაქის საკუთრების უფლება გასაყიდ სახლზე შეიძლება დადგენილი იყოს ერთ-ერთი გამოთხოვილი დოკუმენტის საფუძველზე. ეს დოკუმენტებია: სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება სახლით სარგებლობის შესახებ, ან სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის ცნობა, რომ სახლი გამყიდველის საკუთრებაა; მემკვიდრეობის უფლების მოწმობა; სასამართლოს გადაწყვეტილება ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც ჩამოთვლილია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის ინსტრუქციაში.

იქ, სადაც საცხოვრებელი სახლების ინვენტარიზაცია ჩატარებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 10 თებერვლის № 186 დადგენილებით („საცხოვრებელი ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის წესების შესახებ“), საჭიროა აგრეთვე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა.

საცხოვრებელი ფონდის რეგისტრაცია და ტექნიკური ინვენტარიზაცია სოფლად უნდა განხორციელდეს ამ დადგენილების მეოთხე პუნქტის შესაბამისად საბინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციების მიერ.

1987 წლის 25 ივლისის დადგენილებით დაცარიელებული სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამოწმებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები:

1. სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თანხმობა მოქალაქისათვის სახლის მიყიდვის შესახებ;

2. შრომითი კოლექტივის ან შესაბამისი აღმასკომის უამდგომლობა მოქალაქისათვის სახლის მიყიდვის შესახებ;

3. კოლმეურნეობის გამგეობის, მეურნეობის აღმინისტრაციის ან სხვა ორგანიზაციის თანხმობა მათ მიწაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის მიყიდვისათვის კონკრეტულ პიროვნებაზე;

4. შემფასებელი კომისიის აქტი გასაყიდი სახლის ღირებულების შესახებ;

5. სახლის მყიდველის მიერ კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან ან სხვა ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების ასლი, საკარმიდამო ან ამ მიზნით გამოყოფილი მიწის სხვა ნაკვეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანაზე და ნამატი პროდუქციის გაყიდვაზე.

როდესაც მოქალაქეს მიყიდება ან არენდით გადაეცემა საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი 600 კვადრატული მეტრის ოდენობით, ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს მიწის ნაკვეთის სარგებლობის პირობები და გათვალისწინებული იყოს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

თუ მოქალაქეს გამოეყოფა დადგენილ ნორმაზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი, სახლის ყიდვის ხელშეკრულების საფუძველი შეიძლება იყოს კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან და სხვა წარმოება-ორგანიზაციასთან დადებული მისი ხელშეკრულება, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ნამატის სახელმწიფოსათვის ან სამომხმარებლო კომპარაციის ორგანიზაციებისათვის მიყიდვის თაობაზე.

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

საინფორმაციო გამოკვლევა

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ზრდა და მისი პოლიტიკური საქმიანობის სრულყოფა განაპირობებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობის ხასიათს. ამიტომ დღეს

უდიდეს მნიშვნელობას იძენს საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალსებრივ ტობის, როგორც ზოგად კანონზომიერებათა დადგენა, ისე უმნიშვნელოვანეს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მისი მონა-

წილობის თავისებურებათა ღრმა მეცნიერუ-
ლი გამოკვლევა. ეს უპირველეს ყოვლისა
ეხება ქვეყნის შიგნით წარმოშობილ საკრე-
დიტო ურთიერთობებს, რადგან ისინი სახელ-
მწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტის მე-
ტად გავრცელებულ და ეფექტურ საშუალებ-
ებს წარმოადგენენ.

საკრედიტო-სამართლებრივ ურთიერთობებ-
ში საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობის სა-
კითხები კანონმდებლობით არასრულყოფილა-
დაა რეგულირებული, ხოლო სპეციალურ
იურიდიულ ლიტერატურაში იგი თითქმის
შეუსწაველია.

არსებული ხარვეზის შევსების ცდად უნდა
ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის პროფესორის, რომან შენგელიას სო-
ლიდური მონოგრაფია, რომელიც რუსულ
ენაზე გამოცა.¹

შრომაში ყოველმხრივ და კომპლექსურად
არის გამოკვლეული ისეთი საკითხები როგო-
რიცა: საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური
როლის სოციალურ-პოლიტიკური განპირო-
ბებულობა და მისი სამოქალაქო სამართალ-
სუბიექტობა; საბჭოთა სახელმწიფოს, რო-
გორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის,
ქონების სამართლებრივი რეჟიმი; საკრედიტო
საქმის ორგანიზაცია, როგორც საბჭოთა სა-
ხელმწიფოს მიერ სამეურნეო ორგანიზატო-
რული საქმიანობის გამოვლენის ფორმა; საბ-
ჭოთა სახელმწიფოს გამოსვლა კრედიტორის
როლში და საბჭოთა სახელმწიფო, როგორც
მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრე-
ბის მესხებელი. მარტო შრომის არქიტექტო-
ნიკაც ნათლად მეტყველებს მეცნიერული
კვლევის ფართო სფეროზე.

რ. შენგელიას მონოგრაფია წარმოადგენს
პირველ გამოკვლევას საბჭოთა სამართლებ-
რივ მეცნიერებაში, რომელიც სპეციალურად
ეძღვნება საბჭოთა სახელმწიფოს საკრედიტო
სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე-
ობის პრობლემებს. საბჭოთა სახელმწიფოს
სამოქალაქო სამართალსუბიექტობის საღარ
ზოგადი საკითხების ანალიზის საფუძველზე,
მასში შემუშავებულია მეცნიერული კონცეფ-
ცია, რომელიც ხსნის საკრედიტო სამართლებ-
რივ ურთიერთობებში კრედიტორისა და
მესხებლის როლში საბჭოთა სახელმწიფოს
გამოსვლის არსს და დამახასიათებელ თავი-
სებურებებს, ამასთან წარმოდგენილია შესა-
ბამისი სამოქალაქო კანონმდებლობის სრულ-
ყოფისა და მისი გამოყენების პრაქტიკული
რეკომენდაციები.

მონოგრაფიაში ნათლადაა გამოკვეთილი
აღნიშნული კონცეფციის ძირითადი შინაარსი.
ავტორის აზრით საბჭოთა სახელმწიფო სა-
მოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში
მონაწილეობას იღებს როგორც პოლიტიკუ-
რი ისე სამეურნეო უფლებამოსილებებით
აღჭურვილი სუბიექტი. ეს ორი სახის უფ-
ლებამოსილებანი კი ერთმანეთითაა განპირო-
ბებული. საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო
სამართალსუბიექტობა მჭიდროდ არის და-
კავშირებული მის პოლიტიკურ საქმიანობას-
თან, რადგან უმრავლეს შემთხვევაში იგი გა-
მოიყენება სახელმწიფოს ხელისუფლებითი
ხასიათის ფუნქციების განსახორციელებლად.
აქედან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფოს
სამოქალაქო სამართალსუბიექტობა ატარებს
ხელისუფლებით ხასიათს. ეს გარემოება სრუ-
ლებითაც არ აყენებს ექვექვეშ მის სამოქალა-
ქო-სამართლებრივ ხასიათს, რადგან შინაარ-
სით ის ქონებრივი ურთიერთობანი, რომლებ-
შიც სახელმწიფო მონაწილეობს, სამოქალა-
ქო-სამართლებრივია. აღნიშნულ ურთიერ-
ობებში საბჭოთა სახელმწიფო მონაწილეობს
თავისი ორგანოების მეშვეობით. მათ გარეშე
შეუძლებელია სახელმწიფოს ქონების განკარ-
გვა. ამასთან ერთად, ამ ორგანოებს ოპერა-
ტიულ მმართველობაში გააჩნიათ თავიანთი
ქონება. ამიტომ სახელმწიფო ორგანოები სა-
მოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში
შეიძლება გამოვიდინე როგორც საკუთარი
ისე სახელმწიფოს სახელით. ისინი საკუთარი
სახელით გამოდიან მაშინ, როცა თავიანთი
ოპერატიულ მმართველობაში არსებულ ქო-
ნებას განკარგავენ. ასეთ დროს სახეზეა სა-
ხელმწიფო ორგანოს დამოუკიდებელი სამარ-
თალსუბიექტობა. მაგრამ თუ სახელმწიფო
ორგანო განკარგავს ქონებას, რომელიც ოპე-
რატიულ მმართველობაში გადაცემული არა
აქვს სხვა სუბიექტს და იმყოფება სახელმ-
წიფოს უშუალო განმგებლობაში, მაშინ ხდე-
ბა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალსუ-
ბიექტობის რეალიზაცია.

სახელმწიფოს უშუალო განკარგულებაში
არსებულ ქონებას სახელმწიფო ბიუჯეტის
სახსრებთან ერთად მიეკუთვნება სასესხო
ფონდიც, რომელსაც სახელმწიფო ქმნის კონ-
კრეტული სახალხო-სამეურნეო და სოცია-
ლურ-კულტურული ამოცანების გადასაწყვე-
ტად.

კრედიტის ფულადი ფორმა ძირითადად
გამოხატულებას პოულობს საბანკო და სა-
ხელმწიფო კრედიტში. საბჭოთა სახელმწიფო

¹ Шенгелия Р. В., Гражданская правосубъектность Советского государства в кредитных отношениях, Тбилиси, 1984 г.

სუბიექტად გამოდის როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში.

სახელმწიფო კრედიტის დროს საბჭოთა სახელმწიფო შემნახველი სალაროების მეშვეობით ახდენს მოსახლეობისა და ზოგიერთი ორგანიზაციის თავისუფალი სახსრების აკუმულაციას. მიუხედავად იმისა, რომ შემოსალაროები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და ექვემდებარებიან ბანკს, საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად ითვლებიან არა შემოსალაროები, არამედ თითონ საბჭოთა სახელმწიფო. იგივე მდგომარეობაა მაშინ, როცა შემნახველი სალაროების ფუნქციას ბანკის დაწესებულებები ასრულებენ. ორივე შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის მსესხებლის როლში.

საბანკო კრედიტის დროს კი საბჭოთა სახელმწიფო სასესხო ფონდიდან ფულად სახსრებს სესხად აძლევს ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს. მართალია სასესხო ოპერაციებში მონაწილე ბანკის დაწესებულებები გვევლინება, მაგრამ ისინი სახელმწიფოს წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს, რადგან განკარგავენ სახელმწიფოს უშუალო გამგებლობაში არსებულ ქონებას და ამიტომ ექვემდებარ უნდა დადგეს მსგავს საკრედიტო ურთიერთობებში გამსესხებლის როლში სახელმწიფოს გამოსვლის საკითხი.

საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობებში მკვეთრად არის გამოიხსნის სახელმწიფოსა და საკრედიტო დაწესებულებათა არა მარტო უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობის საფუძვლები, არამედ ის ფულადი სახსრებიც, რომლებსაც ისინი განკარგავენ.

საკრედიტო სამართლებრივი ურთიერთობანი მართალია კომპლექსური ხასიათისაა, მაგრამ საბოლოოდ სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტად უნდა ჩაითვალოს. ასეთივე ხასიათი აქვს იმ საკრედიტო ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა სახელმწიფო კრედიტთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა უფლება-მოვალეობანი ცალმხრივად განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ.

სახელმწიფო სესხის ხელშეკრულება და ფულადი ანაზრის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი ხელშეკრულების — სახელმწიფო კრედიტის ხელშეკრულების სახესხვაობებია. ამიტომ მათი რეგულირება უნდა მოხდეს სამოქალაქო კანონმდებლობით.

ავტორის პოზიცია გამოკვეთილი და დასაბუთებულია. იგი გვერდს არ უვლის არცერთ სადაო საკითხს, ყოველთვის თავის შეხედუ-

ლებას გამოთქვამს, ეყრდნობა ახალ არგუმენტებს, იყენებს მდიდარ სასამართლო, საბანკო, სანოტარო და საარბიტრაჟო პრაქტიკას. თეორიული მსჯელობა და შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი გასაგებსა და საინტერესოს ხდის სიკვლევი საკითხის შინაარსს.

შრომის მეთოდოლოგიური საფუძველია დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის, ფინანსებისა და კრედიტის, საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის შესახებ. იმ პრობლემების კვლევა, რომლებიც შრომაშია დაყენებული, ეფუძნება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებს, პარტიის ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა შრომებში ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და დებულებებს საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ.

ავტორი მოხერხებულად იყენებს მრავალრიცხოვან სამეცნიერო მასალას და ნორმატიულ აქტებს.

საკრედიტო ურთიერთობათა შინაარსიდან გამომდინარე კვლევის მიზანმა და ამოცანებმა განაპირობეს დაყენებული პრობლემების სუფთა იურიდიული ანალიზის ფარგლებს გარეთ გასვლა და იურიდიულის გარდა, საფინანსო-ეკონომიკური, პოლიტიკური და ფილოსოფიური ლიტერატურის ფართოდ გამოყენება. შრომაში გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე სოციოლოგიური გარკვევის მასალები, რომლებიც უშუალოდ ეხება კვლევის საგანს.

წიგნში კვლევა წარმოებულია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული ანალიზის, კომპლექსურობის მეთოდების გამოყენებით, რამაც ავტორს საშუალება მისცა შესასწავლი პრობლემები განეხილა მრავალწახანაგონად: კანონმდებლობის განვითარების ისტორიის პოზიციიდან; სოციალისტური და ბურჟუაზიული სამართლის ნორმების შედარებით; ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტებით.

ყოველივე ამან უდაოდ განაპირობა კვლევის დადებითი შედეგები, დაყენებული პრობლემების სწორი გადაწყვეტა.

მონოგრაფიაში გადმოცემული თეორიული განზოგადებანი და კონკრეტული წინადადებანი ხელს შეუწყობს საბჭოთა სახელმწიფოს როლის შეცნობას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების პირობის ამაღლების ამოცანათა გადაწყვეტაში. ისინი შეიძლება გამოყენებუ-

უძნელდებათ კონტექსტის შესაფერი სიტყვის დაძებნა, ხშირია მრავალსიტყვაობა, ტავტოლოგია, დარღვეულია რიცხვში შეთანხმება და სხვ. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, იწვევს აზრის გაბუნდოვანებას, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი დოკუმენტებისადმი წაყენებულ ძირეულ მოთხოვნებს.

განხილული ტექსტების უმთავრესი ენობრივი ნაკლოვანებანი მხოლოდ აღნიშნული ხარვეზებით არ ამოიწურება. განსაკუთრებით თვალშისაცემია კალკის — გადმოქართულებული უცხოური სიტყვებისა და სინტაქსური კონსტრუქციების სიჭარბე.

კალკი ხშირად ხელს უწყობს ენის განვითარებას, განსაკუთრებით მისი ლექსიკის გამდიდრებას, მაგრამ ამ საქმეში ზომიერების დაცვა აუცილებელია. ქაღალდზე დაფიქსირებული კალკი (სიტყვა, კონსტრუქცია) იოლად იჭრება აზროვნებაში და ამგვარად გადაეცემა თაობიდან თაობას, არღვევს ენის ბუნებრივ მდინარებას და ქმნის მისი გადაგვარების საშიშროებას. სამართლის ენა ხალხის ფართო მასებამდე, თითოეულ სოციალურ ფენამდე აღწევს და მისი მეშვეობით მიწოდებული ენობრივი ლაფსუსები ლამის კანონიზებულ ძალას იძენენ. ამიტომაც სამართლის ენის სიწმინდისათვის ბრძოლა, არსებითად, სალიტერატურო ენის ნორმების განუხრელად დაცვის საწინდარია.

როგორც საკითხის შესწავლა მოწმობს, სტილისტური შეცდომების და, აქედან გამომდინარე, აზრის გაბუნდოვანების ძირითადი მიზეზი **მრავალსიტყვაობაა**. კერძოდ, ხშირად გვხვდება ასეთი მაგალითები: „ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე“; „თავისი პირადი საკუთრების ავტომანქანა“; „ჰქონდა გამოხდილი შინახაღი არაყი“. ამ წინადადებათა გამართვა, ცხადია, შეიძლება უფრო მარტივად: „აღნიშნულიდან გამომდინარე“; „პირადი ავტომანქანა“ ან „საკუთარი ავტომანქანა“; „ჰქონდა შინახაღი არაყი“.

მრავალსიტყვაობას ზოგჯერ მიუღებელი გამოთქმა იწვევს. მაგალითად, „ანკეტის **ხელზე გატანება** ავადმყოფისათვის“. ცხადია უმჯობესია: „ანკეტის ავადმყოფისათვის მიცემა“.

სტილისტური ბუნდოვანების ხშირი მიზეზი **ტავტოლოგიაა**. თუ წინადადებაში — „**გთხოვთ**, სასჯელის შეფარდების დროს, **გთხოვთ**, გაითვალისწინოთ...“ — ტავტოლოგიას შემთხვევითობის იერი დაჰკრავს, ამავსე ვერ ვიტყვით შემდეგ ნიმუშზე: „ჩაიდინა **სატრანსპორტო საშუალებათა** მართვა, მაშინ როდესაც, **მართვის** უფლება ჩამორთმული ჰქონდა **სატრანსპორტო საშუალებათა** ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის“. აზრის დაუმახინჯებლად შესაძლებელია წინადადებიდან თუნდაც ერთ-ერთი „**მართვის**“ ამოღება, მაგრამ უფრო რთულად არის საქმე ტერმინ „**სატრანსპორტო საშუალებასთან**“ დაკავშირებით. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამოღების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე ლექციის დროს ერთმა მსმენელმა შენიშნა, რომ ტერმინი „**სატრანსპორტო საშუალება**“ „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსშია“ დაფიქსირებული და ამდენად, გამართლებულია მისი გამოყენება სამართალწარმოებაში, კერძოდ, განაჩენის ტექსტში. დიან, ეს ასეა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ტერმინის მოშველიებით ერთიანი საკანონმდებლო აქტი ერიდება საგანთა კლასის მეტისმეტ დაწვრილმანებას, ცხადია, სივრცისა და დროის მოგების მიზნით. ეს გარემოება ხელს

არ უნდა უშლიდეს მოსამართლეს სატრანსპორტო საშუალებათა რიგში გამარჩიოს ცალკეული სახეობანი, სახელდობრ: საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, საავიაციო და ა. შ. ამით განაჩენის ტექსტი მეტ სიცხადეს შეიძენს, ისე, რომ არც საქმის არსს მიაღგება ზიანი.

აღნიშნულ წინადადებაში ყურადღებას იქცევს ტერმინი „ნასვამი მდგომარეობა“. მსგავსი შესიტყვებანი კარგა ხანია მოეძალა ქართულ ენას. გამოსავალი ერთია: როგორმე შეველიოთ ყბადაღებულ „მდგომარეობას“ და დავჯერდეთ „ნასვამს“, „დაჭრილს“...

ამ შენიშვნათა გათვალისწინებით, აღნიშნული წინადადება უნდა გაიმართოს ასე: „ნასვამი მართავდა ავტომანქანას, თუმცა ასეთივე დარღვევისათვის უფრო ადრე ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება“.

ამავე რიგისაა მომდევნო მაგალითიც: „...მართავდა ნასვამ მდგომარეობაში მის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას“. აქ ტავტოლოგიას რომ თავი დავანებოთ, რას უნდა ნიშნავდეს „მყოფი ავტომანქანა“ და მით უფრო, „მის მართვის ქვეშ მყოფი“? ეს შესიტყვება რუსული ენის გავლენით არის შემოსული ქართულში და სრულიად მიუღებელია ჩვენი სალიტერატურო ენის სინტაქსისათვის. ქართული ენის სტილისტურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაძლებელია ამ რეასიტყვიანი წინადადების სამსიტყვიანად გარდაქმნა: „...ნასვამი მართავდა ავტომანქანას“.

„ნებისმიერი სახის ეკონომია, — წერდა კარლ მარქსი, — საბოლოო ჯამში, დროის ეკონომიაზე დაიყვანება“. ეს გამონათქვამი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგია. ადამიანი დროის ყაირათიანად გამოყენებას ესწრაფვის. ენაც — ეკონომიურობისაკენ, კომპაქტურობისაკენ ილტვის. სწორედ ამ ტენდენციას ეწინააღმდეგება მრავალსიტყვაობით გატაცება.

როგორც უკვე ითქვა, ქართული ენის ნორმების, მისი სტილისტური თავისებურებების უცოდინარობას ერთვის კალკის, უფრო ზუსტად, რუსული ენის ოფიციალური სტილის გავლენა. მაგალითად, „მოახდინა გასაღება“, „საქმეში წარმოდგენილი მასალებით...“, „ძალის გამოყენებით ჩააგდეს მანქანაში“, „სასამართლო მხედველობაში იღებს“ და სხვა. ეს წინადადებები სწორი ქართულით ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „გაასაღა“, „საქმის მასალებით“, „ძალით ჩააგდეს ავტომანქანაში“, „სასამართლო ითვალისწინებს“.

ქართულ ენაში მექანიკურად დაინერგა ტერმინები: „ნაკლებად მძიმე“, „მსუბუქი ხარისხის“. მაგალითად, „ავარიას შედეგად მოჰყვა ორი პირის სხეულის ნაკლებად მძიმე და მსუბუქი ხარისხის დაზიანება და ავტომანქანის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი“.

ნუთუ არ შეიძლება მათი შეცვლა უფრო სადა ტერმინებით: „არცთუ მძიმე“, „მსუბუქი“? ან როგორ შეიძლება მისაღები იყოს ასეთი შესიტყვება: „ორი პირის სხეული“? ხომ არ იქნებოდა უმჯობესი „ორი ადამიანის (ან პიროვნების) სხეული“? ამას გარდა, უსწოროა გამოთქმა „მატერიალური ზიანი“, უნდა იყოს: „მატერიალური ზარალი“ და სხვ. ამ შენიშვნათა გათვალის-

წინებით მივიღებთ: „ავარიას შედეგად მოჰყვა ორი ადამიანის სხეულის არც-
 თუ მძიმე და მსუბუქი დაზიანება და ავტომანქანის მნიშვნელოვანი მატერია-
 ლური ზარალი“.

გაუგებრობას იწვევს ტერმინი „საცხოვრებელი სადგომი“. ძნელი სათქ-
 მელია, რამ განაპირობა მისი დამკვიდრება სამართლის ენაში, მაშინ, როცა
 გვაქვს ხანგრძლივი ტრადიციის მქონე „სახლი“, „ბინა“, „საცხოვრისი“...

ხშირად ზედმეტი ჩანს სიტყვა „ჩაიდინას“ გამოყენებაც, რაც რუსულ
 კონტექსტში სავსებით ბუნებრივად უღერს: ამით, საფიქრებელია, ცდილობენ
 იმპერატიულობა მიანიჭონ განაჩენის ტექსტს. „ჩაიდინა შინნახადი არყის გასა-
 ლების მიზნით შენახვა“, „ჩაიდინა შინნახადი არყის გასაღება“, „ჩაიდინა მაგა-
 რი სპირტიანი სასმელების დამზადება შენახვა-გასაღების მიზნით და გასაღება“,
 აზაფერი დაშვდება, თუკი ამ წინადადებებს ასე გავმართავთ: „შინნახადი არა-
 ყი შეინახა გასასაღებლად“, „გაასალა შინნახადი არაყი“, „გასასაღებლად და-
 ამზადა და შეინახა, ამასთან ერთად, გაასალა მაგარი სპირტიანი სასმელები“.

ხშირია „რა“-ს გამოყენება, როცა სურთ ზუსტად გადმოიღონ რუსული
 ოფიციალური დოკუმენტისათვის დამახასიათებელი სტილი. თანამედროვე
 ქართულში „რა“ ნაწილაკი იხმარება კავშირების „რომ“, „როდესაც“, „რო-
 გორც კი“ ნაცვლად. მაგრამ რამდენად აუცილებელია ამ ნაწილაკის ჩართვა
 წინადადებაში: „სასამართლომ განიხილა რა გამოძიების მასალები, დადგე-
 ნილად სცნო შემდეგი“. კიდევ უფრო გაურკვეველია ამ ნაწილაკის ფუნქცია
 წინადადებაში: „...იყო რა წინააღმდეგი მასთან დაქორწინების, ცდილობდა
 როგორმე დაეცვა თავი მოძალადისაგან“. ამჯერად „რა“, ჩანს, ენაცვლება
 კავშირებს „რადგანაც“, „ვინაიდან“, თუმცა მსგავსი ფუნქცია მას არ უნდა
 ჰქონდეს. აღნიშნული წინადადება, სასურველია, აიგოს „რა“ ნაწილაკის გა-
 რეშე: „...რადგანაც მასთან ქორწინების წინააღმდეგი იყო, ცდილობდა რო-
 გორმე დაეცვა თავი მოძალადისაგან“.

ცალკე უნდა ითქვას „იქნა“-ს თაობაზეც. საამისო მაგალითები მრავლად
 მოიძევება ქართულ სამართლებრივ დოკუმენტებში, მათ შორის, განხილულ
 მასალებშიც: „მიმავრებულ იქნა“, „გაჩერებულ იქნა“, „დაკავებულ იქნა“...
 ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მსგავსი შესიტყვებანი რუსული ენის ანალო-
 გითაა შექმნილი. რა თქმა უნდა, „იქნას“ განდევნაზე როდია ლაბარაკი, არა-
 მედ გამოყენებაზე. ქართული ენის თვალსაზრისით უპრიანია უფრო სადა
 ფორმების დამკვიდრება: „მიამავრეს“, „გააჩერეს“, „დააკავეს“ და სხვ.

კალკის ვავლენა თავს იჩენს რიცხვში შეთანხმების დროსაც: „სხეულის
 სხვადასხვა ადგილის „მრავლობითი დაზიანებები“ შესიტყვება „მრავლობითი
 დაზიანებები“, ცხადია, რუსული ენის კალკია. აღნიშნული წინადადება ქართუ-
 ლად ასე უნდა იწერებოდეს „სხეულის მრავალი დაზიანება“ ან, უკიდურეს
 შემთხვევაში, „სხეულის სხვადასხვა ადგილის მრავალი დაზიანება“.

მსგავსი შეცდომის ნიმუშია წინადადება „მიიყვანა ყველა ადგილებში“.
 „ყველა“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელია, რომელიც კრებითი სემანტიკის
 მატარებელია და ამიტომაც მასთან შეთანხმებული სიტყვა აუცილებლად მხო-

ლობითში უნდა დაისვას („ყველა ადგილი“), თუმცა ამ შემთხვევაში ეს არც არის აუცილებელი — საკმარისია ორიოდ სიტყვა: „მიიყვანა ყველგან“.

ასევე კალკის გავლენით მკვიდრდება თანამედროვე ქართული ენისათვის მოძველებული დისპოზიცია: „მიუხედავად ამისა“, „მიუხედავად აღნიშნულისა“, „გამომდინარე აღნიშნულიდან“, „გარდა აღნიშნულისა“.

თანამედროვე ქართული ენის თვალსაზრისით უმჯობესია ვწეროთ: „ამის მიუხედავად“, „აღნიშნულის მიუხედავად“, „აღნიშნულიდან გამომდინარე“, „აღნიშნულის გარდა“ და სხვ. თუმცა ხელალებით არც არქაული კონსტრუქციის უარყოფაა სასურველი.

ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ სიტყვის ნაცვლად გამოყენებულია სხვა, მსგავსი სიტყვა, რაც ასევე კალკის, უფრო სწორად, უხეირო თარგმანის ბრალია. მაგალითად „ხელს ჰკიდებდა უკანა ტანზე, ასევე (უნდა იყოს აგრეთვე) სხეულის სხვა მიდამოებში“, „ათრია თმებით, დააგლო იატაკზე და ასევე (უნდა იყოს ამასთან) სუფრის დანით მიაყენა რამდენიმე ჭრილობა“.

სხვა მაგალითებში „საჭიროებას“ ენაცვლება „საჭირო“ („წერილები შეინახეს საჭირო შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოებში წარსადგენად“), „აუცილებელს“ — „აუცილებლობა“ („სასამართლო არ თვლის აუცილებლობად“...), „აღმოუჩინეს“ („ჩამოართვეს“) — „ამოიღეს“ (არყის სახდელი მოწყობილობა ამოიღეს“), „დაღეულს“ — „მიღებული“ („მიღებული ჰქონდა ლუდი“) და ა. შ., რაც ასევე ცუდი თარგმანის შედეგია.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ვითარება თავს იჩენს მაშინაც, როცა დგას საკუთრივ ქართული ენის ცოდნის საკითხი. მაგალითად, „აღუთქვა აბაზაძეს დახმარება იმ მოტივით, რომ შემდეგ თვით აბაზაძე დაეხმარებოდა სამსახურში მოწყობაში“. ამ წინადადებაში სიტყვა „პირობის“ ნაცვლად გამოყენებულია „მოტივი“. როგორც ჩანს, შეცდომა გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ ტერმინი „მოტივი“ ხშირად იხმარება სამართლებრივ დოკუმენტებში. კონტექსტი სწორედ „სამართლებრივი“ თვალსაზრისით არის გააზრებული: მოტივი — ქმედების პირველმიზეზი. მაგრამ წინადადებაში ხომ შეთანხმებაზეა საუბარი — პირობაზე და არა — მოტივზე? ასეც უნდა გასწორდეს: „აღუთქვა აბაზაძეს დახმარება იმ პირობით...“

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. განხილულ მასალებში სიტყვას „რაზეც“ უმართებულოდ ენაცვლება „რაც“ („სთხოვეს, რომ ნება დაერთო მოესმინათ მაგნიტოფონისათვის. რაც დასტურით უპასუხა“), ნაცვალსახელებს „იგი“, „მისი“ — „მან“, „თავისი“ („მან შეეკითხა“, „თავისმა შეიღმა“), „თითს“ — „ხელი“, „ლიფტის დილაკს“ — „სართულის დილაკი“ („დააჭირა ხელი... სართულის დილაკს“), სიტყვას „მიიჩნევს“ ან „თვლის“, „ითვალისწინებს“ („სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად სასამართლო ითვალისწინებს“ იმას, რომ...“) და ა. შ.

ქართული ენის სრული უცოდინარობის ნიმუშია: „ხელს ჰკიდებდა უკანა ტანზე, ასევე სხეულის სხვა მიდამოებში“. რა თქმა უნდა, მიუღებელია შესიტყვება: „სხეულის მიდამოები“ (უნდა იყოს: „სხეულის ასოები“). ამას გარდა, „ასევეც“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „აგრეთვე“. ამ შეცდომებს კიდევ ეშველება, მაგრამ წინადადების ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის ტერმინი „უკანა ტანის“ მნიშვნელობა და იგი „საჯდომის“ („უკანალის“) სინონიმად მიაჩნია. მოსამართლე არც ეჭვობს, რომ ამით ხელოვნურად ამძიმებს და-

ნაშაულს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „უკანა ტანის“ სინონიმია „ყითა“ (სწორი ნაწლავის ბოლო ნაწილი). ამრიგად, შეცდომით გამოყენებულ ტერმინს შეიძლება სერიოზული უსიამოვნებანი მოჰყვეს.

სტილისტურ უზუსტობებთან ერთად, განაჩენის ტექსტებში მრავლადაა ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომებიც: „მიყიდა“, უნდა იყოს „მიჰყიდა“, („ჰაე“ აქ დიდ განსხვავებას ქმნის: მიყიდა — მან მე ის. მიჰყიდა — მან მას ის), „მიყავს“ — მიჰყავს, „ყეებოდა“ — ჰყეებოდა, „ყავს“ — ჰყავს, „მოკლავდა“ — მოჰკლავდა. ამ მაგალითებში აშკარაა „ჰაე“-ს გაქრობის ტენდენცია და დროთა ვითარებაში, შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ პირველ მაგალითს ეს პროცესი არასოდეს შეეხება, ვინაიდან იქ „ჰაე“ მთლიანად ცვლის ზმნის შინაარსს, მეტიც, ზმნის ახალ ფორმას იძლევა.

ასეთივე შეცდომებად უნდა ჩაითვალოს: „თხოვა“, უნდა იყოს სთხოვა, „გაუარდა“ — გაუვარდა, „ეკუთნოდა“ — ეკუთვნოდა. ენის უცოდინარობის შედეგია: „ნებაყოფილებით“ უნდა იყოს ნებაყოფლობით, „ნასამართლები“ — ნასამართლევი. „წლების“ ნაცვლად უნდა იყოს წლების. „განათავისუფლებდნენ“, „განათავისუფლებდნენ“, უნდა იყოს „გაათავისუფლებდნენ“. ამ სიტყვის მართლწერა განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. „გან“ არქაულმა ზმნისწინმა თანამედროვე ქართულში გამარტივებული სახე მიიღო — „გა“ (გან-აგლო — გა-აგლო, გან-ვიდა — გა-ვიდა...). „განათავისუფლებაშიც“ მსგავსი პროცესი მიმდინარეობს, რამაც გამოიწვია პარალელური ფორმის „გათავისუფლების“ წარმოქმნა. შეცდომის თავიდან ასაცილებლად უპრიანია გამარტივებული ვარიანტის გამოყენება.

„დამნაშავეთ ცნობს“, უნდა იყოს დამნაშავედ ცნობს, „არაყის“ — არყის, „რაშიდაც“ — რაშიც, „სარემონტო საამშენებლო“ — სარემონტო-სამშენებლო, „მიკრო რაიონი“ — მიკრორაიონი.

ხშირად შეცდომით წერენ მამის სახელს: „ზაქროს-ძე“, „სერგოს-ასული“, და მისთ: გვხვდება შერწყმული ფორმაც — „ზაქროსძე“, რომელიც მკაფიოდ შიშობს შეცდომის პირველმიზეზზე. აქაც კალკის გავლენა იჩენს თავს. ქართულ ენაში მამის სახელი და სქესის აღმნიშვნელი — „ძე“, „ასული“ ცალ-ცალკე იწერება: სერგოს ასული, ზაქროს ძე.

შეცდომებია დაშვებული რიცხვითი სახელის მართლწერაშიც: № 51-ე, 241 მუხლი, 3-წლით, 11-თებერვლამდე, 3-შვილი, 3-აქტი, 3-მი და სხვ. უნდა იყოს: № 51 ან 51-ე, 241-ე მუხლი, სამი წლით, 11 თებერვლამდე, სამი შვილი, 3 აქტი ან მე-3 აქტი, სამი.

გვხვდება ასეთი უმართებულო ნიმუშებიც: „ა/მანქანა“, უნდა იყოს ავტომანქანა, „თ/ალკვეთა“ — თავისუფლების ალკვეთა, „საქ. სსრ“ — საქართველოს სსრ.

სტილისტურ თუ ორთოგრაფიულ შეცდომათა უამრავი მაგალითის დამოწმება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგადი სურათი ისედაც ნათელია.

რა შეიძლება გაკეთდეს სამართლის ენის შემდგომი დახვეწისათვის?

აშკარაა, რომ ამ საქმის ბედის ანაბრად მიტოვება არ შეიძლება. ვერც კერძო პირთა ცალკეული თაოსნობა გამოიღებს სასურველ შედეგს. აუცილებელია კონკრეტულ ღონისძიებათა ერთიანი, მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება.

უწინარეს ყოვლისა, სასურველია:

1. შეიქმნას სამართლის ენის შემსწავლელი შერეული კომისია — სამართალმცოდნეებისა და ფილოლოგების მონაწილეობით.

კომისია შეისწავლის:

- ა. ქართული სამართლებრივი გამოცემების (სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციები) ენას;
- ბ. ადმინისტრაციული ორგანოების საქმისწარმოების მასალებს;
- გ. ნათარგმნი სამართლებრივი ლიტერატურის სტილს;
- დ. შეადგენს და დაამტკიცებს სათარგმნი ლიტერატურის ნუსხას, კონტროლს გაუწევს სამართლებრივი ლიტერატურის თარგმნის პროცესს;
- ე. დააწესებს სამართლის ენის განვითარების სისტემატურ (ყოველწლიურ) კონტროლს;
- ვ. მოაწყობს ყოველწლიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე: „სალიტერატურო ენის საკითხები სამართალმცოდნეობაში“;

2. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე შეიქმნას სპეციალური სასწავლო კურსი თემაზე: „ქართული სამართლის ენის საკითხები“.

3. ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული გამსვლელი სალექციო ჯგუფი.

ინფორმაცია

კვალიფიციური იურიტების აღზრდისათვის

1988 წლის 18 მარტს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა საერთო კრება, სადაც განიხილეს შრომის დისციპლინის, მისაღებ გამოცდებზე ახალი საგნების შემოღებისა და აბიტურიენტთა შერჩევაში ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობის საკითხი.

ფაკულტეტის დეკანმა ვ. მეტრეველმა აღნიშნა: უკანასკნელ დროს ჩვენთან შრომის დისციპლინის მხრივ სასურველი მდგომარეობა შეიქმნა. თითქმის აღარ გვხვდება სამსახურში დაგვიანებისა თუ ლექცია-სემინარების გაცდენების ფაქტები, ამაღლდა ლექციების ჩატარების ხარისხი და კულტურა, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები მეტს მუშაობენ საკუთარ თავზე და სტუდენტებთანაც, იხვეწება ინდივიდუალური მუშაობის ფორმები, მეტი ყურადღება ექცევა სტუდენტთა საკურსო და

სადილომო ნამუშევრების მომზადებას. თითოეულ ჩვენთანაც კარგად ესმის ის მოთხოვნები, რასაც პარტია და მთავრობა გვყენებს იურისტთა კადრების მომზადების საკითხში, ამიტომ ჩვენი ვალია აღმზრდელობითი და სამეცნიერო საქმიანობა წარვმართოთ ისე, რომ ქვეყანას მივცეთ კვალიფიციური იურისტები. ამ საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ტექნიკურმა მუშაკებმაც, მათ დროულად უნდა უზრუნველყონ სტუდენტებისათვის სპეციალური ლიტერატურისა და პროგრამების შერჩევა. საჭიროა სრული დატვირთვით მუშაობდეს ბიბლიოთეკა, დროულად ხდებოდეს ახალი ლიტერატურის შექმნა.

მუშაობის გააქტიურება მართებთ კათედრებსაც. აქ რეგულარულად უნდა ჩატარონ სამეცნიერო სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც კათედრის წევრები, ასპირანტები, უფროსი კურსის სტუდენტები.



ასევე მონათესავე კათედრების თანამშრომლებ-
იც. ასეთი სემინარები პროფესორ-მასწავლებელ-
თა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალგაზრდა
მკვლევართა დაოსტატების ბრწყინვალე საშუ-
ალეება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩვენ
ვალწი ვართ სტუდენტებთან სახელმძღვანელო-
ების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა თუ მე-
თოდური მითითებების შექმნის თვალსაზრისით,
თუმცა წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩათვა-
ლოს სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგი-
ის კათედრის მიერ მიმდინარე წელს რუსულ
ენაზე გამოცემული კრიმინოლოგიის სახელმძღ-
ვანელოს თარგმანზე დაწყებული მუშაობა.
მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭიროა
კათედრებზე მომზადებული სახელმძღვანელო-
ების დროული გამოცემა. ამასთან თითოეული
ჩვენთაგანის ვალია დროულად და ხარისხიანად
შეასრულოს წლიური შრომები.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ დის-
ციპლინის დარღვევის თითოეული ფაქტი ფარ-
თო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. პრაქტი-
კაში დამკვიდრებული გაცდენილი საათების
აღდგენის ფორმები კიდევ უფრო უნდა დაიხ-
ვეწოს.

მისაღები გამოცდების სიახლეებზე და აბი-
ტურიენტთა შერჩევაში ფაკულტეტის პროფე-
სორ-მასწავლებელთა მონაწილეობის საკითხზე
ისაუბრა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის
მოადგილემ ზ. წულაიაშ.

იურიდიულ ფაკულტეტზე კვალიფიციური
კადრების მომზადებაში არსებული ნაკლოვანე-
ბები ბევრადაა განპირობებული სტუდენტთა
კონტიგენტის არასწორი შერჩევით, თქვა მან.
დღეს უმაღლესი სასწავლებლები, ისევე რო-
გორც მთელი ჩვენი ქვეყანა, დაადგნენ გარ-
დაქმნის გზას. შეიცვალა უმაღლესი სასწავლებ-
ლებში მიღების წესები, რასაც საფუძვლად და-
ედო პროფესიული ორიენტაციის კრიტერიუ-
მი. სამწუხაროდ, ასეთი რამ უგულებელყოფი-
ლია იურიდიული ფაკულტეტის პრაქტიკაში.
წლების განმავლობაში ჩვენი პროფესორ-
მასწავლებლები მონაწილეობას არ იღებენ

ფაკულტეტზე შემომსვლელ აბიტურიენ-
თთა შეფასებაში, რადგან არ ბარდება საგანი —
„საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის სა-
ფუძვლები“, რომელშიც გამოვლინდება აბი-
ტურიენტთა მიღრეკილება იურისპრუდენცი-
ისადმი, თუმცა ეს საგანი საკმაოდ დიდი ხანია
ისწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.
ჩვენი აზრით, ამ საგნის შემოღება იქნება იუ-
რიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა დაკომ-
პლექტების ოპტიმალური საშუალება, ხოლო
საშუალო სკოლებში კი ამ საგნის სწავლების
დონის ამაღლების, ახალგაზრდობის სამართლებ-
რივი აღზრდის აქტიური ხელშემწყობი პი-
რობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა
მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალუ-
რი კომიტეტის თებერვლის პლენუმზე აღნიშნა,
რომ საჭიროა „ჩამოვყაყობოთ ზოგადი, პო-
ლიტიკური და სამართლებრივი კულტურა, სო-
ციალისტური დემოკრატიზმის კულტურა, მი-
ველწიოთ, რომ ახალგაზრდობას ღრმად ესმოდეს
სსრ კავშირის მოქალაქის კონსტიტუციური
უფლებები და მოვალეობანი. მოვაწყოთ იუ-
რიდიული საყოველთაო სწავლება, როგორც
ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამა,
რომელიც მოიცავს მოსახლეობის ყველა
ფენას, მთელ კადრებს ცენტრში და ადგილებ-
ზე“. მიგვაჩინა რომ, სკკპ ცენტრალური კომი-
ტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილე-
ბების განხორციელების ერთ-ერთი ქმედითი
ლონისძიება იქნება იურიდიული ფაკულტეტის
მისაღებ გამოცდებზე „საბჭოთა სახელმწი-
ფოსა და სამართლის საფუძვლების“ შემოღება.

კამათის მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა კონტი-
გენტის უკეთ შერჩევისათვის, საჭიროა მო-
მავალში მისაღებ გამოცდებზე ჩაბარდეს „საბ-
ჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძ-
ვლები“, რაც დაეხმარება გამომცდელს აბი-
ტურიენტის პროფესიული ორიენტაციის გარ-
კვევაში. ეს კი თავის მხრივ გავლენას მოახ-
დენს მალაკვალიფიციური იურისტების მომ-
ზადებაზე.

შეხვედრა აღმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან

1988 წლის 18 მარტს, საქართველოს სსრ
იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში,
„მრგვალ მაგიდასთან“ შეიკრიბნენ საქართვე-
ლოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებუ-
ლი იუსტიციის ორგანოების მუშაეთა კვალი-
ფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბ-

ლიკური კურსების მსმენელები — სახალხო
სასამართლოთა თავმჯდომარეები, სახალხო მო-
სამართლეები და სხდომის მდივნები. აქ ისინი
შეხვდნენ რესპუბლიკის აღმინისტრაციული
ორგანოების წარმომადგენლებს და საინტერესო
სკაბაას გამართეს მათთან. ეს საუბარი შეეხო

გარდაქმნის აქტუალურ საკითხებს, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეთა განხილვის დროს წამოჭრილ პრობლემებს, სასამართლო ორგანოთა მუშაკების ავტორიტეტს, სასჯელთა სტაბილურობას, დაცვის ფუნქციებს, ახალ კანონმდებლობათა გამოყენების სირთულეებს და ა. შ.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. კვიციანი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი ლ. ნიკურაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ა. დუღუნიშვილი, ე. სარქისოვა, თ. დონჯაშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრი გ. ტარახჩევი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის

პრეზიდენტის თავმჯდომარე გ. როინიშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი გ. თითბერიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. გიორგაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მშაჩის ორგანოების სამმართველოს უფროსი ზ. წურჭუშია, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კომახიძე და მისი მოადგილე მ. ჩაჩუა.

შეხვედრა, რომელიც საინტერესოდ და საქმიანად ჩატარდა, შეაჯამა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა.

ნონა გოგიჩაიშვილი

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიაზე

1988 წლის 26 თებერვალს საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის გაფართოებულ კოლეგიაზე განიხილეს „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო წინამძღვრელობის როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 4 ივნისის დადგენილებისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებულების რეალიზაციის 1987 წლის შედეგები და საპროკურორო საქმიანობის ძირითადი გარდაქმნის ორგანიზაციის საკითხები.

მოსხენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში, ისევე, როგორც საქართველოს სსრ პოლიტიკური და ეკონომიკური ცნობების ყველა სფეროში, მიმდინარეობს გარდაქმნის ღრმა პროცესი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროკურატურის ორგანოების საქმიანობის კომპლექსურ შემოწმებებს. ადგილებზე შესწავლილ იქნა არსებული ვითარება და განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი

მუშაობის ძირითადი გარდაქმნისა და გამოვლენილ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისათვის. უპასუხისმგებლობისა და კანონიერების უნეში დარღვევის თითოეული ფაქტი მკაცრი რეაგირების საგნად იქცა. ამ საქმეში ფართოდ ინიერგება საჯაროობა და დემოკრატიზაცია, კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი საზოგადოებრიობასთან, შრომით კოლექტივებთან.

კოლეგიაზე კონკრეტული და საქმიანი მსჯელობა გაიმართა რესპუბლიკაში არსებულ ოპერატიულ ვითარებაზე, განზოგადდა საპროკურორო-საგამომძიებო პრაქტიკა. ითქვა, რომ მიუხედავად დადებითი ძვრებისა, პროკურატურის ორგანოების მუშაობაში ჭერ კიდევ ბევრია მოსაგვარებელი პრობლემები, რომელთა რეალურად გადაჭრის უტყუარი მაგისტრალური გზაა გარდაქმნისა და განახლების მიმდინარე პროცესი.

საქართველოს სსრ პროკურატურის გაფართოებულმა კოლეგიამ განსაზღვრულ საკითხებზე მიღო სპეციალური გადაწყვეტილება და დასახა ოპტიმალური გზები მათი განხორციელებისათვის.

რესპუბლიკური დათვალიერება-კონსურსის გამარჯვებულნი

საპარტიულ სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდენტმა შეაჯამეს საქართ-

ველოს სსრ სახალხო დემუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებების, სახელმწიფო საწო-



ტარო კანტორების და იურიდიული კონსულტაციების მიერ 1987 წელს გაწეული მუშაობის შედეგები.

ამასთან დაკავშირებით ჩატარებულმა დაზველიერება-კონკურსმა, როგორც სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთმა საუკეთესო ფორმამ, დადებითი შედეგები მოახდინა ამ ორგანოთა საქმიანობაზე. კიდევ უფრო განმტკიცდა სახელმწიფოებრივი და საშემსრულებლო დისციპლინა, ამაღლდა მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების კულტურის დონე, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია და ა. შ.

რესპუბლიკის მმართველთა განყოფილებათა გამგეები ქმედით დახმარებას უწყვეტ სახალხო დემოკრატიულ სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივნებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციაში გატარების დროს, განაზოგადებენ სასოფლო საბჭოების დადებითი მუშაობის გამოცდილებას და დროულად იღებენ ზომებს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. აქტიურად აწარმოებენ რა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას, ისინი ხშირად აწყობენ კითხვა-პასუხის საღამოებს თუ ლექცია-საუბრებს საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საკითხებზე.

სახელმწიფო ნოტარიუსების უმეტესობა მაღალპროფესიულ დონეზე ემსახურება თავის სამოქმედო უბანს. ისინი სისტემატურად სწავლობენ მნიშვნელოვან სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკას, სრულყოფენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ასრულებენ საადრულდებო წარწერებს, გადაჭარბებით ანადღებენ ფასიანი მომსახურების გეგმებს, სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი გატარების მიზნით ხშირად ეწევიან ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში. როგორც წესი, სანოტარო კანტორებს თვალსაჩინო ადგილას აქვთ გამოკრული საცნობარო-საინფორმაციო მასალები და იმის ნიმუშები, თუ როგორ უნდა შეივსოს სანოტარო მოქმედებისათვის საჭირო საბუთები.

ბოლო დროს თითქმის რადიკალურად გარდაიქმნა რესპუბლიკის იურიდიული კონსულტაციების მუშაობა, რომელთა უმეტესობაც სისტემატურად ასრულებს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დავალებებს. უმაღლეს დონეზეა დაყენებული მოქალაქეთა მიღება და მათი კულტურული მომსახურება, რეგულარული განხილვა ადვოკატთა მორიგეობა სადამოს საათებსა და არასამუშაო დღეებში, მნიშვნელოვანად გაიზარდა სამართლებრივ თემებზე ჩატარებული ლექციების რაოდენობა, მკვეთრად გაუმჯობეს-

და მათგან წარმოება-დაწესებულებებისათვის გაწეული იურიდიული მომსახურება.

სწორედ ეს მაჩვენებლები გაითვალისწინა დათვალიერება-კონკურსმა ამასწინათ რომ ჩატარდა და გამოავლინა 1987 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ის რაიონები, რომლებმაც საერთო წარმატებათა ფონზე კიდევ უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს.

აი ისინიც, 1987 წლის დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებულნი:

რესპუბლიკის მმართველთა განყოფილების პირველი ადგილი მიეკუთვნათ ქ. თბილისის მ. კომისრის რაიონის რაიონული მმართველობის განყოფილებას (გამგე კ. ბოლქვაძე, ინსპექტორი ე. გორდუნიანი), ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის მმართველობის განყოფილებას (გამგე ლ. სიმონიშვილი, ინსპექტორი ე. დათუაშვილი) და ადიგენის რაიონული საბჭოს აღმასკომის მმართველობის განყოფილებას (გამგე ც. ბერიძე).

მეორე ადგილზე გამოვიდნენ თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის მმართველობის განყოფილება (გამგე ლ. გვიმრაძე, ინსპექტორი თ. ბურნაძე), ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის (გამგე ნ. გუბელაძე, ინსპექტორი მ. ცერცვაძე) და ავტოქარხნის რაიონის (გამგე მ. ვოგიბერიძე, ინსპექტორი დ. კაკაბაძე) აღმასკომების მმართველობის განყოფილებები.

მესამე ადგილი მიენიჭათ ახალციხის რაიონული საბჭოს აღმასკომის მმართველობის განყოფილებას (გამგე ნ. ღონღაძე, ინსპექტორი ნ. პეტროსიანი), ტყვარჩელის საქალაქო აღმასკომის მმართველობის განყოფილებას (გამგე ლ. კორძია) და ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომის მმართველობის განყოფილებას (გამგე ს. ნაბიაძე).

რესპუბლიკის სახელმწიფო სანოტარო კანტორებდან პირველი ადგილი არავის მიეკუთვნა.

მეორე ადგილზე გამოვიდნენ მცხეთის რაიონული სახელმწიფო სანოტარო კანტორა (ნოტარიუსი მ. მაჩხანელი), ვაგრის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორა (ნოტარიუსი ჯ. ზარქუა) და ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორა (ნოტარიუსი ნ. კალანდარიძე).

მესამე საპრიზო ადგილი წილად ზვდათ ქ. თბილისის მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორას (ნოტარიუსი ლ. შალამბერიძე), ქ. თბილისის მეთოთხმეტე სახელმწიფო სანოტარო კანტორას (ნოტარიუსი ზ. ჩიხლაძე) და ჩხოროწყუს რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორას (ნოტარიუსი რ. ჩარქელიანი).

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულნი და რესპუბლიკის საუკეთესო იურიდიულ

კონსულტაციებად ცნეს ქ. ბათუმის იურიდიული კონსულტაცია (გამგე ტ. ხვედელიძე) და გარდაბნის რაიონის იურიდიული კონსულტაცია (გამგე ზ. კალანდარიძე).

მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქ. ტყუბულის იურიდიული კონსულტაცია (გამგე ნ. ბუაძე), ცხაკაიას რაიონის იურიდიული კონსულტაცია (გამგე მ. რობაქიძე) და ყვარლის რაიონის იურიდიული კონსულტაცია (გამგე შ. გიომელი).

მესამე ადგილი წილად ხვდათ ბორჯომის რაიონის იურიდიულ კონსულტაციას (გამგე ლ. ხუჭუა) და ახალქალაქის რაიონის იურიდიულ კონსულტაციას (გამგე ა. ხარშაკიანი).

დათვლიერება-კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცათ გარდამავალი ვიშნელები და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ხიფიანი, თამაზ შავაშვილი

მართლშეგნება და დანაშაული

შემოვიდა თუ არა მამია, მაშინვე ბუხარს მიაშურა.

— მართალია, ფიქრისათვის ბევრი დრო არ გქონდათ, მაგრამ... — წამოიწყო ბიძინამ.

— კაცი სულ ფიქრობს, — ჩამოართვა მამიამ.

— მერე, გაგიჩნდა კითხვები?

— შეკითხვაც მაქვს და გარკვეული მოსახრებაც.

— ბრძანე, ბატონო!

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ თუ რას მოიმოქმედებს კაცი გარკვეულ ვითარებაში, დამოკიდებულია მისი ჭკუფის საზოგადოებრივ აზრზე, ხომ?

— კი, ასეა.

— საზოგადოებაში სხვადასხვა ეტალონური ჭკუფია, სადაც ზოგიერთ საკითხზე ძალზე განსხვავებული, საპირისპირო აზრიც კი არის გავრცელებული. ზოგში, ვთქვათ, ქურდების ჭკუფში, გაბატონებულია ქურდობის სასარგებლო აზრი. სხვაში, უმეტესობაში, ასეთი აზრი არ არის. არათუ არ არის, არამედ, ასეთი აზრი გაიციტულია. რატომ ხდება, რომ ზოგი ახალგაზრდა თავის ეტალონურ ჭკუფად ირჩევს ქურდების ჭკუფს, მეორე კი — არა? ან, რა უნდა ვიღონოთ, რომ ასეთი რამ არ მოხდეს?

— სწორი კითხვაა! კაცი დამნაშავედ კი არ იბადება, არამედ ყალიბდება სოციალიზაციის დროს. ეს უდაოა. მაგრამ ადამიანები ერთმანეთს არ ჰგვანან; ისინი განსხვავდებიან ფიზიკურად, გონებრივად, ტემპერამენტით და ასე

შემდეგ. მთავარია, როგორ წარიმართება ამ თვისებათა კომპლექსი, როგორ განვითარდება იგი სოციალიზაციის პროცესში. ადრევე ვთქვით, აღზრდისას დაშვებული შეცდომები ზოგიერთ მოთხოვნილებათა დეფორმაციას, მოჭარბებას იწვევს. ეს ადამიანის ფსიქოლოგიურ აღნაგობას აყალიბებს. მაგალითად, ჭარბმა აგრესიულობამ, შეიძლება მოძალადედ აქციოს კაცი, მაგრამ იგივე მოთხოვნილების ახალგაზრდა შეიძლება კრიკში ჩემპიონი გახდეს, ან ომში დიდი გმირობა გამოიჩინოს. ამავე დროს ზოგიერთმა თანდაყოლილმა თვისებამ და სოციალიზაციის დროს მიღებულმა დეფორმირებულმა მოთხოვნილებამ, შესაძლოა, ახალგაზრდა ისეთ ეტალონურ ჭკუფში მიიყვანოს, სადაც დანაშაულის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრია გამეფებული.

— მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი აღზრდა ყოფილა!

— გადამწყვეტია სწორი და, განსაკუთრებით, სამართლებრივი აღზრდა.

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! კანონის და სამართლის ცოდნა აკლია ზოგიერთ მოსამართლეს და პროკურორს ქრთამს რომ იღებს?!

— მე არ მიტყვამს, კანონის და სამართლის ცოდნა არის გადამწყვეტი-მეთქი. ერთია სამართლებრივი ცოდნა, განათლება და მეორე — სამართლებრივი აღზრდა. თუმცა, აღზრდა განათლების გარეშე შეუძლებელია.

— კი, ეგ სწორია! ისეთი ზრდილი გლეხი



მინახავს, ბევრ პროფესორს შემურდებოდა.

— საქმეც ეს არის! ხშირად, სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივი ცოდნის მიწოდება ჰგონიათ. ეს კი არ არის სწორი. სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივი შეგნების, ესე იგი, მართლშეგნების ამალგებაა. მაღალი მართლშეგნება იმას აქვს, ვინც იცის კანონი, იზიარებს, ესე იგი, მხარს უჭერს მას და, რაც მთავარია, გამოძულებული აქვს კანონის შესრულების მზაობა. ასე, რომ კანონის ცოდნა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია. მთავარია, კანონის შესრულების მზაობის გამოძულება. მაღალი მართლშეგნება დანაშაულის ჩადენას გამორიცხავს. მართლშეგნების დონე დანაშაულის ჩადენის ალბათობის უკუპროპორციულია.

— ახლა კი ძალიან გაუტეი! ამდენი მილიცია და პროკურატურა ვერ მორეგია დანაშაულს და ეს შენი მართლშეგნება რა არის ისეთი, ქვეყანა გადააბრუნოს!

— მოკლედ მინდოდა შეთქვა, მაგრამ არ გამოდის! სხვა გზა არა არის, ცოტა განათლება კიდევ დაგვჭირდება, — ჩაიცინა ბიძიანმა, წიგნს გადასწვდა, გადაფურცლა და გოჩას მიაწოდა:— აი, აქედან წაიკითხე.

გოჩამ წიგნი ჩამოართვა და კითხვა დაიწყო:

„მოთხოვნების დაკმაყოფილების გზების ძიება მოტივაციის საშუალებით ხდება. სანამ ადამიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ ხერხს, ქცევას მიმართავდა, იგი სათანადოდ მსჯელობს და იძებს ამ ქცევას. კონკრეტული ქცევის დროს, მიმართულებისა და ხასიათის ინტელექტუალური ძიების პროცესი მოტივაციის პროცესია, რომლის შედეგადაც სუბიექტი ასკენის, თუ რომელი ქცევა მისთვის უფრო ხელსაყრელი მოცემულ ვითარებაში შესაძლებელ უამრავ სხვა ქცევათა შორის. თუ იგი დაასკენის, რომ ვთქვათ, ფულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ საზოგადოებრივი ღირებულების მქონე სხვადასხვა ქცევათა შორის მისთვის ყველაზე ხელსაყრელია გატენოს მეზობლის სახლი და მიიპაროს ფული, მას შეუძლებელია დანაშაულებრივი ქცევის, კერძოდ, ქურდობის მოტივი, თუ ქურდობის მოტივს თან მოჰყვება ქურდობის გადაწყვეტილება, შემდეგ კი — ქურდობის განწყობა და მისი განხორციელება, დანაშაულის ჩადენის მიზეზი განწყობა როდი იქნება, რადგან განწყობაში რელიზაცია ჰპოვა. ქურდობის მოტივმა, რომელიც მოტივაციის შედეგად იქნა მიღებული. ფულის შოვნის მოთხოვნილებაში მოცემული იყო მხოლოდ მოთხოვნილების ობიექტი (ფული) და არა ის ქცე-

ვითა სისტემა, რომლის საშუალებითაც ფულის შოვნა შეიძლება. მოთხოვნილებაში დანაშაულებრივი ქცევა (ქურდობა) ასახული არ ყოფილა, იგი დაისახა მოტივაციის პროცესში. ე. ი. ინტელექტუალური მსჯელობით იმაზე, თუ რა გზით იშოვება ფული. დანაშაულებრივი მოტივის საწყისი აღმოჩნდა მოტივაციის პროცესი. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, მართლშეგნების მომწესრიგებელი ფუნქცია ყველაზე ნათლად მოტივაციის პროცესში ჩანს.

მოტივაციის პროცესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის განსჯა სამომავლო ქცევის საზოგადოებრივ მხარეზე და საბოლოოდ — მსჯელობა მოცემულ სიტუაციაში ქცევის ხელსაყრლობაზე. ამგვარ მსჯელობაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს. სანამ ადამიანს დანაშაულებრივი ქცევის მოტივი გამოუმუშავდება, იგი მრავალ ფაქტორს უწყევს ანგარიშს და მხოლოდ ამის შემდეგ ასკენის, რომ ამჯერად მისთვის ხელსაყრელია სწორედ ქურდობა და სხვა არაფერი.

ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა არ იცვლება მისი სოციალური მნიშვნელობისა და ღირებულების შეცვლასთან დაკავშირებით. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა სოციალურ მიმართულებას იღებს ქცევა, მოტივაციის ფაქტორები შეიძლება სულ სხვადასხვა იყოს. მაგალითად, თუ კაცმა უნდა გადაწყვიტოს სად დაისვენოს ზაფხულში, ზღვაზე თუ მთაში, მოტივაციის ფაქტორთა შორის არ გვექნება ისეთი სამართლებრივი ხასიათის ფაქტორები, როგორცაა მართლშეგნება, სამართლებრივი კონტროლი და სხვ. მაგრამ საკმარისია, ადამიანი შევიდეს იმის განსჯაში, ჩაიდინოს დანაშაული თუ სხვა გზით დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება, რომ მაშინვე ამოქმედდებიან ფაქტორები, რომლებიც სწორედ სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ.

ამრიგად, სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის, კერძოდ დანაშაულებრივი ქცევის მოტივის შემუშავების დროს მოტივაციის პროცესში მონაწილეობენ ისეთი ქცევისათვის სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის პროცესს სხვა ელფერს, სხვა სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებას აძლევენ. ამით ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა, რასაკვირველია, არ იცვლება, რადგან იგი არ არის დამოკიდებული ქცევის სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებაზე.

თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი სოციალიზაციის კვლობაზე დიდ ცოდნას იძენს. უშუალოდ პრაქტიკული გამოცდილების შედეგად საზოგადოებაში დაგროვილი ცოდნის შეთვისებით და უამრავი ინფორმაციის გზით ეს

ცოდნა და მის საფუძველზე შემუშავებული შაბლონები ქმნიან ცოდნისა და გამოცდილების ე. წ. „პოტენციურ ველს“. იგი პოტენციურია, ეტნიდან, მისი აქტუალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ და იმდენად, როცა და რამდენადაც ეს კაცს სჭირდება. მაგალითად, სტუდენტმა უნდა ამოხსნას რთული მათემატიკური ამოცანა — ხდება ცოდნის აქტუალიზაცია მხოლოდ მათემატიკის დარგში. ცოდნის ის სფერო, რომელიც სტუდენტის აქტივობისათვის ამჟამად საჭირო არ არის, რჩება პოტენციურ ველში და მისი არსებობა ამ დროს არც კი აღიქმება. საკმარისია სტუდენტი სხვა ვითარებაში აღმოჩნდეს, ვთქვათ, მას ვენახის შეწამვლა დასჭირდა, რომ მაშინვე მოხდება მისი ცოდნის სულ სხვა სფეროს აქტუალიზაცია, მათემატიკური ცოდნა კი პოტენციურ ველში გადაინაცვლებს. ცოდნის პოტენციური ველი გულისხმობს საგნებისა და მოვლენების არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ შეფასებითი მხარის აღქმასაც. საგნებისა და მოვლენების ფიზიკური და შეფასებითი მხარის აღქმა ერთიანია და დანაწევრებულად არ ხდება. მაგალითად, კაცმა იცის არა მარტო ის, რომ თოფი არსებობს, არამედ ისიც, რომ იგი ისვრის და მისი გამოყენებით ნადირობა და კაცის მოკვლა შეიძლება. მან ისიც იცის, რომ ადამიანის მოკვლა დანაშაულია და მეკვლი ისჯება. ამიტომ, სანამ ადამიანი უყურებს თოფს როგორც სანადირო იარაღს, მასში ხდება თოფის შესახებ ცოდნის აქტუალიზაცია, როგორც სანადირო საშუალებისა. საკმარისია მან წარმოიდგინოს თოფი თავისი მოძულეული მეზობლის თავიდან მოშორების საშუალებად, რომ მასში მოხდება ცოდნის იმ სფეროს აქტუალიზაცია, რომელშიც ჩანს მისი დამოკიდებულება სოციალური და სამართლებრივი ნორმებისადმი.

მოტივაციის პროცესი ინტელექტუალური პროცესია. მასში ცნობიერების საშუალებით, სოციალური სიმბოლოების გამოყენებით, მომავალი ქცევის სურათის წარმოსახვა, მისი გზების გამოხატვა წარმოებს. ეს ხერხდება ცოდნის სათანადო სფეროს აქტუალიზაციის გზით, მისი სწორედ იმ სფეროს სოციალური სიმბოლოების გადატანით ცნობიერებაში, რომელ სფეროშიც იჭრება მოტივაციის პროცესი.

როგორც კი მოტივაციის პროცესი მიადგება ქცევას, რომელსაც სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი აქვს, მაშინვე ხდება მართლშეგნების სფეროს აქტუალიზაცია, ე. ი. იმ სფეროსი, რომელიც ავლენს, თუ რა იცის ამ კაცმა სამართლებრივი ნორმების და საერთოდ სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, როგორია მისი დამოკიდებულება მათადმი და

სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის რა შაბლონები აქვს შემუშავებული. ყოველივე ამის გამო დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში და მოტივაციის პროცესში მართლშეგნებას და საერთოდ სოციალურ, კერძოდ კი, სამართლებრივ სიმბოლოებს გადაწყვეტი ადგალი უჭირავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ისეთი სპეციფიკური ფაქტორის მონაწილეობა, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება არც კი შეინიშნებოდეს. მაგრამ არის მოტივაციის ისეთი ფაქტორები, ესენი არიან სუბიექტური მხარის ფაქტორები (მოთხოვნილება და სუბიექტის უნარი) და მათ შესაბამისად ობიექტური მხარის ფაქტორები (მოთხოვნილების ობიექტი და სიტუაცია). სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის დროს ამ ფაქტორებს ემატება სუბიექტური მხარის ფაქტორებად „მე“ — კონცეფცია და მართლშეგნება, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორებად — სამართლებრივი აზრი, სოციალური კონტროლის სახით და სამართლებრივი ნორმები, სამართლებრივი კონტროლის სახით.

ადამიანის ემოციურ სფეროში მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება განიცდება როგორც „მე მინდა“-ს ფენომენი, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება, როგორც „მე უნდა“-ს ფენომენი. დანაშაულებრივი ქცევის მოტივი ყველა ამ ფაქტორის შეპირისპირების შედეგია.

დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურის ნათლად წარმოდგენისათვის, გავანალიზოთ იგი შემდეგი მაგალითის მეშვეობით:

ვთქვათ, ან-ს ცუდი ბინა აქვს, მას უჩნდება საბინაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილება. თავისთავად მოთხოვნილებამ შეიძლება არც გამოიწვიოს კაცის აქტივობა, თუ არ არსებობს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეტ-ნაკლები პირობები. სწორედ ამგვარი რეალური პირობების გაჩენის შემდეგ ხდება მიზნის დასახვა. ან-ის სამსახურში იწყება კოოპერატიული საბინაო მშენებლობა და ამრიგად ან-ს გაუჩნდება საბინაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობა. იგი მიზნად ისახავს გახდეს კოოპერატივის წევრი, მაგრამ ბინის აშენებას დიდი თანხა სჭირდება, მას კი საკმარისი ფული არ აქვს. მიზნის განხორციელებას წინ ელოდება ობიექტური სახის წინააღმდეგობა. იწყება მოტივაციის რთული პროცესი. როგორ მოიქცეს ან-ი,



ისესხოს ფული თუ ხელშეკრულებით გაემგზავროს სადმე შორს, მიძიმე სამუშაოზე, სადაც დიდი ხელფასი ექნება და შედარებით მალე მოუგროვდება საჭირო ფული. ორსავე ამ ქცევას თავისი სიძნელე ახლევს და ან-ი იძულებულია სხვა საშუალება ეძებოს. მის აზრს ეწინააღმდეგება, რომ მისმა მეზობელმა სოფელში საწლი გაყიდა და ბლომად ფული აქვს. ან-მა იცის სად ინახება ეს ფული, ისიც იცის, თუ როგორ და როდის შეიძლება შევიდეს მეზობლის ბინაში ფულის მოსაპარად.

მოტივაციის პროცესიდან გამომდინარე ფულის შესახებ ვარიანტი, რადგან ან-ს არ აღმოჩნდა ისეთი ნაცნობი, ვინც დიდი ხნით ასესხებდა ფულს. მოტივაციის სფეროში დარჩა ორი შესაძლებელი ქცევა — წასვლა შორეულ ადგილას სამუშაოდ, ანდა ფულის მოპარვა. მოტივაციის პროცესი უკვე იქამდეა მისული, რომ მოსაზრებია ქცევის არჩევანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ორი შესაძლებელი ქცევა აისახება მოტივაციის ფაქტორთა სუბიექტურ და ობიექტურ მხარეში. იწყება ამ ფაქტორების ურთიერთშეპირისპირება და ამის შემდეგ მუშავდება იმ ქცევის მოტივი, რომელიც ყველა ფაქტორის შესატყვისი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ან-ი ან სულ სხვა ქცევის ვარიანტს გამოიხატავს, ანდა ხელს აიღებს თავისი მიზნის განხორციელებაზე.

ჩვენს მაგალითში მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ობიექტურად ორივე ქცევა გამოდგება. მოთხოვნილების ობიექტი (ამჟერად ფული) ორივე ქცევაშია მოცემული. ან-ს შესწევს უნარი ფიზიკურად განახორციელოს ორივე ქცევა. იგი დაუფლებულია ბუღალტერის მართვას და ამის მოხელები კი დიდად სჭირდება შორეულ მშენებლობებს, მის ხელთაა აგრეთვე ფულის მოპარვის „ოპერაცია“. სიტუაცია, რომელშიც შეიძლება გაიშალოს ორივე ქცევა, რეალურად არსებობს. ან-მა წაიკითხა განცხადება, რომ შორეულ მშენებლობებს სჭირდება ბუღალტერის სპეციალისტი; ამავდროს მეზობლის სახლში ინახება ფული, რომლის მოპარვაც ან-ს შეუძლია.

ამრიგად, მოტივაციის ამ ეტაპზე ქცევის არც ერთ ვარიანტს ობიექტური წინააღმდეგობა არ ელბება, რადგან ჯერ არ ხდება ქცევის შეფასება სოციალური და სამართლებრივი ღირებულების თვალსაზრისით. ამგვარ შეფასებას ქცევა იღებს მოტივაციის სწორედ ისეთ ფაქტორებში, როგორცაა „მე“ — კონცეფცია, მართლშეგნება, ერთი მხრივ, და სოციალური კონტროლი და სამართლებრივი კონტროლი, მეო-

რე მხრივ. სწორედ აქ იჩენს თავს პიროვნების მართლშეგნების დონე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირადი პასუხისმგებლობა საფუძვლად ედება თვითკონტროლის უნარს. თვითკონტროლი კი ფაქტობრივად სოციალური კონტროლია. ადამიანი მის ნამდვილ ან მოსალოდნელ ქცევას სხვა ადამიანის. თვალთ ამოწმებს. ამიტომ ინდივიდისათვის საზოგადოებრივი აზრი სოციალური კონტროლის წყაროც არის და მისი უზრუნველყოფის საშუალებაც. თანაც, თვითკონტროლი ემყარება „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბებას. ადამიანს თავის „მე“ — კონცეფციაში გაპიროვნებული აქვს სოციალურ ღირებულებათა მთელი სისტემა, რომლითაც იგი გზას იკვლევს მისთვის სოციალურად ღირებულ ქცევათა რთულ ლაბირინთებში. „მე“ — კონცეფცია ინდივიდის სოციალური სტატუსია, მისთვის უმაღლესი ღირებულებაა. ამ სტატუსის ამაღლება მისი ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია. „მე“ — კონცეფცია, პირის სოციალური სტატუსი, ძირითადად საზოგადოებრივ აზრზე დამოკიდებული და ამდენად სოციალური კონტროლის მუდმივ ზემოქმედებას განიცდის. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი, როგორც სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალება და როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორი, უპირისპირდება „მე“ — კონცეფციას, როგორც მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორს. რას მიიღებს ინდივიდი ამ ორი ფაქტორის შეპირისპირებით, ამაზე დიდად დამოკიდებულია, თუ რომელი ქცევის მოტივი გამოიმუშავდება მოტივაციის პროცესის შედეგად, თუ ან-ის „მე“ კონცეფციაში მტკიცედ გაპიროვნებულია მხოლოდ სოციალურად მაღალი ღირებულების ქცევათა სისტემა, მაშინ მისთვის ქურდობა, როგორც შესაძლებელი ქცევა, გამოირიცხებულია, თუ ან-ს ადრეც უქურდია ანდა, მართალია, ქურდობა არ ჩაუდენია, მაგრამ ამ ქმედობის წინააღმდეგ მყარი დამოკიდებულება არა აქვს გამოიმუშავებული, მაშინ მის შესაძლებელ ქცევათაგან ქურდობა გამოირიცხებული არ არის. აქ ძალაში შედის უკვე სოციალური კონტროლი: რას იტყვის ხალხი, როცა გაიგებს, ან-ს ქურდობა ჩაუდენია? თუ იმ სოციალურ ჯგუფში, რომელიც ან-ისთვის ეტალონურია, ქურდობას შეწყნარებით უყურებენ, მაშინ მისი მერყევი დამოკიდებულება ქურდობისადმი შეიძლება გაძლიერდეს და ეს ხელს შეუწყობს ქურდობის სასარგებლო მოტივის გამოიმუშავებას. პირიქით, თუ ან-ის ეტალონურ ჯგუფში ქურდობის წინააღმდეგ ძლიერი საზოგადოებრივი აზრია შექმნილი.

მაშინ სოციალური კონტროლი ქურდობის ჩადენის საწინააღმდეგო მოტივის გამომუშავებას უზრუნველყოფს.

როდესაც სოციალური ღირებულებების მქონე შესაძლებელი ქცევა სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში არ შედის, მოტივაციის პროცესი „მე“ — კონცეფციისა და სოციალური კონტროლის შეპირისპირებით მთავრდება. პირიქით შემთხვევაში მოტივაციის პროცესში მონაწილეობს მართლშეგნება და სამართლებრივი კონტროლიც, როგორც მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური მხარის ფაქტორები.

ჩვენს მაგალითში, თუ ან-ი მაღალი მართლშეგნების მატარებელია და უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ქურდობისადმი, თუ მას გამომუშავებული აქვს მზაობა არ ჩაიდინოს ამგვარი მოქმედება, მაშინ ქურდობა წინასწარვე გამორიცხული იქნებოდა მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაციიდან და მოტივაციის პროცესში ამგვარი ქცევა ან სულაც არ აისახებოდა ანდა შეაფერხებდა მოტივაციის პროცესს. მაგრამ ხომ შეიძლება ან-ი დაბალი მართლშეგნებისა იყოს, ე. ი. არ იზიარებდეს კანონს და მოკლებული იყოს მზაობას შეასრულოს მისი ეს მოთხოვნა? მაშინ მართლშეგნება, როგორც მოტივაციის ფაქტორი, არ გადაეღობება ქურდობის მოტივის გამომუშავებას და ამგვარი მოტივი წარმოიშობა კიდევ, თუ სამართლებრივი კონტროლი არ შეაფერხებს მოტივაციის პროცესს.

სამართლებრივი კონტროლის საფუძველი არის სამართლებრივი ნორმა, რომლის შესრულებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. ამიტომ მართლშეგნებისაგან განსხვავებით სამართლებრივ კონტროლს, როგორც მოტივაციის ობიექტურ მხარის ფაქტორს, ზემოქმედების სხვა სტრუქტურა აქვს. მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენომენია, იგი არის ადამიანის შინაგანი რწმენა, მისი მზაობა შესასრულოს სამართლებრივი ნორმა. სამართლებრივი კონტროლი კი ზეგავლენას ახდენს სუბიექტურ მოტივაციას პროცესში სასჯელის მუქარით. ამიტომ შეიძლება ადამიანს დაბალი მართლშეგნება ჰქონდეს, მაგრამ მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლი მოგვევლინოს ფაქტორად, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს დანაშაულობრივი ქცევის მოტივის გამომუშავებას.

სამართლებრივ კონტროლთან შედარებით მართლშეგნებას ვაცილებით ქმედითი როლის შესრულება შეუძლია, რადგან მაღალი მართლშეგნება გამორიცხავს მოტივაციის სფეროდან

თვით შესაძლებლობას გამომუშავდეს დანაშაულებრივი ქცევის მოტივი.

თუ სამართლებრივი კონტროლი იმოქმედებს ან-ში მიმდინარე მოტივაციის პროცესზე, როგორც დანაშაულებრივი ქცევის მოტივის საწინააღმდეგო ფაქტორი, მაშინ მოტივაციის პროცესი ამ მიმართულებით შეწყდება. ხოლო თუ ან-ი ჩათვლის, რომ მას ვერ შეუტყობენ და სასჯელი არ მოელის, მაშინ სამართლებრივი კონტროლიც გადალახულია და შეიძლება დანაშაულებრივი ქცევის მოტივი გამომუშავდეს.

რამდენადაც მოტივი ქცევის სუბიექტური ღირებულების შეცნობაა, ამდენად მოტივის შემუშავების შემდეგ მოთხოვნილება უკვე მოტივში აისახება, რაც შეეხება მოტივაციის სუბიექტური მხარის სხვა ფაქტორებს, ისინი უკვე მოიხსნებიან და ქცევის ფსიქოლოგიური განვითარების შემდგომ ეტაპზე გავლენას ვეღარ მოახდენენ. ყველა ეს ფაქტორი „მე მინდას“—ს განცდას იწვევს და მოთხოვნილების ემოციურ განცდაში ითქვიფება.

არ ითქმის იგივე მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორებზე, რომელნიც „მე უნდა“-ს ემოციური განცდით აღიქმება. მათი, განსაკუთრებით სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ზემოქმედება შეიგრძნობა, როგორც გადაწყვეტილების მიღებისას, ისე დანაშაულებრივი ქცევის განწყობის წარმოქმნის შემდეგაც. საზოგადოებრივი აზრის, მეტადრეკი მოსალოდნელი სასჯელის რიდი, როგორც წესი, საკმაოდ დიდია და ამიტომ, შეიძლება იმოქმედოს როგორც ობიექტური ხასიათის წინააღმდეგობამ იმის შემდეგაც, როცა დანაშაულებრივი ქცევის განწყობა წარმოქმნება. ასეთ შემთხვევაში, დანაშაულებრივი ქცევის განწყობის რეალობაცია შეიძლება შეფერხდეს და ადამიანმა ხელახალ მოტივაციას მიმართოს.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სამართლებრივი კონტროლის მოქმედებით კაცი დანაშაულზე ხელს იღებს იმის შემდეგაც კი, როდესაც დანაშაულებრივი ქცევის განწყობის რეალობაცია უკვე დაიწყო. საამ-შემთხვევოდ კანონმდებელი დანაშავეს „ოქროს ხიდს“ სთავაზობს — არ სჯის მას, თუ იგი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელს აიღებს.

როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტური მხარის ფაქტორებმა შესაძლოა მოტივაციის შემდეგაც გამოიწვიოს. „მე მინდა“-ს ემოციური განცდა, ზოგჯერ ობიექტური მხარის ფაქტორები „მე უნდა“-ს ემოციური განცდით ხასიათდება. თუ ობიექტური და სუბიექტური მხარის ფაქტორების შეპირისპირების დროს წინააღმდეგობას აღვილი არა აქვს, მაშინ „მე მინდა“-ს და „მე უნდა“-ს ემოციური განცდები არ აღიქმება და

დანაშაულებრივი ქცევის მოტივი შინაგანი და-
ძაბვის გარეშე გამომუშავდება, არაღა „მე
მინდა“-ს და „მე უნდა“-ს განცდები ერთმა-
ნეთს უპირისპირდება. ან-ს სურს მოიპაროს
მეზობლის ფული. მის ამ სურვილს სუბიექ-
ტური მხარის ფაქტორებს შორის წინააღმდე-
გობა არ შეხვედრია, მაგრამ სოციალური და
სამართლებრივი კონტროლი ან-ს საშიშროებას
უქადის — ვაი თუ მასზე ეჭვი მიიტანონ და
მავინ, მკაცრი სასჯელი მოელის და საზოგადო-
ებაშიც თავი მოეჭრება.

ასეთმა დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწ-
ვიოს მოტივაციის ობიექტურ და სუბიექტურ
ფაქტორთა ბრძოლა, რომელიც, როგორც ით-
ქვა, „მე მინდა“-ს და „მე უნდა“-ს წინააღ-
მდეგობის მწვავე ემოციურ განცდად გამოვ-
ლნდება. ეს განცდა აძნელებს მოტივის გამო-
მუშავებას. მოტივაციის პროცესი კიდევ და
კიდევ მეორდება. ფაქტორთა რომელი ჯგუფი
გაიმარჯვებს, ჩაიღენს თუ არა ან-ი ქურდო-
ბას — ეს ისევ და ისევ მოტივაციის ფაქ-
ტორზეა დამოკიდებული, პირველ რიგში —
მართლშეგნებაზე, „მე“ — კონტრფიციაზე და სა-
მართლშეგნებასა და სოციალურ კონტროლზე.

„მე მინდა“-ს განცდა წმინდა სუბიექტური
ფენომენია, ხოლო „მე უნდა“-სი — ობიექტუ-
რი, ოღონდ სუბიექტურად გარდატეხილი —

იგი ობიექტურ ხელოვნად განიცდება, თუმ-
ცა მისი შეფასება და განცდაც სუბიექტური
ხასიათისაა. ამიტომ, რომელს დარჩება გამარ-
ჯვება „მე მინდა“-სა და „მე უნდა“-ს განც-
დათა ჰიდილში, ეს მხოლოდ მოტივაციის ფაქ-
ტორთა ძალაზე როდია დამოკიდებული; ამის-
თვის დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების
ფსიქიკურ კონსტიტუციას, კერძოდ, მის ხა-
სიათს, ტემპერამენტსა და ნიჭიერებას. სუსტი
ხასიათი, გადაჭარბებული ემოციურობა აძლიე-
რებს „მე მინდა“-ს განცდის ძალას. პირიქით,
ნიჭიერება, ნაკლები მგზნებადობა და მტკიცე
ხასიათი საშუალებას აძლევს ადამიანს უფრო
„ცივი გონებით“ განსაჯოს განსასჯელი; ეს
თვისებები „მე უნდა“-ს განცდის მოკავშირენი
არიან.

ამრიგად, სამართლებრივი მნიშვნელობის
ქცევის მოტივაციაში მრავალი ფაქტორი მონა-
წილეობს, მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობა მართლშეგნებას აქვს. მაღალი მართლ-
შეგნება შეუძლებელსა ხდის დანაშაულებრივი
ქცევის მოტივის არსებობას, ვინაიდან არ შე-
იძლება კაცმა საჭიროდ და აუცილებლად მიიჩ-
ნიოს დანაშაულებრივი მოქმედება, თუ მას ამის
საწინააღმდეგო ქცევის მშაობა ადრევე შექმ-
ნილი ექნება. დანაშაულებრივი მოტივის გამო-
მუშავება, ე. ი. მოთხოვნილების დასაკმაყოფი-

ლებლად მრავალ შესაძლებელ ქცევათაგან და-
ნაშაულის არჩევა და მიზანშეწონილად მიჩნევა,
დაბალი მართლშეგნების შედეგია“.

გოჩამ კითხვა დაამთავრა და უფროსებს შე-
ავლო მხერა.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა მაიმი და
იქვე დასძინა, — მაგრამ ზოგი რამ გასარკვე-
ვიც მაქვს.

— რა, მაგალითად?!

— დანაშაულს წინ უსწრებს მოტივაციის
პროცესი. კი, ბატონო! კაცი დაფიქრდება,
აწონ-დაწონის მომავალ საქციელს, მიიღებს
გადაწყვეტილებას...

— იმპულსური ქცევა გაინტერესებს?

— ჰო, მაინტერესებს, იმპულსური დანაშა-
ულის ჩადენისას პასუხისმგებლობა იხსნება თუ
არა?

— არა.

— რატომ? ის ხომ...

— მოიცა, — შეაჩერა ბიძინამ და გოჩას
ანიშნა, აი, აქედან წაიკითხეო.

გოჩამ ჩაახველა და დაიწყო:

— „ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილე-
ბელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ დანა-
შაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტუ-
რაზე.

მოთხოვნილების საფუძველზე ცოცხალი ორ-
განიზმი იქცევა ინდივიდალ, ქცევის სუბიექტად,
ხოლო გარე სინამდვილე აისახება სუბიექტში
ეფექტად, რომელსაც იგი იწვევს, როგორც
მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია.
მაგრამ ეს ეფექტი წარმოგვიდგება თვით სუ-
ბიექტის სახეცვლაში, მისი სტრუქტურის გარ-
დაქმნაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევის სუბი-
ექტი გარე სინამდვილესთან ურთიერთობაში
იცვლება მოთხოვნილების სიტუაციის შეცვლის
კვალობაზე, ამიტომ მისი შემდგომი მოქმედება
გვევლინება ისეთი არსების მოქმედებად, რო-
მელიც მოდიფიცირებულია გარე სინამდვი-
ლის შესაბამისად. ამრიგად, სიტუაციისდა მი-
ხედვით ადამიანის მოქმედების ხასიათი გარკ-
ვეულ ჩარჩოებში განსაზღვრულია მოქმედების
დაწყებამდე. იგი წარმოდგენილია როგორც
წინასწარი მიღრეკილება, როგორც გარკვეული
მოქმედების ტენდენცია. იმ სპეციფიკურ მდგო-
მარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნი-
ლების დაკმაყოფილების ობიექტური ვითარების
ზეგავლენით ჩნდება, დიმიტრი უზნაძე განწყო-
ბას უწოდებს. განწყობა ერთსა და იმავე დროს
წარმოადგენს ქცევის უშუალო წყაროს და ვა-
ნაპირობებს მის მიზანშეწონილ ხასიათს. გან-
წყობაში, სრულიად ისევე, როგორც მიზანში,
ასახულია ქცევის სიტუაცია. ამიტომ მასში

ასახული ქცევა მიმდინარეობს სიტუაციის შე-
საბამისად. ე. ი. მიზანშეწონილად.

ცოცხალი არსების ქცევას გარემო განსაზღ-
ვრავს, მაგრამ ეს განსაზღვრა მექანიკური ხა-
სიათის როლია: გარემო თვითონ ქცევის აქ-
ტებზე კი არ მოქმედებს უშუალოდ, იგი პირ-
დაპირ კი არ იწვევს მას, არა, იგი სუბიექტზე
მოქმედებს, მას ცვლის მთელი სიტუაციის
შესაფერისად, მასში გარკვეული ქცევის გან-
წყობას იწვევს. თვითონ ქცევის აქტებს კი
უშუალოდ ამერიდან ამ გარკვეული განწყო-
ბის მქონე სუბიექტში განსაზღვრავს. იგი იმ
აქტებს და პროცესებს, ერთი სიტუაციით, იმ
ქცევის მიმართავს, რომლის განწყობა მას სი-
ტუაციის ზემოქმედების შედეგად აქვს შექმ-
ნებული (დ. უზნაძე).

სამართლებრივი სანქციის მიზანშეწონილების
დასაბუთება გაძნელებოდა, ადამიანსა და სხვა
ცოცხალ ორგანიზმებს შორის დიდი და არსე-
ბითი განსხვავება რომ არ არსებობდეს. ეს
განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს
აქვს ცნობიერება, რომელიც აძლევს მას სო-
ციალიზაციის უნარს და მოთხოვნების სუბი-
ექტს ნებისყოფის სუბიექტად აქცევს.

სიტუაციისათვის მიემართოთ მავალითს. ადა-
მიანს მოშივდა. ჭამის მოთხოვნებამ მას
აქტიუობის აუცილებლობა აღუძრა. ამ კონკ-
რეტულ ვითარებაში მოთხოვნების დაკმა-
ყოფილების ერთ-ერთი საშუალება ქურდობაა.
ვთქვათ, აქტუალურმა მოთხოვნებამ და სი-
ტუაციამ შეუქმნა კაცს ისეთი ქცევის განწყო-
ბა, რომელსაც იურისტები ქურდობად სახავენ.
მაგრამ ამგვარი განწყობა თავისთავად როდი
გადადის შესაბამის ქცევად. სამართლებრივი
კონტროლის წყალობით განწყობის რეალიზა-
ცია ფერხდება. ცნობიერებაში ფიქსირებული
აკრძალვითი იმპულსი „ქურდობა ადკვეთი-
ლია“ იწვევს განწყობის ვაცნობიერებას. ნაც-
ვლად იმისა, რომ განწყობამ სუბიექტის სა-
თანადო ქცევაში პოვოს გამოვლინება, მასში
გარკვეული ქცევის აქტები გამოიწვიოს, იგი
მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის
რეალიზაციას იქ პოულობს — ნაცვლად იმი-
სა, რომ სუბიექტმა რეალურ აქტებს მიმარ-
თოს, იგი ჭერჭერობით მხოლოდ იმით კმა-
ყოფილდება, რომ ამ აქტების განხორციელე-
ბის სურათს (ქურდობას) წარმოადგენს: გან-
წყობა თვითონ ქცევაში კი არა, ამ ქცევის
წარმოსახვაში, რეალური ქცევის ფსიქიკურ
ექვივალენტში პოულობს რეალიზაციას. სუბი-
ექტს წარმოსახვის შესაძლებლობა რომ არ
ქონოდა, იგი რომ მოკლებული ყოფილიყო
ცნობიერებას, მისი განწყობა მყის ქცევის სა-
ხით უნდა გამოვლინილიყო და ყოველი მისი

აქტუალური მოთხოვნების იმპულსს მაშინ-
ვე სათანადო ქცევა უნდა გამოეწვია.

ამრიგად, სუბიექტს შეუძლია არ განახორ-
ციელოს განწყობაში მოცემული ქცევა, რომე-
ლიც მოთხოვნების იმპულსმა განაპირობა.
მომავალი ქცევის შეცნობის გზით იგი აირჩევს
ქცევას იმის მიხედვით, თუ რა შედეგს გამოი-
ღებს ქცევის შეცნობა. მართალია, ყოველი,
კერძოდ, არამართლობიერი მოქმედების უშუ-
ალო ფსიქიკურ წყაროს ქცევის განწყობა წარ-
მოადგენს, მაგრამ ადამიანი განწყობის სრუ-
ლი მორჩილი არ არის, მას შეუძლია არ გან-
ხორციელოს განწყობაში მოცემული ქცევა და
ეს თავისთავად განწყობის შეცვლას გამოიწ-
ვევს, ადამიანი ყოველთვის როდი შეიცნობს
თავის ქცევას. ქცევის შეცნობა ხდება მაშინ,
როდესაც მას სუბიექტური ან ობიექტური ხა-
სიათის წინააღმდეგობა ეღობება წინ. როცა
ქცევა მოთხოვნების იმპულსის უშუალო
ზეგავლენით წარმოიშობა, მისი ცალკეული
ეტაპები თვითინებით, შეგნებული მოქსრი-
გების გარეშე მიმდინარეობს; განმსაზღვრელი
მნიშვნელობა აქვს ძირითადად სიტუაციას, რო-
მელშიც მოქმედება მიმდინარეობს.

ასეთ შემთხვევაში მოთხოვნების სუბიექ-
ტზე მოქმედებს აქტუალური სიტუაცია, რომე-
ლიც შესაბამის განწყობას იწვევს. სწორედ
ეს განწყობა, შეუცნობელი, მაგრამ მიზანშეწო-
ნილი, წარმართავს სუბიექტის ქცევას.

როდესაც სუბიექტი, აქტუალური მოთხო-
ვნების დაკმაყოფილების მიზნით, გარემოს
მიმართავს, მას გარკვეული სიტუაცია უჩნდე-
ბა, რომელიც მასში ასევე გარკვეულ განწყო-
ბას იწვევს. და ამ უკანასკნელის საშუალებით
მთელ მის შემდგომ ქცევას განსაზღვრავს, რად-
განაც ყველა ასეთი ქცევის შემთხვევაში აქ-
ტუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების
იმპულსი მოქმედებს ხოლმე, ჩვენ შეგვეძლო
მათთვის ყველასათვის იმპულსური გვეწოდები-
ნა. მაშინ გამოვიდოდა, რომ იმპულსური ქცე-
ვისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ ჭერ
ერთი, იგი აქტუალური მოთხოვნების წყა-
როდან მომდინარეობს, და მეორე — მას ის
განწყობა განსაზღვრავს, რომელსაც აქტუალურ
სიტუაცია ქმნის (დ. უზნაძე).

იმპულსური მოქმედება არ განეკუთვნება
რეფლექტურ მოქმედებათა რიცხვს, თუმცა
იმპულსური ქცევა ვაცნობიერებული არ არის,
მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი არ
იმყოფება ადამიანის კონტროლის ქვეშ. იმპულ-
სური ქცევის გაუცნობიერებლობა ძირითადად
მოქმედებს მისი შეგნებულობის ხარისხზე. აქე-
დან გამოდინარე ჩვენ შეგვიძლია განვასხვა-
ოთ, ერთი მხრივ, საეგზეთ შეგნებული; ცნო-

ბიერი მოქმედება, და მეორე მხრივ, იმპულსური მოქმედება, რომელიც ხასიათდება შედარებით მცირე ცნობიერებით... იმპულსური მოქმედება მოუფიქრებელი მოქმედებაა და ამიტომ მას მოფიქრებულ, გაცნობიერებულ მოქმედებას უბირისპირებენ. (გ. ტებლოვი).

ამგვარად, იმპულსურ მოქმედებას წარმართავს განწყობა და მიზანშეწონილ ქცევად გვევლინება. თუმცა იმპულსური ქცევა გაუაზრებელი, მოუფიქრებელი ქცევაა, მაგრამ სუბიექტს გააჩნია ამგვარი ქცევის გაცნობიერების უნარი.

წარმოვიდგინოთ, რომ პიროვნებამ, რომელიც ჩაფლულია თავის საქმიანობაში, იგრძნო თამბაქოს მოწვევის მოთხოვნილება. აიღო სიგარეტი, მოუკიდა და მოსწია. მან ეს მოქმედება ისე შეასრულა, რომ არ შეუწყვეტია ძირითად საქმიანობაზე ფიქრი. ამგვარი ქცევა იმპულსურია. სუბიექტს არ გაუცნობიერებია, არ უფიქრია მასზე. მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ვანა მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა ზემოთ აღნიშნული ქცევა? რასაკვირველია, შეეძლო. წარმოვიდგინოთ, რომ ექიმმა მას აუტრძალა თამბაქოს მოწვევა და იგი დაემორჩილა ექიმის მითითებას. ასეთ შემთხვევაში თამბაქოს მოწვევის მოთხოვნილებამ და სიტუაციამ (მაგიდაზე დადებული სიგარეტი) შეიძლება შექმნას თამბაქოს მოწვევის განწყობა, მაგრამ თამბაქოს მოწვევის აკრძალვა, რომელიც შეგნებაში აისახება როგორც აკრძალვითი იმპულსი, შეაფერხებს ამგვარი განწყობის გადასვლას შესაბამის ქცევაზე. სუბიექტი უკვე შეიცნობს თავის ქცევას. მის წინაშე წამოიჭრება კითხვა, მოსწიოს, თუ არა? სუბიექტს შეუძლია თავი შეიკავოს თამბაქოს მოწვევისაგან.

მეორე მაგილითი. ახალგაზრდას კინოთეატრში აგვიანდება. ავიდა ავტობუსში, ჩააგდო სალაროში შაურიანი და მოხია ბილეთი. ქცევა იმპულსურია. მაგრამ, ვთქვათ, ახალგაზრდას საფულე სახლში დარჩა. ჩვეული განწყობა (ავტობუსში ბილეთის აღება) ქცევას შეუფერხებლად ვეღარ გამოიწვევს. ქცევის მიმდინარეობა წააწყდება წინააღმდეგობას. სამართლებრივი აკრძალვის სახით — „უბილეთო მგზავრობა აკრძალულია“. ახალგაზრდა გაცნობიერებს თავის მდგომარეობას, ვაითვალისწინებს ქცევის ყველა შესაძლებელ ვარიანტს: შინ დაბრუნდეს, იმგზავროს უბილეთოდ, სხვას სთხოვოს ფული. თითოეული ეს ქცევა შინაგან დაძაბვას მოითხოვს და ნებისმიერ ქცევად უნდა განიხილებოდეს.

ნებელობითი მოქმედების დროს სუბიექტი და მისი ქცევა, მისი მოქმედება ერთმანეთს უბირისპირდებიან. სუბიექტი მოქმედებაში კი არ

არის მოცემული, არამედ მოქმედების გარეშე; შენს თავს ცალკე განიცდი, და შენს მოქმედებას კიდევ... სრულიად ცალკე. შენ ხომ ჯერ არ მოქმედებ! შენ ხომ ჯერ ნაოლოდ საკითხს აყენებ, თუ როგორ მოიქცე! ყველა ამ შემთხვევაში შენი მე-ც და შენი შესაძლო ქცევაც თითქოს გარედან მოცემული რაღაც არის, რის შესახებაც მსჯელობ და ფიქრობ. თითქოს შენ წინაშე რაღაც ობიექტური არსებობს. ნებელობითი ქცევის დროს მე განიცდებ, როგორც აქტივობის ერთ-ერთი წყარო, ნებელობა მე-ს აქტივობად განიცდებ, ან ნებელობაში აქტიურად, მოქმედად მე განიცდებ (დ. უზნაძე).

შევადართ ნებელობით მოქმედებას იმპულსური მოქმედება. ახალგაზრდა, რომელსაც აგვიანდება კინოთეატრში, ავიდა ავტობუსში, ჩააგდო სალაროში შაურიანი და მოხია ბილეთი.

ყველაფერი ეს ისე მიმდინარეობს, რომ სუბიექტი („მე“), ობიექტი (ფული, ბილეთი) და ქცევა (სალაროში ფულის ჩაგდება, ბილეთის მოხვევა) ცალ-ცალკე არ განიცდება. ამ შემთხვევაში არ ხდება არც „მე“-ს და არც ქცევის ობიექტივაცია. გარდა ამისა, ქცევა მიმდინარეობს აწმყოში. იგი აქტუალურია, ამასთან ერთად ისეთი შეგრძნებაა თითქოს ქცევა თავისთავად, რაიმე ჩარევის გარეშე მიმდინარეობს. ქცევის წყაროდ უფრო მოთხოვნილება განიცდება, ვიდრე „მე“-ს აქტივობა.

ნებელობითი ქცევა სამ პერიოდს შეიცავს. პირველია გადაწყვეტილების მომზადება, როდესაც ხდება იმის დადგენა, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული და რატომ; მეორეა გადაწყვეტილების მიღების აქტი და მესამე — გადაწყვეტილების შესრულების აქტი. ნებელობითი მოქმედებისათვის ყველაზე დამახასიათებელია გადაწყვეტილების მიღების აქტი. იქ, სადაც არ არის გადაწყვეტილების აქტი, არ არის არც ნებელობითი მოქმედება.

ნებისმიერ ქცევას მოწესრიგებული მიზანშეწონილება ახასიათებს. მაგრამ ეს მოწესრიგებულობა სრულიად არ გულისხმობს ყოველ ნაბიჯზე სუბიექტის საქმეში აქტიურ ჩარევას, საშუალებების ცნობიერად ძებნას და გამოთხვევას. საქმარისია, გადაწყვეტილების აქტი მოხდეს, რომ ამის შემდეგ საქმე თითქოს თავისით წავიდეს წინ. ერთი სიტყვით, ნებისმიერი ქცევის, ე. ი. გადაწყვეტილის, განზრახული ქცევის მიმდინარეობა ისეთივეა, როგორც იმპულსური ქცევის მიმდინარეობა: ვიდრე ქცევის სისრულეში მოყვანის გადაწყვეტილება ძალაში რჩება, იგი ისევე მიმდინარეობს, როგორც იმპულსური ქცევის შემთხვევაში (დ. უზნაძე).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ქრიბინალოს ცვივის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

მავიის ისტორია

დიდი გულარი

კონსტრუქციული პალეონოლოგია

როგორც ცნობილია, ერთი ფულის შოვნა და მეორე — მისი შენარჩუნება. ნარკოტიკებმა მადიას უცებ ნაღდი ფულის მთელი გროვა მოუტანა, მაგრამ საჭირო იყო მისი საიმედოდ შენახვა, უფრო უკეთესი კი მისგან ახალი შემოსავლის მიღება იქნებოდა. რადგან კაპიტალდაბანდება სოფლად ნაკლებ შემოსავალს იძლეოდა, მაფიამ ზურგი შეაქცია მას და კაცობრივად მადითა და ამის შესაბამისი საშუალებებით მიაწყდა ქალაქს. პალერმო სწრაფად ვითარდებოდა. ათი წლის მანძილზე მისი მოსახლეობა გაორმაგდა. ადრე თუ აქ მხოლოდ სასახლეები და ტაძრები შენდებოდა, ახლა შემოსავლიან სახლებსა და დაწესებულებათა შენობებზე ოცნებობენ. ომისაგან ნაწილობრივ დანგრეული ქალაქის ცენტრის აღდგენისათვის ზრუნვის ნაცვლად, ქალაქს ბეტონის კედელი შემოავლეს. მართალია, ეს მას ლაზარს არ ანიჭებს, მაგრამ იძლევა მოგებას. ცხადია, ამ მეჯლისის დედოფალი მაფიაა. ადვილი მისახვედრია თუ როგორ ვითარდება საქმე. მაფიასთან ბრძოლის თაობაზე მოხსენებაში, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა, პირდაპირ არის წათქეპი:

„ადმინისტრაციული ხელისუფლების გადაწყვეტი დახმარებით ქალაქმშენებლობის სექტორში მშენებლობის წარმოების უფლების გაცემის შედეგად მიღებული უძრავი ქონება გახდა უკანონო ხელისუფლების განმტკიცებისა და მისი უკანონო საქმიანობის ხელსაყრელი სფერო. უკანონო ხელისუფლებას კი ახორციელებენ აშკარად ნებაზე მიშვებული პარაზიტული შუამავალთა ჯგუფები“.

ამავე მოხსენებაში მოყვანილია ვასილიანის ფაქტები. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ ოთხმა ადამიანმა ხელში ჩაიგდო მშენებლობის

ნებართვათა 80 პროცენტი. ეს ადამიანები არც მეწარმენი იყვნენ და არც მიწათმფლობელები. ერთ-ერთი მათგანი უბრალო შავი მუშაა, მეორე — მკვლეელი, მესამე — მოხეტიალე ვაჭარი, ხოლო მეოთხე ხარაზია. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: სამ წელზე ნაკლებ დროში ქალაქმშენებლობის გეგმა 650-ჯერ შეიცვალა. ალბათ ზედმეტია უკვე ლაპარაკი იმაზე, რომ ქალაქის გამწვანების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სასპორტო მოედნების მშენებლობის პროექტები კვლავ უჯრებში დარჩებოდა.

მაფიის კონტროლი ვრცელდება აგრეთვე პალერმოს ბაზრებზე. ზორციტ ვაჭრობას, რომლის ყოველწლიური ბრუნვა ათეულობით მილიარდი ლირაა, ხელმძღვანელობს მაფიის სამი მეთაური, ასევე თევზით ვაჭრობაც, რომელიც აყვავებას განიცდის, რამდენიმე კაცის ხელშია. ხილისა და ბოსტნეულის ბაზარი განაწილებული აქვს 54 უცვლელ კომისიონერს. მაფიის კონტროლი იმდენად ძლიერია, რომ კოლოგრამი პამიდორი პალერმოში ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე რომში ან მილანში; ასეთი ვითარება მით უფრო შემზარავია, რადგან ცნობილია, რომ კონკა დ'ორო მდიდარია ხილითა და ბოსტნეულით, პალერმოს მოსახლეობა კი ყველაზე ღარიბია იტალიის მთელ ტერიტორიაზე.

ხანდახან კი რომის დასახლად საჭირო ხდება რაღაც ექსტის გაკეთება, მაგალითად, სკოლის აშენება, თუნდაც ამ მიზნით ასიგნებული კრედიტების გამოყენების თაობაზე ანგარიშის ჩასაბარებლად. მაფია დარწმუნებულია, რომ ქონების მოხვეჭისათვის აუცილებელი არ არის კითხვის ცოდნა, ამიტომაც ტუნჯობს ამ საქმეში. პალერმოს ტექნიკური ინსტიტუტისა და პედაგოგიური სასწავლებლის შენობები ხომ პირდაპირ სალაპარაკო გახდა. ამ ორი სასწავლებლის ნაგებობები ისე მოძველდნენ და აქ მოსწავლე-

ები ისეთ სიფიწროვეში იყვნენ, რომ რაღაც აუცილებლად უნდა ეღონათ. მაგრამ, სახელდობრ, რა? ამისათვის მიწის იმ ფართობის გამოყენება, რომელიც სხვა უფრო სარფიანი საქმისათვის გამოადგებოდათ, ფიქრადაც არ გაუვლიათ და გადაწყვიტეს — ახალი ლაბორატორიები მიწის ქვეშ აეშენებინათ. ააშენეს კედეც, მაგრამ მოსწავლეები მოკლებულნი იყვნენ ჰაერსა და სინათლეს. მიუხედავად ამისა, მათ თავი მიიხრბენდნენ უნდა ეგრძნობთ, რადგან პალერმოს მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლობდა იჯარით აღებულ ისეთ შენობებში, რომლებიც სასწავლო პროცესების ჩატარებისათვის მოითხოვდნენ მინიმალური ხარჯების გაღებას. მაგალითად, პალერმოში, ისევე როგორც აგრეჯენტეში, კლასების თითქმის ნახევარი იჯარით აღებულ შენობებში იყო განლაგებული. იტალიის ისტორია შეიძლება ესწავლათ რომელიმე ყოფილ სააბაზანო ოთახში, სადაც დღის სინათლე ჩანებულეებულ ეზოში გამავალი პაწია სარკმლით ოდნავ აღწევდა.

სოფლებში მაფია მეტი უტიფრობით მოქმედებდა. ღებულობდა ფულს იმ სკოლებისათვის, რომლებიც მხოლოდ ქალაღზე არსებობდნენ. ამისთან, უსირცხვილოდ ბერავდა შტატებს. ჯორჯ ომისი ცნობით, პროვინცია ტრაპანის პროფესიულ სასწავლებლებში უტიფრად ირწმუნებოდნენ, რომ თითქოსდა 2629 მოსწავლეზე მასწავლებელთა რიცხვი 1081 კაცს შეადგენდა...

მოგებისადმი ასეთმა გამოდევნებამ, ცხადია, მრავალი შეხლა-შემოხლა გამოიწვია თვით მაფიის შიგნით. დონ კალოს კვლავ პატივს სცემენ, მაგრამ ძველებურად აღარ ემორჩილებიან. ისევე როგორც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისი ცნობილი წინამორბედი დონ ვიტო, დონ კალოც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ახალი, გაუმძაღარი თაობის მოსვლას, რომელსაც დაუყოვნებლივ სურს ხალხში გამოსვლა. თანაც, ახალი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი უკვე გაიწვრთნა ამერიკულ სკოლაში. დონ კალო თავის მარჯვენა ხელს დონ რუსოს ამოდ ავალებს „ახალგაზრდა მგლების“ შეჩერებას, რადგან ხშირად ვეღარც იგი ერევა მათ. ყოველ კვირაში მაფიის რომელიმე წევრის გვამი ცხადად მეტყველებდა ამ შინაურ შეუთანხმებლობებს. როცა 1954 წლის 11 ივლისს დონ კალო გარდაიცვალა, მის მემკვიდრეობაზე ბრძოლა არ გაჩაღებულა — ყველა აღიარებდა, რომ ამ პატივს დონ რუსო იმსახურებდა. მაგრამ შიგნითვე მზადდებოდა ამბოხება. მრავალი კაპო, როგორც მაგალითად, კორლეონელი ნავარე-მხეტურად მოკლეს ყოფილმა თანაშემწეებმა მათი ადგილების დაკავების მიზნით.

ახალი მაფია

ახალ მაფიას, რომელსაც უშუალოდ არ უნახავს ფაშიზმი, ომები და მორის ციხეები, გრძელი კბილები აქვს, იგი არავითარ სიფრთხილს არ იჩენს და ექიშება უფროს თაობას.

ახალ მაფიას სათავეში ჩაუდგნენ ძმები გრეკო და ლა ბარბერები. როგორც ყველა სხვამ, მათაც მოიხვეჭეს უძრავი ქონება. მაგრამ მათი საქმიანობა ამით არ შემოსაზღვრულა. ეშმაკები არიან და საკუთარი იდეებიც გააჩნიათ. დაიწყეს ავტოსარემონტო სახელოსნოების შესყიდვა და ახლების აშენებაც კი. შემდეგ, იმის გამო, რომ ეს სახელოსნოები უსაქმოდ იყვნენ, შებინდებისთანავე პალერმოს ქუჩებში უშვებენ ახალგაზრდა „პიჩოტების“ მთელ ზროვას, რომელთაც ნაბრძანები აქვთ, რაც შეიძლება ბევრი საბურავის გახვერტა. შედეგმაც არ დააყოვნა: რამდენიმე დღის შემდეგ მათი სახელოსნოები საქმეს ვეღარ აუღიან. ავტომანქანის რამდენიმე მფლობელს თავში მოუვიდა წინააღმდეგობის გაწვევის ბედუქუდმართი აზრი, რომელმაც სიყვითე როდი მოუტანა მათ — მასობრივმა ანგარიშსწორებამ ბოლო მოუღო კირვეულებს. გრეკო და ლა ბარბერების გეგმების წყალობით მალე პალერმო პატარა ჩიკაგოს დემსგავსა, სადაც ბატონობს მხოლოდ ძლიერთა კანონი.

ომი პალერმოში

ლიუჩანოს გარდაცვალებისთანავე პალერმოში ახალი მაფიის „ახალთურქებს“ შორის ატყდა სისხლისმღვრელი და დაუნდობელი ომი. თავიანთი თანამზრახველებით ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ძმები ლა ბარბერები, ხოლო მეორე მხარეს — ძმები გრეკოები. ამ ორ ოჯახს უკვე აღარ სურს ძლიერებისა და სიმდიდრის ერთმანეთში გაყოფა. თითოეულს ყველაფერი ეს მხოლოდ თავისთვის უნდოდა. საომარი მოქმედებანი დაიწყო ლა ბარბერის მხარემ, როცა მოკლეს მოწინააღმდეგე კლანის მაფიის ცნობილი წევრი კალჩედონიო დი პიზა. ძმები გრეკოები მაშინვე ჩაუსაფრდნენ მოწინააღმდეგეს და ერთ-ერთი ლა ბარბერის ავტომობილი გააბეს მახეში. მან კი ძლიერს უშველა თავს. ამ მომენტიდან მოყოლებული პალერმოში ყოველ დამე ორივე ბანაკის „პიჩოტები“ წარმატებით უსწორდებოდნენ ერთმანეთს. ანგელო ლა ბარბერს გამუდმებით სდევნიდნენ და ისიც იძულებული გახდა მილანში გაქცეულიყო. ძმებმა გრეკოებმა მას მკვლელობით ჩინეს, რომელმაც ზუთი ტყვია ესროლა. მაგრამ ანგელო მიიხრ ცოცხალი გადარჩა.

ამ დროს პოლიცია სრულიად უმოქმედოდ არის. ბოლოსდაბოლოს ეს „სასახლის რევოლუციები“ ხომ მსუბუქებდა მის ამოცანებს. ყო-

ველი ახალი გვაში ნიშნავს სასამართლო დო-
სიების ერთი შემცირებას. მოკლედ რომ
ვთქვათ, პოლიციას ამით ეზოგება დრო და ფუ-
ლი. მაგრამ მალე ერთმა სერიოზულმა ინცე-
დენტმა იძულებული გახადა პოლიცია უარი ეთ-
ქვა ასეთ გულგრილობაზე. 1963 წლის 30 ივ-
ნისს კარაბინერებს აცნობეს, რომ ძმებ გრე-
კოთაგან ერთ-ერთის ბინის წინ მიტოვებულია
რადიო საეჭვო ავტომანქანა. კარაბინერები
მივლენ ადგილზე და ახლიან კაბოტს. მანქანა
ფეთქდება და იღუპება რვა ადამიანი, მაგრამ
ამჯერად ახალგაზრდა „პიჩოტები“ კი არ დაღუ-
პულან შურისძიების გამო, არამედ ეს იყო ნა-
ხევარქუნიძელის რვა იტალიელის გვაში. ამ ამ-
ბავმა საზოგადოება მეტად აღაშფოთა და მოი-
თხოვა მკაცრი ღონისძიებების გატარება. მთავ-
რობას უკვე აღარ შეუძლია პასუხისმგებლობის
თავიდან აცილება და მალე ამ სისხლიანი დრა-
მის გამოძიებასთან დაკავშირებით შეიქმნა მა-
ფიასთან ბრძოლის პირველი კომისია.

ჯენოვეზე ხელში იღებს ქალაუფლებას

შეერთებულ შტატებშიც ასევე შეიმჩნევა
ახალი თაობის შემოტევა. ხელისუფლების შე-
ნარჩუნებისათვის ჯენოვეზე იძულებულია იმოქ-
მელოს მკაცრად და სწრაფად. ამასთან, იერი-
ში მიიტანა არა თვით კოსტელოზე, არამედ
მის „ოჯახზე“, რომელიც უფრო შფოთიანი და
საშიში იყო, ვიდრე მისი მეტაური. 1951 წლის
4 ოქტომბერს კოსტელოს პირველი მოადგილე
უილიამ მორეტი მოკლეს ორი გასროლით. მო-
რეტი კოსტელოს ბავშვობის მეგობარი იყო.
ორივე აღმოსავლეთ გარღმეს ერთ კვარტალში
დაიბადა. მაგრამ კოსტელოს წარბიცი არ შეუხ-
რია. იქნებ იმიტომაც, რომ თავის ჯერს ელო-
და, თუმცა არაფერიც არ მომხდარა. შესაძლე-
ბელია ლიუჩანომ ვასც ბრძანება, რათა მის-
თვის ხელი არ ეხლოთ. ყოველ შემთხვევაში, ამ
ამბის შემდეგ ჯენოვეზე მშვიდად გრძნობდა
თავს. ცნობილი არ არის თუ ექვსი წლის შემ-
დეგ რამ აიძულა იგი განეახლებინა შეტევა. მი-
სის ერთ საღამოს, როცა კოსტელო შინ ბრუნ-
დებოდა, მის წინ, თიქოს მიწიდან ამოძვრაო,
კაცი აღიმართა და ესროლა. კოსტელო მხოლოდ
მსუბუქად დაიჭრა თავში. იქნებ ეს უბრალოდ
გაფრთხილება იყო? ამ მომენტის შემდეგ ჯე-
ნოვეზემ მას თავი მიანება. მართალია, კოსტელო
მამინ უკვე თითქმის თადარიგში იყო და უკვე
აღარ აბრაზებდა თავის მოწინააღმდეგეს. ზუს-
ტად ასევე, ჯენოვეზეს უკვებ დაუპირისპირდა
გაცილებით საშიში მტერი თვით კოსტელოს
უახლოესი მეგობრის — ალბერტ ანასტაზიას
სახით, რომელსაც მეტსახელად „შლეგანი“
ერქვა.

ანასტაზიას არ მოსწონდა ჯენოვეზეს მო-
თხოვნები და აღარ ცნობდა მას, როგორც მე-
თაურს. ანასტაზია მართო არ არის — მას ამ
საქმეში მხურვალე მომხრენი გააჩნია. ახლა კი
ჯენოვეზეს შეშინების ჯერიც დადგა. იგი უკვე
შინიდან კბილებამდე შეიარაღებული ორმოცდა-
ათი კაცი თანხლებით გამოდის. ერთხელ შეი-
ტყო, რომ მიუხედავად მისი ბრძანებისა კოს-
ტელო საიდუმლოდ ხედებოდა ხოლმე ანასტა-
ზიას. ეს უკვე მეტისმეტი იყო! გადაწყვიტა რაც
შეიძლება სწრაფად ჩამოიცილოს ანასტაზია. მა-
ლე იგი მოკლეს კიდევ თავის პარკიანხერთან,
როცა გააპრავს აპირებდა და სახე ცხელი ხელ-
სხოცი თქონდა დაფარული.

ანასტაზიას მკვლელობამ და კოსტელოს სცე-
ნიდან ჩამოსვლამ სერიოზული მულღვარება გა-
მოიწვია „კოზა ნოსტრას“ ოჯახში. მაგრამ ქა-
რიშხლის მძვინვარების კვალობაზე ჯენოვეზეს
მაგრად უპყრია საჭე. იმისათვის, რომ თავისი
პატარა სამყარო ხელში სჭეროდა აპალაჩინში,
ერთი ძველი კასტელამარიელი მეგობრის ჯო-
ზეფ ბარბარის ქალაქგარეთ მღებარე ბინაში
მოიხმო მთავარი კაბოები. დათქმულ დღეს —
14 ნოემბერს ეს ბატონები ჩასხდნენ თავიანთ
მანქანებში და გაემართნენ შეხვედრის ადგი-
ლისაკენ. შეხვედრას წყნარად არ უნდა ჩაეე-
ლო, რადგან ზოგიერთი კაბო მეტად უქმაყო-
ფილო იყო კოსტელოზე თავდასხმის გამო. რაც
შეეხება ანასტაზიას სიკვდილს, ამ მოვლენის
მიმართ ყველა გულგრილობას იჩენდა. სისხ-
ლის მოყვარულობამ ვერ მოუტანა მას სიმა-
თია. მიუხედავად იმისა, რომ ჯენოვეზეს აუცი-
ლებლად წაუყენებდნენ ბრალდებებს, იგი დარ-
წმუნებულია საკუთარ თავში. თუმცა თავის
მართლებას როდი ეცდება, თავისი ზარის გა-
მოთქმა და მოლაპარაკება სურს მხოლოდ.

„კოზა ნოსტრა“ დაახლოებით 30 ოჯახისაგან
შედგება, რომლებიც ვაფანტულია შეერთებული
შტატების მთელს ტერიტორიაზე. აპალაჩინში
შეხვედრაზე ყველა ოჯახია წარმოდგენილი. მრავ-
ალი კაბო მართო როდი გამოცხადდა — თან
ახლდათ მთავარი თანაშემწენი. ამრიგად, თავი
მოიყარა მრავლმა ხალხმა და ამიტომაც, სერ-
უანტმა ედგარ დ. კროსტელმა, რომელიც იმ
დღეს მორიგე იყო, სოფლის ამ პატარა გზის-
თვის ლიმიზინების დაუსრულებელ უჩვეულო
მწყრივს ყურადღება მიაქცია, მითუმეტეს, რომ
ყველა მანქანა ერთი მიმართულებით მიდიოდა.
თავდაპირველად ცნობისმოყვარეობა აღედრა,
შემდეგ კი დაეკვდა. ბოლოსდაბოლოს გადალო-
ბა გზა და დაიწყო მგზავრთა პირადობის მოწმო-
ბების გასინჯვა. პანიკით თავზარდაცემულმა ამ
ბატონებმა კურდღლებივით მოკურცხლეს. ზო-
გიერთმა მოასწრო გაქცევა, მაგრამ რამდენად-
მე ხანდაზმულები (ასეთები კი ბლომად იყე-

ნენ) სწრაფად დააკავეს. ამრიგად, დააპატიმრეს მადის 60 წევრი. ჩხრევისას მათ აღმოჩნდათ 300 ათასი დოლარი, ეს, ცხადია, ბევრი იყო ქალაქგარეთ უიკენდის მოწყობისათვის. საბოლოოდ კი მათ ვერავითარი ბრალდება ვერ წაუყენეს და ყველა გაათავისუფლეს.

მიუხედავად ბედნიერი დასასრულისა, ეს ამბავი სენსაციური გახდა, რადგან იგი მთელი „კოზა ნოსტრას“ სილის გაწვანა, ხოლო ჭენოვეზესათვის სერიოზული გაფრთხილება იყო. მაგრამ მან ეს გაკეთილი ჭეროვნად ვერ შეაფასა. ერთი წლის შემდეგ იგი დააპატიმრეს ნარკოტიკებით კონტრაბანდული ვაჭრობისათვის და 15 წლით ციხე მიუსაჯეს.

„ბელადთა-ბელადის“ დაპატიმრება „კოზა ნოსტრას“ ისტორიაში რამდენიმე შავი წელიწადის დასაწყისი აღმოჩნდა. მალე მისმა ერთერთმა წევრმა პირველად დაარღვია წრიულა თავდებობის კანონი. ვალაქის მხილებით განცვიფრებული, უმეტესად კი სკეპტიკურად განწყობილი საზოგადოების წინაშე გადაიშალა მანამდე გაუგონარი და არარსებული ძლევამოსილი ფარული ორგანიზაციის საიდუმლოებანი და მეთოდები.

ვალაქის მხილება

1962 წლის ივნისის ერთ დღიას ატლანტის ფედერალური ციხის ეზოში პატიმარმა ჯოზეფ ვალაქიმ რკინის მილით მოკლა მეორე პატიმარი ჯონ სობი. ვალაქი ციხეში იჯდა პერიოდულ ვაჭრობისათვის. სამ წვრილმან, მჭირი სასამართლო საქმის პატრონს, ყველასათვის უცნობ განგსტერს აქამდე რაიმე სერიოზული არაფერი ჩაუდენია. სობის მკვლელობის შემდეგ მან უარი თქვა თავისი საქციელის განმარტებაზე. შემდეგ, როცა უთხრეს თუ ვინ იყო მისი მსხვერპლი, აღიარა, რომ სობის მიმართ არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო და, რომ მას სურდა პალერმოელის ვინმე ჯოზეფის მოკლა. თურმე იგი შეუტდენია მათ შორის გარეგულ მსგავსებას, რაც ასე ძვირად დაუჯდა სობის. ამის მეტი ვალაქის აღარაფერი უთქვამს.

რამდენიმე დღეს კვლავ დუმდა, შემდეგ კი უცებ ალაპარაკდა. და ის, რაც მან თქვა, იმდენად უჩვეულო იყო, რომ შეერთებული შტატების მთელი პოლიცია გამოცოცხლდა. მისი ჩვენებით დაინტერესდა თვით იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი.

„კოზა ნოსტრას“ „ჯარისკაცმა“ ვალაქიმ, წევრმა ამ სახელგანთქმული დანაშაულებრივი ორგანიზაციისა, რომელიც უკვე საუკუნეა არსებობს და მასზე მეტად ცოტა რამ იციან, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს ორგანიზაცია.

მართალია, ვალაქიმ აღწერა მხოლოდ თავისი ცხოვრება აღმოსავლეთ გარემოში 1904 წელს დაბადებიდან სობის მკვლელობამდე, მაგრამ მისი ნათქვამი იმდენ სიხალსე შეიცავდა და იმდენ რამეს ხდოდა ფარდას, რომ პოლიცია ვალაქი პირველად უჭირდა კიდევ ყოველ რამეს დაჭერება. „კოზა ნოსტრა“ ტყუილად იმდენი შეპირდა 100 ათას დოლარს იმას, ვალაქი კიდევლს გააჩუქებდა.

ვალაქიმ მასის წყალობით, ვინც მოახერხა მისი პირველი ინტერვიუს აღება, თითქმის სრული უცნობი ვალაქის აღსარება. მას, მართალია, არასოდეს ეკავა მალალი საფეხური „კოსტრას“ იერარქიაში, მაგრამ 30 წლის შემდეგ ხანს მჭიდროდ იყო დაკავშირებული მადის ისტორიასთან. ვალაქისაგან უფრო მეტი იმ რამ გახდა ცნობილი - კასტელამანტის საშინელი ომის ნამდვილი მიზეზების თაობაზე. იგი ხვდებოდა ხოლმე მასერიას, მარსელში, ლიუჩანოს და ითვლებოდა ჭენოვეზეს ოჯახის წევრად. თითოეულ ამ უდიდეს კაბოზე იგი იძლეოდა მნიშვნელოვან ცნობას, რომლებიც უმეტესად ადასტურებენ იმ მოსაზრებებს, რასაც უკვე ფლობდა პოლიცია. მიუხედავად იმის იყო, რომ იგი ლაპარაკობდა „კოსტრას“ სტრუქტურის, მისი შინაგანი ორგანიზაციისა და მთელს მსოფლიოში განშტოების, მისი ლექსიკონისა და მეთოდების, ოჯახის ფუნქციონირების წესის თაობაზე.

ვალაქიმ წრიული თავდებობის კანონი დაარღვია, რათა ამით ანგარიში გაესწორებინა თავისი კაბო ჭენოვეზესათვის, რომელმაც საკანონიერებისას ერთ ღამეს სადისტურად გააფრთხილა იგი:

„... იმიტომ, რომ, როცა ვაშლით სავსე ყუთს დაეჯახიან, ზოგჯერ იქ დაბაღ ვაშლსაც შენიშნავენ ხოლმე... საჭიროა მისი გადადგება, თორემ სხვა დანარჩენსაც გააფუჭებს.“

ვალაქი შემდეგ ვალაქიმ იცოდა, რომ განწირულ კაბო მართალია, მალალი კედლებით შემოღობული ციხეში იყო და ჩაფრებიც იცავდნენ, მაგრამ იგი გამუდმებით გრძნობდა საფრთხეს. თითოეული პატიმარი აუკვებდა: იქნებ სწორედ ეს კაცია, რომელიც ჭენოვეზე მომიჯნავე და მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდება, რათა შეასრულოს თავისი „კონტრაქტი“.

სადაც იგი აშინებდა: ვაი თუ ისე მომწამლობ, როგორც ლა ტემპი და მრავალი სხვაო.

თითოეულიც კი ვალაქის მხილებანი ცნობილი გახდა ფართო მასებისათვის, ამან დიდი აურზაური გამოიწვია ამერიკაში. ბევრს არც კი სურდა, რომ ზოგიერთმა გაზეთმა პოლიცია დაადაშაჟა, აქაოდა, საზოგადოებრიობის „დამუშავება“ სურსო. „კოზა ნოსტრა“, მსჯელობდნენ ისინი, ეს მხოლოდ საშინელი ზღა-

პარია უფროსებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რობერტ კენედი თანამემამულეთა სიმპათიით სარგებლობდა, მას საქმაოდ გაუჭირდა, რათა მისი სიტყვები სერიოზულად მიეჩინათ, როცა საჯაროდ განაცხადა: ორგანიზებული დანაშაული „დღეს ეხება ჩვენი უმრავლესობის ცხოვრებას“.

ბრძოლა მავნასთან

ცხადია, პირველად როდი მიმართეს პროექტორები მაფიისაკენ და განიზრახეს მისი ლიკვიდაცია. ჯერ კიდევ მშრალი კანონის პერიოდში წარმართა მკაცრი ბრძოლა, ხოლო ცნობილ „მოუსყიდველთა“ წარმატებები აისახა ამერიკის პოლიციის საპატიო დაფაზე. მოგვიანებით, 1952 წელს სენატის კომისიას, რომელსაც მეთაურობდა სენატორი კეფოვერი, დაევალა „დანაშაულობათა სინდიკატის“ თაობაზე მოხსენების მომზადება. ამ გამოძიების შედეგებმა, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა, დანაშაულობათა სწრაფად და იოლად აღკვეთის შესაძლებლობის მიმართ პესიმიზმი იტამოიწვია.

თვით ცხელაშიც წარმოიშვა მღელვარება იმ უწყისიგობისა და დანაშაულობათა გამო, რაც ომის დამთავრებიდან 15 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი გრძელდებოდა სიცილიაში. ავტომობილ-ხაფანგის სისხლიანი ინციდენტის შემდეგ, რომელმაც რვა კარაბინერის სიცოცხლე შეიწირა, საზოგადოებრიობა ენერგიულად მოითხოვს გადამწყვეტი ღონისძიებების გატარებას. ბოლოსდაბოლოს მთავრობამ პარლამენტს წინადადება მისცა შეექმნა სპეციალური კომისია გამოძიებისათვის.

ასეთი კომისია 1962 წლის დამლევს შეიქმნა. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ყოფილი მსხვილი სასამართლო ჩინოვნიკი, სენატორი პაფუნდი. მას დაევალა „მაფიის მოვლენის“ შესწავლა და მისი სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება. პაფუნდის კომისია, რომელიც მალე „ანტიმაფის“ სახელწოდებით მონათლეს, შედგებოდა პარლამენტის 30 წევრის — ყველა პარტიის დეპუტატებისა და სენატორებისაგან. საზოგადოებრიობა თხოულობდა სწრაფ და დამაჯერებელ შედეგებს. მისი მხარდაჭერით კომისია მყისვე ენერგიულად და შეუპოვრად შეუდგა საქმეს. თავდაპირველად კომისიამ გამოთხოვა სიცილიის პოლიციისა და მართლმსაჯულების ორგანოების არქივები, გულდასმით შეისწავლა ყველა საქმე და მოითხოვა მათ შორის ყველაზე საეჭვოთა ხელახლა განხილვა. ამრიგად, ღონ კალო ვიციის მეგვედრედ ღონ ჯენკო რუსო მოულოდნელად დადანაშაულებს გადასახადებისადმი თავის არიდებისათვის და იგი იძულებული გახადეს მრავალრიცხოვანი

ჯარიმები გადაეხადა, ბოლოს კი ლოვერში (ჩრდილოეთ იტალია) გაამწყესეს სასამართლოს მოლოდინში, რომელიც 1965 წელს გაიმართა.

მალე პაფუნდომ საჭიროდ ჩათვალა საჯარო განცხადება გაეკეთებინა მიღწეული შედეგების თაობაზე. მაფიის მისეული ანალიზი შორსმკვლევარული და პესიმისტურია:

„მაფიამ, — თქვა მან, — შეაღწია სისხლში. საზოგადოების ყველაზე ფარულ სტრუქტურაში. იგი უმთავრესად მუდამდებდა კანონების ატავისტურ გამაწყვეთში; სიცილიელს კანონების დარღვევა ქვეშაირთ სიამოვნებას ანიჭებს. ასეთი გონება-განწყობილება ნიშანდობლივია ყველასათვის — როგორც მდიდრებისათვის, ასევე გლეხების, მოსამართლეების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიციისათვის; ერთი სიტყვით, ეს მუდამდებდა ყველგან და ყველაფერში“.

უღაო ფაქტია, რომ „ანტიმაფის“ გულმოდგინებით სტიმულირებულმა პოლიციამ თავის მხრივ გაააქტიურა მოქმედება. მისი მიზანია ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა. ახლა იგი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მკიდროდ თანამშრომლობს ამერიკის პოლიციასთან და შედეგებსაც აღწევს. დაპატიმრეს მრავალი კაპო, ამასთან ზოგიერთი რამდენადმე წარჩინებულიც, მაგალითად, მაგადინო ან კოპოლა. თავის თავში სულ უფრო დარწმუნებულმა კომისიამ ყველაზე ცნობილი ამერიკელი ბოსების აყვანის ორდერების გაცემაც კი გაბედა. მაგალითად, ისეთების როგორცაა ჯო ბონანო ან ბონვენტურე. მალე თვით ლაკი მოუქანოს შეწყუბუნდა დაიწყეს — იგი შეტყავეს წამოაგდეს ლოგინიდან და დაკითხეს; მას უკვე აშკარად მეთვალყურეობენ, როცა შინიდან გამოდის. არ დაინდეს არც მისი ნერვები და არც შერყეული ჯანმრთელობა. ბოლოსდაბოლოს იგი ინფარქტით გარდაიცვალა.

1968 წელს, პარლამენტის არჩევნების შემდეგ ახალმა „ანტიმაფის № 2“-მა კომისიამ შეცვალა პირველი. მას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა დეპუტატი გენსუიდან, ენერგიითა და გულმოდგინებით აღსავსე კატანი. იგი აღუქრევს განუსაზღვრელი უფლებებით, მხოლოდ ერთი პირობით — უნდა ემოქმედა სწრაფად. მან პირობა დადო, რომ მოხსენებას წარადგენდა 1971 წელს და სიტყვა შესასრულა კიდევ. მისი გამოძიების შედეგებმა თავი მოიყარეს ერი უზარმაზარ ტომში. ყველაზე საინტერესო ნაწილი ეხება საბითუმო ბაზრებსა და სკოლებს. რომლებზეც უკვე ითქვა. მაგრამ იტალიის მთელი საზოგადოებრიობა გააოცა „პატივცემული საზოგადოების“ ათი ყველაზე გამოჩენილი ხელმძღვანელის ბიოგრაფიამ — ღონ ჯენკო რუსოდან ქმებ ლა ბარბერებამდე. ბანდოტ

ლიუჩანო ლეჯოდან ავბელით ნავარამდე, რომელმაც უყოყმანოდ გაუკეთა სასიკვდილო ინექცია თორმეტი წლის მწყემსს, რადგან იგი „მეტისმეტ ყბედლად“ მიიჩნია.

გარდა ამ ამბებისა, რომლებშიც ერთმანეთშია არეული საშინელებანი და მშვენიერებანი, კატანეის მოხსენება შეიცავს აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფალთა მიმართ გამოთქმულ კრიტიკასაც. იგი მათ აღნაშაულებს ინერტულობისა და სიმხდალისათვის, სეკჭო მოთმინებისა და შეგნებულად დემილისათვის, აღმაშფოთებელი კრედიტების მიცემისა და მიუტევებელი კომპრომისებისათვის და სხვ. კატანეიმ არ დაინდო არც მართლმსაჯულების ორგანოები და პოლიცია. მართლმსაჯულების ორგანოებს უმთავრესად საყვედურობს გაუბედობისა და პროცედურების ზოზონით წარმართვისათვის. მაგალითი, 1945 წელს ჩადენილი მკვლელობისათვის ბანდიტი ლეჯო გაამართლეს... 1967 წელს, პოლიციის მიმართ კატანეი უფრო მკაცრია. მას დაუშვებლად მიაჩნია პოლიციის გაუთავებელი ჩხუბი კარაბინერებთან. რასაც აღარებს იმ „ორ კბილანას, რომელთა კბილები ერთმანეთს არ ეხებიან და თითოეული თავისთვის ბრუნავს“. მართალია, პოლიცია და კარაბინერები სხვადასხვა სამინისტროთა უწყებებში შედიან (პოლიცია დირექტივებს დებულობს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, კარაბინერები კი — თავდაცვის მინისტრისაგან), მაგრამ, მიუხედავად ამისა, კატანეის მიაჩნია, რომ ასეთი ქიშპობა ზიანს აყენებს ჭეშმარიტების დადგენასა და მოქალაქეთა რეალურ ინტერესებს.

ახალი დანაშაულობანი

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ „პატივცემული საზოგადოების“ თავზე ასეთი ქარიშხალი მძვინვარებს, იგი კვლავ თავისი გზით მიდის, თითქოსდა არაფერი მომხდარიყო. მაფიასთან ბრძოლის კომისიის ცხვირწინ მაფია სჩადია მრავალ ახალ დანაშაულს. მათ მოსპეს ჟურნალისტი მათრო დე მათრო, კვლი კი დღემდე არ ჩანს: საავადმყოფოში მოკლეს სასტუმროს მებატრონე კანდიდო ჩენი; მოიტაცეს მდიდარი მრეწველი ანტონიო კარუზო და მის ოჯახს 150 მილიონი ლირა გამოსასყიდი მოსთხოვეს; დაბოლოს, 1971 წლის 5 მაისს მოკლეს პალერმოს პროკურორი პეტრო სკალონე.

მაფია პირველად გაუსწორდა ასეთი მძალის თანამდებობის ჩინოვნიკს, და ყველას აინტერესებს თუ რამ უბიძგა მას ასეთი უკიდურესობისაკენ. სკალონე დიდხანს მუშაობდა პალერმოში და იქ მას ყველა იცნობდა. ამ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე მას ეწვია მაფიასთან ბრძოლის კომისიის წევრი, რომელიც

მელმაც ლეჯოს საქმის მიმართ უნიათობა უსაყვედურა. იყო თუ არა იგი კომპრომეტირებული? იცოდა თუ არა მან ისეთი რამ, რის სამუდამო დასამარებაც სურდა მაფიას? შესაძლოა ნებისმიერი ჰიპოთეზის დაშვება, მაგრამ არც ერთის დაბეჯითებით მტკიცება არ შეგვიძლია.

ერთი თვის შემდეგ მოიტაცეს ერთი მდიდარი მეწარმის ვაჟი. ამბობენ, რომ მის გამოსასყიდად მოითხოვეს 300 მილიონი ლირა.

ყველა ამ დანაშაულმა, განსაკუთრებით კი პროკურორ სკალონეს მკვლელობამ გამოიწვია ძლიერი აღშფოთება, რაც სწრაფად გააზვიადა პრესამ. როცა პოლიციას ამოქმედება მოსთხოვეს, მან მაფიის ყველა წევრი დააპატიმრა, ვინც კი ხელში მოხვდა. პირველი კონტინგენტი კუნძულ ლინოზაზე გააგზავნეს, მეორე კი — კუნძულ ფილიკულზე. პოლიციის გულმოდგინება ამით როდი ამოიწურა — მომდევნო თვეებში დაკავების კიდევ 100 ორდერი გასცა.

ყოველივე ამან დასცა თუ არა შიშის ზარი „პატივცემულ საზოგადოებას“? როგორც ჩანს, არა. კუნძულ ფილიკულზე მაფიის ხელმძღვანელები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქ ვიწროდ არიან და არც საყვარელი კომფორტი აქვთ. მხოლოდ მომავალზე ლაპარაკობენ.

ამერიკის რეაქცია

„პატივცემულ საზოგადოებაზე“ დიდი მითქმა-მოთქმა გაჩაღებული. მას ამ მხრივ არც „კოზა ნოსტრა“ ჩამორჩება, თუმცა, ხშირად ეს მათი ნების საწინააღმდეგოდ ხდება. საზოგადოებრიობამ სულ უფრო და უფრო მეტი იცის მის შესახებ. კეფლერის მოხსენებას მოჰყვა 1965 წლის მაკელანის მოხსენება. სამი წლის შემდეგ გამოიცა პიტერ მასის წიგნი „მაფია“, სადაც მოცემულია სენსაციური მხილებანი „ჯარისკაც“ ვალაკისა. აქედან მოყოლებული „კოზა ნოსტრა“, რომლის სახელწოდებაც პირველად ითქვა ხმაბალა, გახდა შეერთებული შტატების ნომერ პირველი მტერი. ბრძოლას სათავეში ჩაუდგა რობერტ კენედი. მან მის ხელთ არსებული ყველა სასულიერო გამოიყენა ისეთი საშინელი ურჩხულის გასანადგურებლად, როგორსაც არასოდეს შეხვედრია ცხოვრების გზაზე იუსტიციის მინისტრი. ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის საზოგადოებრიობისაგან მხარდაჭერა მოითხოვა. მართალია, იგი თავდაპირველად ამ საკითხს საკმაოდ დუნედ კვიდებოდა. მაგრამ თანდათან შეიცნო მასშტაბები იმ ბოროტებისა, რასაც უკვე კიბოს უდარებდნენ, ამერიკისათვის ტეშმარიტად კიბოს.

1963 წლის 22 ნოემბერს დალასში მოჰკლეს პრეზიდენტი ჯონ კენედი. ეს იყო მთელი ამე-

რიკის ტრავმა. დანაშაული მოხდა აშკარად, ცხადად, ყველას თვალწინ. რამდენიმე წლის შემდეგ რობერტ კენედის ჯერიც დადგა. ლიპარკობდნენ რაღაც საბედისწერო დამთხვევაზე, მაგრამ თითოეული ამერიკელი გრძობდა, რომ საქმე სულ სხვაგვარად იყო. დანაშაული ხავსივით შეუჩერებლად ვრცელდებოდა.

სრულიად სარწმუნოა, რომ ვერასოდეს შეეცდებოდა თუ სახელდობრ რა როლი შეასრულა მაფიამ ამ ორ დანაშაულში, რადგან ძმები კენედების მკვლელები თითქმის გამოუცნობი პიროვნებები არიან. პოლიცია და ფსიქიატრები გულდასმით ცდილობდნენ აღედგინათ მათი წარსული და აეხსნათ მათი მოქმედება, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, გიგანტურ საქადრაკო დაფაზე მხოლოდ პაიკებს წარმოადგენდნენ.

დღევანდელი მავზი

დონ ვიტო კაშო ფეროს მსგავსად დონ ჯენოვეზეც ციხეში აღესრულა. მას ის-ის იყო 71 წელი შეუსრულდა. მართალია, უკვე მრავალი წელი პატიმრობაში იყო სპრინგფილდში, მაგრამ იგი ჯერ არ დავიწყებათ. მისი სიკვდილი — ეს არის მოვლენა, რაზედაც ალაპარაკდა ამერიკის მთელი პრესა. მაფიის ყოფილ მეთაურზე. წერენ გაზეთების პირველ გვერდებზე — აინტერესებთ თუ ვინ გახდებოდა მისი მემკვიდრე. ასახელებდნენ რამდენიმე კანდიდატს: მაიკ მირანდი, კარლო გამბინო და თომას ებოლი. ყველაზე ხშირად კი ებოლის ასხენებდნენ. ცნობილი იყო, რომ იგი ეკუთვნოდა განსვენებულის „ოჯანს“, და ჯენოვეზეც სწორედ მას ანიჭებდა უპირატესობას. მაგრამ არჩევნები „კოზა ნოსტრაში“ კვლავ საიდუმლოდ რჩება. მიუხედავად დიდი ცნობისმოყვარეობისა, ამერიკამ მაინც ვერ შეიტყო თუ ვინ იქნებოდა ამ ნაძირალების ახალი მფევე.

რა თქმა უნდა, მთელი ამ სიდრმისეული ცვლილებების გამო ზედაპირზე ცოტაოდენი ქაფი მაინც გამოჩნდა; რადგან ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ყოველთვის თან ახლავს სისხლის ღვრაც.

ყველაფერი დაიწყო ჯო კოლომბოს მკვლელობით, რომელიც 1970 წლის 29 ივლისს 10 ათასი კაცის თანდასწრებით მოხდა ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლის ძირში. ხმები დაიჩხუბა, რომ მკვლელ ზანგს ფული გადაუხადა გამბინომ. კოლომბოს მკვლელობა ახალი ომის დაწყებას მოასწავებდა, რომელიც ძალიან ჰგავს თავის დროზე მასერიასა და მარანძანოს შორის ატეხილ ომს. მალე რესტორანში თავის 41-ე წლისთავზე მოჰქლეს ჯო გლო, რომელიც კოლომბოს მარჯვენა ხელი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ფაეორიტ ებო-

ლის, ჯენოვეზეს ყოფილი კაპორეჯიმეს ჯერიც დადგა. ახლა მხოლოდ მირანდი და გამბინო შემორჩნენ, თუმცა, მართალია, ცოტა ხნით, პორიზონტზე მაინც გამოჩნდა აგრეთვე „უტსაიდერი“ ჯო ბონანოც. პირველობისათვის ბრძოლა გრძელდება.

ანგარიშსწორებათა ამ სენსაციურმა ცნობებმა ყურადღება მიიპყრო ხალხისა, რომელიც თვალს არ აშორებდა დანაშაულებრივ სამყაროს, რომელსაც პრეზიდენტმა ნიქსონმა დიდის ამბით გამოუცხადა ომი. თავის მხრივ დიდი სენსაცია გამოიწვია ნიუ-იორკის პროკურორის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მაფიის მოგება ჭარბობს ქვეყნის ათი მსხვილი კომპანიის შემოსავალს, „კოზა ნოსტრამ“ რომ მიინდომოს, — განაცხადა მან, — შეუძლია იყიდოს „ჯენერალ მოტორსი“ ან „ჯენერალ ელექტრიკი“.

მართლაც, მაფიამ ვითომ რატომ არ უნდა მოისურვოს ეს? ხომ ცნობილია, რომ მაიამში, შემდეგ კი თელ-ავივში მცხოვრები, ლიუჩინოს თანამედროვე და მეგობარი მაიერ ლანსკი კარგა ხანს ეწეოდა შუამავლობას — შვეიცარიის ბანკებში აბანდებდა „კოზა ნოსტრას“ თანხებს, რათა „განეწმინდა“ ისინი.

ამ გზით „განბანილი“ დანაშაულებრივი წარმოშობის დოკუმენტების რაოდენობა იმდენად უზარმაზარია, რომ ბოლოსდაბოლოს ამერიკის მთავრობა შეშფოთდა და 1970 წელს შეუტია შვეიცარიის მთავრობას და მოითხოვა, რომ ბოლო მოეღობოდა ამ ქვეყნის ყბადაღებულ საბანკო საიდუმლოებას. შედარებით პატიოსანი კლიენტების ინტერესებისათვის და, ცხადია იმისათვის, რომ არ გაჰქრობოდა ფასეული კაპიტალი, შვეიცარიამ ამერიკას ასე უპასუხა: საბანკო საიდუმლოებას გააუქმებს მაშინ, „როცა დადასტურებული იქნება, რომ მართლაც საქმე ეხება იმ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ორგანიზებულ დანაშაულთან...“

როცა შვეიცარიისაგან ასეთი დიპლომატიური უარი მიიღო, ამერიკა შეეცადა მოლაპარაკებოდა თურქეთს ოპიუმის წარმოების შემცირების თაობაზე, შემდეგ კი ბირმას მიმართა, რათა ნაკლები ინდური კანაფი მოეყვანა. მაგრამ ვერც ამ მიმართებით მიაღწიეს რაიმე, ყოველ შემთხვევაში, სწრაფ შედეგს, რადგან დასახელებულ ქვეყნებს არ სურდათ საკუთარი გლეხების შიმშილით დახოცვა მხოლოდ იმისათვის, რომ ამერიკელებს არ შესწევდათ ქვეყნის პოლიციის მუშაობის მოწესრიგების უნარი.

ჯამი კიდევ შეუსწავლელი გზები

მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების ნაერკოტიკების საქმეთა ბიურომ იტალიისა და საფ-

რანგეთის პოლიციას მოსთხოვა უფრო ენერგული ღონისძიებანი გაეტარებინათ იმ მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩარეული იყვნენ ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ამ მიმართებით ამერიკამ ვარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია — მარსელსა და ნეაპოლში დაიხურა რამდენიმე იატაკქვეშა ლაბორატორია.

მაგრამ მთელი ეს დემარშები და ოპერაციები იმდენად ნელა ხორციელდება, რომ მაფიას საკმაო დრო რჩება, რათა მიმართოს სხვა მიმწოდებლებსა და გამონახოს თავისი ფასეული საქონლის გადაგზავნის სხვა გზები. მაფიამ დროებით უარი თქვა ევროპაზე და დაიწყო თავისი კონტრბანდისტების ლათინური ამერიკისა და მექსიკის ჯერ კიდევ შეუქსავლელი გზების გამოყენება.

მაფიამ იცის, რომ თავისთან, ამერიკაში, შეიძლება ითქვას, არავითარ რისკს არ ეწევა,

რადგან მის კონტროლს ექვემდებარება აერთპორტების უმრავლესობა. მეორე მხრივ, და ეს ფრიალ მნიშვნელოვანია, ნარკომანთა რიცხვი კვლავ იზრდება, მაშასადამე, ბაზარიც არ ამოწურულა.

მთელი პრობლემაც სწორედ ეს არის. ვიდრე ადამიანები თანახმანი არიან გადაიხადონ ფული საკუთარი მანკიერების დაკმაყოფილებისათვის „კოზა ნოსტრა“ კვლავ ძლევამოსილი და აყვავებული იქნება. ამასთან ვერაფერს გააწყობ. მაფია — ეს არის ერთ-ერთი პარაზიტი, რომელიც პირველი პარაზიტი ჩვენი საზოგადოებისა. იმისათვის, რომ იგი საბოლოოდ მოვიშოროთ თავიდან, უწინარესად, საჭიროა მოისპოს მაფიის კავშირი სახელმწიფო და პოლიტიკურ ხელისუფლებასთან როგორც შეერთებულ შტატებში, ასევე იტალიაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ფელატონი

რაც მოგივა დავითაო...

„ქ.ქუთაისის მესამე სახელმწიფო ხანოტარო კანტორა, სახელმწიფო ნოტარიუსი ელგუჯა დავითის ძე ნემსაძე“ — მსხვილი შრიფტით აწერილია ფირნიშზე. მოსაცდელში უამრავი ხალხი ირევა. რიგში მდგომნი ძალაუვნებურად წამდაუწყვთ შეავლებენ თვალს ფირნიშს და მოთმინებით ელიან იმ წუთს, როცა სახელმწიფო ნოტარიუსის ხილვის ღირსნი გახდებიან..

როგორც იქნა მოქალაქე ჭეშალ ფხაკაძის რიგიც დადგა და ფრთხილად შეადგა ფეხი ოთახში. ნოტარიუსი მაგიდაზე დახრილია, ქაღალდებს ჩაიკრიკტებს... გავიდა 10, 20 წუთი, დინჯად აიღო თავი და კაბინეტში შემოსულ მოქალაქეს პირდაპირ ხელზეში შეაცქერდა.

— რა არის, ხელში რა გიკავია? რა ქაღალდებია... ქაღალდები მინდა ახლა, უსაქმო ხომ არ გგონივარ? ვერ ხედავ, მოსაცდელში რამდენი ხალხი მელოდება! მე აქ, ჩემო ძმარეხ-პუბლიკის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ვარ დანაშნული, აბა!

— გაკვირვებას რა ვუთხრა თვარა, აქ რა მომიყვანდა... — აიწურა ჭეშალ ფხაკაძე.

— მე აგერ არ ვარ, შე კაცო, — მოლბა ნოტარიუსი.

— ჰოდა აგაშენა ღმერთმა, მიშველე და და ჩვენც კაცნი ვართ, ახლობლის მანქანას მინდობილობით ვმართავდი, თქვენ ყველაფერი კარგი და ეს ჩემი ახლობელი ხელიდან გამოგვივალა... და რადგან ასე გავიწინაურდი, ბარემ იმასაც გიტყვი, რომ ეს მანქანა მისგან ფაქტობრივად ნაყიდი მქონდა.

— შენ მართლაც ვერ გქონია საქმე კარგად, მაგრამ ნათქვამია სასწორის სისწორე ამწონაზე ბკილიაო... ახლა ეს მითხარი მეუღლე თუ დარჩა ცხოვრებულს.

— დარჩა კი.

სახელმწიფო ნოტარიუსმა შუბლზე თითი მიიღო და ღრმად ჩაფიქრდა. შემდეგ სუფთა ქაღალდი ამოიღო და წერას შეუდგა.

— მაგ საქმეს მოგივარებ, მეგვიდრეობას აღვეუდგენთ გარდაცვლილის მეუღლეს, მანქანა მის სახელზე გადაფორმდება. მანამდე კი ამ ქაღალდზე რაც წერია, ის ცნობები შეკრიბე, მომიტანე და მაშინვე გადაფორმებ შენ, აბა, რა გგონია შენ, ასე ვიცით ჩვენ გაკვირებაში ჩავარდნილი ადამიანის მხარეში ამოდგომა, დანარჩენი კი შენ იცი... ისე არ გამოვიდეს, მუქთა ძმარი შექარზე უკეთესიაო... შენ მახეთ კაცს არ გავ-

ხარ, აბა, ჰა, წადი ახლა და დატარილ...
ათი დღის შემდეგ ჭემალ ფხაკაძე სახელმწიფო
ხელდამწვენიებული კვლავ მიაღვა სახელმწიფო
ნოტარიუსს.

— ა, ეს შენ... ხომ ხარ ყველანაირად მზად...
— კი ბატონო, ყველა საბუთი მოგიმზადებ.
— ესაა სულ? სახე მოედრიცა სახელმწიფო
ნოტარიუსს, — კარგი, დატოვებ, როცა დამეცნობ
ნება გადავხედავ და ასე, ერთ თვეში შემოიბრუნებ...

— არ დამდუბო პატივცემულო სახელმწიფო
ნოტარიუსო, თქვენ ხომ შემპირდით...

— შენ, ჩემო ბიძიკო, გეტყობა, დატოვებ...
ერთი კარგი ანდაზა: ხელი ხელს ბანსო...
ჰოდა, თუ ვერ ხვდები, იყავი ახლა მასე...

— ჩემი საბუთები სუფთაა, ხელის დატოვება
არ დაგჭირდებათ, — გულუბრყვილად დატოვებ
მედა ჭემალ ფხაკაძემ.

— შენ კაცო რა მიაშთაღ მოგაქვს...
ეს მაინც მითხარი, რა არის ეს. — სახელმწიფო
ნოტარიუსმა მარჯვენა ხელი მაგიდის
დო.

— ხელია!
— სწორია, ეს კი რა არის? — სახელმწიფო
ნოტარიუსმა ახლა თითები აათამაშა.

— თითები.
— მერედა რამდენი თითი მაქვს...
მარჯვენა ხელზე?
— ხუთი.

— სწორია. შენ არც თუ ისე უჭკულო
ყოფილხარ, ახლა ეს მითხარი, — ერთი თითი
ღირს თუ იცი?

— თითი რა უნდა ღირდეს, ჩემო ბატონო...
— ჭემალ ფხაკაძემ გაკვირვებისაგან მხრები

ჩიჩა, ფიქრობდა, ეს კაცი ნეტა თავის ჭკუაზე
თუაო.

— თავს ნუ იკატუნებ. ერთი თითი ათი მა-
ნეთი ღირს.

— ესე იგი, ხუთი თითი ხუთი თუმანია —
სწრაფად გამოთვალა ჭემალმა.

— ყოჩაღ. სწორია... ჰოდა, დაყაბე ახლა ხუ-
თი თუმანი და სამემკვიდრეო მოწმობაც ხუთ
წუთში მწად იქნება.

„უყურე, ერთი ამ მექრთამეს, რამდენს ბე-
დავს“ — ფიქრობდა ჭემალ ფხაკაძე და ჭიბე-
ებში იქექებოდა, როგორც იქნა ფული ამოაძ-
ვრინა და სახელმწიფო ნოტარიუსს წინ დაუ-
ყარა.

— რა არის, კაცო, ეს? რავა ფიქრობ ახლა
შენ, სამი თითი მაქვს მაჯვენა ხელზე...

— ახლა მეტი არ მაქვს... თუ მენდობი,
ორი თითის საფასურს ხვალ დილით მოგიტან.

— რას იზამ, ხვალ მოიტანე აბა, შენ იცი,
სიტყვა, არ გატეხო...

— თურმე, ნუ იტყვით და საგამოძიებო ორ-
განობმა გამოარკვიეს, რომ სახელმწიფო ნო-
ტარიუსს ელგუჭა ნემსაძეს სხვადასხვა დროს
შემოაღნიშნული სცენარის ზუსტი დაცვით უსა-
უბრია გულნაჟ კირთაძესთან, თემურ ხელაძეს-
თან, რეზო ტყეშელაშვილთან, ცოლ-ქმარ ანზორ
და მარინა კიკვიძეებთან და ვინ იცის, კიდევ რა-
მდენთან...

ყოფილი სახელმწიფო ნოტარიუსი ელგუჭა
ნემსაძე ხუთი წლით მიავლინეს გაძლიერებული
რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში.
დღეს რას ფიქრობს არ ვიცი, მაგრამ ამბობენ
ყოველ დამე ნოტარიუსის ბექედი ესიზმრებაო...

ჯაბალ მხმინაძისმარი.



პ. ბერძენიშვილი



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 75 წლისა გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი პროკურორი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიული განყოფილების ყოფილი გამგე, 1941 წლიდან სკკპ წევრი პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილი.

პ. ე. ბერძენიშვილი დაიბადა 1912 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ფარცხმაში. 16-17 წლის ყმაწვილი სწავლის პარალელურად ფიზიკურად მუშაობს კოლმეურნეობაში, სადაც დააწინაურეს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. 1934 წელს გამგეობა მას, როგორც სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მუშაკს, სწავლის გასაგრძელებლად გზავნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1938 წელს.

პ. ე. ბერძენიშვილი 1940-1941 წლებში ჯერ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწეა, შემდეგ კი — პროკურორი. 1941 წლიდან იგი საბჭოთა არმიის რიგებშია. მან თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე იმუშავა სამხედრო იუსტიციის ორგანოებში. 1954 წლამდე

სამხედრო ტრიბუნალის წევრია. 1955 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის თანაშემწედ, სადაც იმუშავა 1961 წლამდე.

პ. ე. ბერძენიშვილის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო საქართველოს სსრ პროკურორის პოსტზე — 1961-1970 წლებში. 1970 წლიდან 1988 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიულ განყოფილებას, საიდანაც გავიდა დამსახურებულ პერსონალურ პენსიაზე.

ყველა პოსტზე, მუშაობის ყოველ უბანზე პ. ე. ბერძენიშვილი მტკიცედ და ენერგიულად ემსახურებოდა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის პასუხსაგებ საქმეს, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

პარტიამ და სახლმწიფომ ღირსეულად დააფასეს პ. ე. ბერძენიშვილის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავისა და პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენებით, მრავალი მედლით. არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

სოციალისტური კანონიერებისათვის მტკიცე მებრძოლის, დიდი სამამულო ომის ვეტერანის, გულისხმიერი და ყურადღებიანი ხელმძღვანელის პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილის ხსოვნა ღიღხანს დარჩება ჩვენს საზოგადოებაში.

ჯ. ი. პატიავილი, პ. ბ. გილაშვილი, ო. ე. ჩიჩქაშია, ვ. ი. ალავექიძე, პ. ბ. გუმბარაძე, ვ. ბ. ბაქრაძე, შ. ვ. გორგოძე, ა. ბ. კარანაძე, ა. ი. კახსაძე, ვ. ა. რაჭმაძე, ვ. ა. შარაშენიძე, ჯ. ნ. გოგიტიძე, ნ. ა. შვანიძე, ჯ. პ. მახარაძე, ა. ვ. პაპუაშვილი, ი. პ. ჩიქოვანი.

ძვირფასო მებრძოლებო!

შურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გული-
თაღ მადლოვან უხადის ყველას, ვინც სათანადო პროპაგანდა გაუწია ჩვენს შურნალს
და აქტიური მონაწილეობა მიიღო მის გავრცელებაში.

ზევრად ბაიზარდა ხელმოწერა:

ჩხოროწყუს, წალკის, ბოგდანოვიკისა და ზნა-
ურის რაიონში;

სამჯარ და მებაღე:

ქ. ბათუმში, ოჩამჩირის, გეგეჭკორის, მცხე-
თის რაიონში, ქ. თბილისში (თავი გამოიჩინა
საბურთალოს, ლენინის, კალინინისა და ორჯო-
ნიკიძის რაიონში);

ორჯარ და მებაღე:

ქ. ქ. გაგრაში, გორში, ფოთში, ცხინვალში;
გალის, ქობულეთის, ბორჯომის, გურჯაანის,
დმანისის, დუშეთის, სვანეთის და ხაშურის
რაიონში.

მნიშვნელოვნად ბაიზარდა ხელმოწერა:

ქ. ქ. ქუთაისში, რუსთავეში; წყალტუბოს,
ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს, შუახევის, აბა-
შის, ადიგენის, ახალციხის, ახმეტის, გორის,

ზესტაფონის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარა-
ძის, სამტრედიის, საჩხერის და ცხაკაიას რა-
იონში;

ბაიზარდა ხელმოწერა:

ქ. სოხუმში, გუდაუთის, გულრიფშის, ლე-
ნინგორის, ქარელის, კასპის, ონის, თელავის,
თერჯოლის, თეთრიწყაროს, წითელწყაროს და
ჩოხატურის რაიონში;

შევიცირდა ხელმოწერა რიცხვი:

სოხუმის, ამბროლაურის, ბოლნისის, გარდაბ-
ნის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, ორჯონიკი-
ძის, ხობის, წულუკიძის, თიანეთის, ცაგერის
და სხვ. რაიონში.

კვლავ ცოტა ხელმოწერა:

ქ. ქ. ტყვარჩელში, გაგრაში, ჯავის და ახალ-
ქალაქის, ქ. თბილისის კიროვისა და 26 კომის-
რის რაიონში.

აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ შურნალი „საბჭოთა სამართალი“ ლი-
ნეტირებული არ არის და მისი გამოწერა შეიძლება წლის ნებისმიერ დროს.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 2, 1988 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР. Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Пилеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВА ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 107/95



ფანი 60 353

ნიმუში 76185
